საქართველო გერმანიის ურთიერთობები

მამია ბალახაძე

მამია ბალახაძე

საქართველო-გერმანიის ურთიერთობები

თბილისი
2021

UDC (უაკ) 94(479.22:430+327(479.22:430)

ბ_208

წიგნში განხილულია საქართველოსა და გერმანიის ორსაუკუნოვანი ურთიერთობის ფართო სპექტრი, გაანალიზებულია ქვეყნებს შორის არსებული პარტნიორული თანამშრომლობის გეოპოლიტიკური მიზეზები და ნაჩვენებია გერმანიის გადამწყვეტი როლი საქართველოს საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტის _ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირში გაწევრიანების კუთხით.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს სპეციალისტებსა და საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

რედაქტორი: ასოცირებული პროფესორი
შადიმან ბიწაძე

რეცენზენტები: პროფესორი ავთანდილ სონღულაშვილი
ისტორიის დოქტორი ლელა სარალიძე

დაიბეჭდა: საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის კარტოგრაფია-გეოდეზიის დეპარტამენტში

ISBN 978-9941-8-3846-0

შინაარსი

ავტორისაგან.....3

შესავლის ნაცვლად 8

თავი I. საქართველოსა და გერმანიას შორის ურთიერთობების პირველი კავშირები.....13

გერმანელი კოლონისტების საქართველოში გადმოსახლების სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები.....13

გერმანელი კოლონისტების როლი საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.....24

გერმანიის ექსპანსია ახლო აღმოსავლეთში XIX საუკუნის მეორე ნახევარში და ქართული პრესა 34

თავი II. საქართველო გერმანიის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები XX საუკუნის პირველ ნახევარში.....44

საქართველო-გერმანიის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გეოსტრატეგიული მიზნები 44

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის პოლიტიკურ-დიპლომატიური საქმიანობა გერმანიაში.....56

ვლადიმერ ახმეტელაშვილი _ ქართული დიპლომატია გერმანიაში.....64

ქართულ-გერმანული სავაჭრო ურთიერთობები 1918 წელს.....75

საქართველო-გერმანიის სამხედრო ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს 81

ქართული ემიგრაციის ნაცისტურ გერმანიასთან თანამშრომლობის სამხედრო-პოლიტიკური ასპექტები.....102

თავი III. საქართველოსა და გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები 1991 წლიდან 118

გერმანიის „აღმოსავლეთ პოლიტიკის“ (Ostpolitik) პრინციპები და საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანების პროცესის დინამიკა 118

საქართველო-გერმანიის პოლიტიკური ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე..... 138

საქართველო-გერმანიის სამხედრო თანამშრომლობის ასპექტები სამშვიდობო ოპერაციების ფორმატში..... 159

ბოლოთქმა..... 185

გამოყენებული ლიტერატურა 197

ავტორისაგან

ნაშრომში „საქართველო-გერმანიის ურთიერთობები“ გაანალიზებულია ქვეყნების ტრადიციული პარტნიორული თანამშრომლობის უმნიშვნელოვანესი ასპექტები, რაც თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირის ,,აღმოსავლეთ პარტნიორობის” ფორმატში ხორციელდება.

ნაშრომის პირველი თავი _ „გერმანელი კოლონისტების გადმოსახლება საქართველოში XIX საუკუნის დასაწყისში“ _ ეხება კოლონისტების გადმოსახლების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და რელიგიურ მიზეზებს, განსახლების არეალსა და თანამდევ ტოპონიმიკურ ცვლილებებს, რომელიც ბუნებრივად მოჰყვება აღნიშნულ პროცესს, ნაჩვენებია რუსეთის იმპერიის მიერ გატარებული აგრარული პოლიტიკის ნამდვილი არსი, რაც სინამდვილეში იმპერიის ერთგული და საიმედო დასაყრდენი ელემენტის შექმნასა და ავტოქტონური ქართული მოსახლების საწინააღმდეგოდ დემოგრაფიულ ცვლილებებს ითვალისწინებდა, ნაჩვენებია გერმანელ კოლონისტთა სოციალური ყოფა, სამეურნეო საქმიანობა და განათლებისა და აღმსარებლობის სფეროში გატარებული რეფორმები, რაც ხელს უწყობდა გერმანელთა ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას. დიდი ადგილი ეთმობა გერმანელი კოლონისტების მიერ შეტანილ წვლილს საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან სფეროებში _ მეცნიერების (გეოლოგია, არქეოლოგია, ბოტანიკა...), ხელოვნების (სახვითი ხელოვნება, მუსიკა, არქიტექტურა...), მედიცინისა და იურისპრუდენციის კუთხით, ნაჩვენებია გერმანელთა განსაკუთრებული ღვაწლი იმ დროის მოწინავე ტექნოლოგიების (ტელეგრაფი, ელექტროტექნიკა...) დანერგვის, აგრეთვე პრესისა და მთარგმნელობითი საქმიანობის მხრივ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ახლო აღმოსავლეთში გერმანიის ინტერესებიდან გამომდინარე, ნაშრომში განხილულია გერმანიის

აქტიური კოლონიური ექსპანსიის პოლიტიკურ-ეკონომიური მიზეზები, ნაჩვენებია კანცლერ ოტო ფონ ბისმარკის აგრესიული საგარეო პოლიტიკის როლი გერმანიის, როგორც ევროპის უძლიერესი მილიტა-რისტული სახელმწიფოს შექმნის საქმეში და ამ გეოპოლიტიკური ცვლილებების შედეგი. ნაჩვენებია, თუ როგორ ეხმაურებოდა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს იმდროინდელი ქართული პრესა და როგორი იყო ქართველი საზოგადოებრიობის ინფორმირებულობის ხარისხი ამ მხრივ.

ნაშრომის მეორე თავი _ „გერმანიის პოლიტიკურ-ეკონომიური ინტერესები საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში“ _ ეხება გერმანიის ეკონომიკურ ინტერესებს საქართველოში, რომელიც ფაქტობ-რივად განსაზღვრავდა პოლიტიკურ ინტერესებსაც. გერმანიის განვითარებულ მრეწველობას დიდი რაოდენობით ესაჭიროებოდა წიაღისეული ნედლეული და პროდუქციის გასაღების ბაზრები. სწორედ აღნიშნულ ჭრილშია ახსნილი ის მიზეზები, თუ რატომ იყო გერმანიის ხელისუფლება დაინტერესებული საქართველოს რკინიგზისა და საზღვაო პორტების შეუზღუდავი გამოყენების უფლებით, აგრეთვე გერმანულ-ქართული სამთო კორპორაციის შექმნითა და გერმანული ვალუტის ბრუნვაში შემოტანის სურვილით. ყურადღება გამახვილე-ბულია ბაქო-ბათუმის ნავთობსადენზე, როგორც გერმანიის ხელისუფ-ლების უმთავრეს მოტივატორზე. ამასთან ერთად, განხილულია ყველა შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავდა საქართველო-გერმანიის სავაჭ-რო-ეკონომიკურ თანამშრომლობას, რომლის პრაქტიკაში რეალიზაცია საქართველოს ერთგვარ ტრამპლინად აქცევდა გერმანიის ექსპანსიის აღმოსავლეთის მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში.

პირველი მსოფლიო ომის დროს ჩაისახა საქართველო-გერმანიის სამხედრო-დიპლომატიური ურთიერთობები. ნაშრომში ვრცლად არის მიმოხილული კავკასიის ფრონტზე განვითარებული მოვლენები,

დამოუკიდებელი საქართველოს პროგერმანული ორიენტაციის გეოპოლიტიკურ მიზეზები და ქვეყანაში შექმნილი საშინაო ვითარება. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების თანამშრომლობას გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და გენერალურ შტაბთან, ქართული ლეგიონისა და „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ საქმიანობას და განხილულია ქართულ-გერმანული დიპლომატიური ურთიერთობების კარდინალური საკითხები.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ფაქტობრივად დღემდე ტაბუდადებულია ქართული ემიგრაციის ნაწილის მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის მიზნები ნაცისტური გერმანიის მთავრობის მაღალჩინოსნებთან და ვერმახტის მაღალი ეშელონების წარმომადგენლებთან. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, განხილულია ნაცისტური გერმანიის როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკური ინტერესები რეგიონის მიმართ, აგრეთვე ქართული შეიარაღებული ნაწილების შექმნის პერიპეტიები, მათი მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომის ცალკეულ უბნებზე, ე.წ „საკავშირო შტაბის“ საქმიანობა და ემიგრაციის დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ.

ნაშრომის მესამე თავი _ „გერმანიის როლი საქართველოს ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში“ _ ეხება გასული საუკუნის 80-იან წლებში საერთაშორისო დაძაბულობის განმუხტვის მიზნით გერმანიის მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკის მიზნებს, რომელიც პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში „აღმოსავლეთ პოლიტიკის“ სახელითაა ცნობილი. განხილულია კანცლერ ვილი ბრანდტის უდიდესი დამსახურება აღნიშნული პოლიტიკური დოქტრინის შემუშავებაში და მისი პრაქტიკული გამოყენების გეოპოლიტიკური მიზნები. ახსნილია, თუ რატომ ეფუძნებოდა გერმანიის ახალი

პოლიტიკური კურსი ქვეყნებს შორის ურთიერთობების ტრანსფორმაციასა და ორი დაპირისპირებული სისტემის კოჰაბიტაციას; გაანალიზებულია „აღმოსავლეთ პოლიტიკის“ ფარვატერში საქართველოს მოქცევის პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზები და გერმანიის დახმარებით ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების პროცესის დინამიკა, რომელიც მოცემული დოქტრინის პრინციპით „დაახლოება თანდათანობით“ ხორციელდება და საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიას წარმოადგენს.

საქართველო-გერმანიის პოლიტიკური ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე აღმავალი დინამიკით ვითარდება. ნაშრომში განხილულია, თუ როგორ უჭერს მხარს გერმანია საქართველოს, როგორც პარტნიორ ქვეყანას „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში რეფორმების გატარების, მდგრადი ეკონომიური განვითარებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების კუთხით, ხაზგასმულია ის დიდი ისტორიული დამსახურება, რომელიც გერმანიას მიუძღვის საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს წინაშე მისი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ; ახსნილია ორმხრივი დიპლომატიური მისიების როლი ქვეყნებს შორის ურთიერთობების განვითარებისა და გაღრმავების საქმეში.

ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საქართველო-გერმანიის სამხედრო თანამშრომლობის ასპექტებს სამშვიდობო ოპერაციების ფორმატში. ნაჩვენებია, თუ რა როლს თამაშობს გერმანია საქართველოსა და ნატო-ს ალიანსს შორის ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო პროგრამისა და ინტენსიური დიალოგის ფარგლებში, რაც საქართველოს თავდაცვის ძალების გერმანული სამხედრო კონტინგენტის შემადგენლობაში საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის მიზნით ტერორიზმთან ბრძოლის (კოსოვო, ავღანეთი...) საქმეში გააჩნია; ვრცლად არის განხილული საქართველოს

მიერ კოალიციის შემადგენლობაში შესრულებული ოპერაციების ფართო სპექტრი. გერმანიის მხარის დიდი დამსახურებაა 2014 წლის უელსის სამიტზე „ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის“ მიღება, აგრეთვე ერთობლივი სწავლების ორგანიზების ფორმატში ალიანსში გაწევრიანების მზადყოფნის პროცესში ჩართულობა. განსაკუთრებით ესმება ხაზი მაღალი დონის ვიზიტების მნიშვნელობას ნატო-ს ეგიდით და გერმანიის დახმარების ძირითად მიმართულებებს სამხედრო სფეროში _ განათლების, საინჟინრო, ლოჯისტიკის, ინსტრუქტორთა მომზადების, სამედიცინო და კიბერუსაფრთხოების კუთხით, რომელსაც საქართველოსთვის ნატო-ს სტრუქტურებში გაწევრიანების გზაზე უდიდესი და, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

შესავლის ნაცვლად

ქართულ-გერმანულ ურთიერთობებს ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ჩაეყარა საფუძველი, რომელმაც თავისი განვითარების უმაღლეს დონეს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს, 1918-1921 წლებში, მიაღწია. სწორედ გერმანიის უშუალო დახმარებით ჩაეყარა მაშინ საფუძველი ქართულ დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომლის არსებობაც ბოლშევიკური რუსეთის სამხედრო აგრესიამ შეწყვიტა.

ქართულ-გერმანული ურთიერთობები წარმატებით გაგრძელდა რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის _ საბჭოთა კავშირის _ დაშლის შემდეგ, გასული საუკუნის 90-იან წლებში. ევროპის ქვეყნებიდან გერმანიამ პირველმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა და გაუწია მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება, რაც სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა სახელმწიფოებრიობის შენების საწყის ეტაპზე.

გერმანია-რუსეთის სტრატეგიული თანამშრომლობიდან გამომდინარე, გერმანია შეუცვლელი შუამავალია საქართველოს რუსეთთან ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მედიაციის პროცესში. 2014 წლის 30 ივნისს კანცლერმა ანგელა მერკელმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ი. ღარიბაშვილთან შეხვედრის დროს გამოთქვა მზადყოფნა, ჩაერთოს აღნიშნულ პროცესში, როგორც შუამავალი. გერმანია ევროკავშირის წამყვანი სახელმწიფოა და მის საგარეო პოლიტიკას დიდწილად სწორედ გერმანია წარმართავს. აღნიშნულის ფონზე ქართულ-გერმანული პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთობების გაღრმავება საქართველოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. გლობალური საერთაშორისო ცვლილებების ფონზე, გერმანიის პოლიტიკური და, მით უმეტეს, სამხედრო კუთხით

მხარდაჭერა, რაც, თავის მხრივ, გერმანიის საგარეო პოლიტიკის აღმოსავლეთის მიმართულების პრინციპებითაა გათვალისწინებული და დღეს ტრანსფორმირებული „აღმოსავლეთ პოლიტიკის“ ეგიდით მიმდინარეობს, საქართველოს საგარეო პოლიტიკის უდავოდ წარმატებული ნაბიჯია.

კანცლერ ვილი ბრანდტიმ (ჰერბერტ ერნსტ კარლ ფრამი) გასული საუკუნის 70-იან წლებში საფუძველი ჩაუყარა გერმანიის საგარეო პოლიტიკის მიმართულებას _ „აღმოსავლეთ პოლიტიკას“ (ostpolitik), რაც ითვალისწინებდა გერმანიის გაერთიანებისათვის ნიადაგის მომზადებას სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობის ფორმატში. ასეთ მიდგომას ბრანდტი უწოდებდა „ცვლილებებს დაახლოების გზით“ (Werde Durch Annaherung).

1970 წლის 19 მარტს გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ჯერ საბჭოთა კავშირთან, ხოლო იმავე წლის 7 დეკემბერს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან გააფორმა ორმხრივი ხელშეკრულება, რასაც მოჰყვა ანალოგიური ხელშეკრულების დადება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკასთან. აღნიშნულმა ხელშეკრულებებმა, რომლებიც, პირველ რიგში, სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას ითვალისწინებდა, სათავე დაუდო მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტს _ აღმოსავლეთ ციმბირის საბადოებიდან ევროპაში გაზის დივერსიფიკაციას.

ბრანდტის „მოკლე ნაბიჯების პოლიტიკამ“ (Politik Kleine sharite) განაპირობა მნიშვნელოვანი ფაქტი _ აღმოსავლეთ ევროპის მეტი დამოუკიდებლობა, რასაც ასე ესწრაფოდა დასავლეთი და რაც თანამშრომლობით უფრო მიღწევადი აღმოჩნდა, ვიდრე კონფრონტაციით. აღნიშნულმა პოლიტიკამ ევროპაში სათავე დაუდო

დაძაბულობის განმუხტვას. 1971 წელს ნორვეგიის პარლამენტმა ვილი ბრანდტს ნობელის პრემია მიანიჭა მშვიდობის დარგში. „მოკლე ნაბიჯების პოლიტიკის“ უმთავრეს შედეგად შეიძლება ჩაითვალოს 1990 წლის ოქტომბერში ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანება და დეცენტრალიზაციის პროცესების მკვეთრი დაჩქარება სსრკ-ში, რომელმაც პოსტსაბჭოთა სივრცეში ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების შექმნას შეუწყო ხელი.

კანცლერ ჰელმუტ კოლის ხელისუფლებამ საგარეო პოლიტიკის „აღმოსავლეთის მიმართულება“ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმით გააძლიერა. სსრკ-თან ინტენსიურ პოლიტიკური დიალოგს 1991 წლის 28 აგვისტოს შექმნილი ე.წ. „ვაიმარის სამკუთხედის“ შექმნა მოჰყვა, რომელიც გერმანიის, საფრანგეთისა და პოლონეთის ხელისუფლების რეგულარულ კონსულტაციებს ითვალისწინებდა, რაც საბოლოო ჯამში 1999 წელს პოლონეთის ნატო-ში გაწევრიანებით დასრულდა. ევროპაში დაძაბულობის განმუხტვის პოლიტიკამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

კანცლერ გერჰარდ შროდერის პოლიტიკა, რომელიც რუსეთის ფედერაციასთან სტრატეგიული თანამშრომლობის იდეას ეფუძნებოდა, ლოგიკურად ხელს უწყობდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დასავლეთთან ინტეგრაციის პროცესს. 2006 წელს შროდერის მიერ წამოყენებული იდეა, „დაახლოება ურთიერთგაგებით“, ფაქტობრივად სრულად იმეორებდა ვ. ბრანდტის ფორმულირებებს, რომელიც 2008 წლისათვის კიდევ უფრო დაიხვეწა და ეწოდა „პარტნიორობა მოდერნიზაციისათვის“.

გერმანიის უშუალო ხელმძღვანელობით 2008 წლის მაისში პოლონეთისა და შვეციის მთავრობები გამოვიდნენ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პლატფორმის შექმნის ინიციატივით, რაც, საბოლოოდ, იურიდიულად გაფორმდა კიდეც ევროკავშირის პრაღის სამიტზე 2009 წლის 7 მაისს. როგორც ევროკავშირის უმთავრესი ქვეყანა, გერმანია

გასაგები მიზეზების გამო განსაზღვრავდა და წარმატებით განსაზღვრავს დღესაც აღნიშნული ინიციატივის გატარებას. აღნიშნულის შესანიშნავი დადასტურებაა 2013 წლის ნოემბრის ევროკავშირის ვილნიუსის სამიტი, რომელზედაც კანცლერი ანგელა მერკელი იყო ერთადერთი ევროპელი პოლიტიკოსი, ვინც ცდილობდა მოენახა გამოსავალი უკრაინის ირგვლივ შექმნილი გართულებული პოლიტიკური სიტუაციიდან. მერკელის აზრით, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ იდეა უნდა გახდეს ევროპის უსაფრთხოების ქვაკუთხედი და ეს უნდა განხორციელდეს რუსეთის ფედერაციასთან ერთად და არავითარ შემთხვევაში მის საწინააღმდეგოდ, რათა ერთობლივი თანამშრომლობით აღმოიფხვრას ეთნიკური კონფლიქტები და დარეგულირდეს ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოთა შორის.

„აღმოსავლეთ პარტნიორობაში“ მონაწილე ქვეყნებს მიეცათ ევროკავშირთან ინსტიტუციური ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობა, რომელიც მოიცავს ასოცირების შეთანხმების ხელმოწერასა და ინტენსიურ სავიზო დიალოგს, რომლის მიზანიც არის ადამიანთა გადაადგილების არსებითი ლიბერალიზაცია შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლის ჩათვლით. ამ მრავალმხრივი თანამშრომლობის ოთხ თემატურ პლატფორმას შემდეგი მიმართულებები აქვს:

- დემოკრატია, კარგი მმართველობა, უსაფრთხოება და სტაბილურობა;
- ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან თავსებადობა;
- ენერგეტიკა, ტრანსპორტი და გარემოს უსაფრთხოება;
- მობილურობა და ხალხთა შორის კონტაქტები.

„აღმოსავლეთ პარტნიორობაში“ მონაწილე ქვეყნებს (საქართველო, ბელორუსი, უკრაინა, მოლდავეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი) შორის არსებითი განსხვავებაა როგორც საგარეო-პოლიტიკურ, ისე სხვა სფეროების პრიორიტეტებშიც.

2017 წლის მარტიდან საქართველომ და უკრაინამ თავიანთი მოქალაქეებისათვის ევროკავშირში მოკლევადიანი მგზავრობისათვის უვიზო რეჟიმი მიიღეს, რაც მნიშვნელოვანი მიღწევაა თავისუფალი გადაადგილებისათვის. ასოცირების შეთანხმებისა (ძალაშია 2016 წლიდან) და სხვა დარგობრივი შეთანხმებების გათვალისწინებით იგულისხმება: ღია ცა, გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა, მემორანდუმები ევროკავშირის საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში მონაწილეობის შესახებ _ საიდუმლო ინფორმაციის გაცვლა, ევროკავშირის სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობა. ეს ყოველივე მყარ საფუძველს ქმნის ღრმა ინსტიტუციური და პოლიტიკური თანამშრომლობისათვის. 2017 წელს ევროკავშირმა და საქართველომ სტრატეგიულ საკითხებზე თანამშრომლობის მაღალი დონის დიალოგს დაუდეს სათავე, რომელიც გაიმართება ყოველწლიურად საგარეო საქმეთა მინისტრის, მინისტრის მოადგილისა (საქართველოს მხრიდან) და ევროკავშირის საგარეო ქმედების სამსახურის მმართველობის დონეზე (ევროკავშირის მხრიდან). ამავე დროს, ქართველი მაღალი თანამდებობის პირები მართავენ რეგულარულ შეხვედრებს ევროკავშირის საბჭოს სამუშაო ჯგუფთან. 2018 წელს უმაღლესი დონის დარგობრივ დიალოგს ჩაეყარა საფუძველი. ზოგადად, საქართველო მიიჩნევა აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებს შორის ყველაზე აქტიურ რეფორმატორად და უდავოდ აღიარებულია, როგორც მაღალი ევროპული მისწრაფებების მქონე ქვეყანა.

მართალია, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფორმატი ამ ეტაპზე არ წარმოადგენს ევროკავშირში გაწევრიანების ინსტრუმენტს, მაგრამ იგი ხელს უწყობს ქვეყნის დასავლური ინტეგრაციის პროცესს, რომელიც ბაზისად უნდა იქცეს ევროკავშირის გაფართოების დროს და დასრულდეს საქართველოს ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრობით.

თავი I. საქართველოსა და გერმანიას შორის ურთიერთობების პირველი კავშირები

გერმანელი კოლონისტების საქართველოში გადმოსახლების სოციალურ-ეკონომიკური მიზეზები

საუკუნეებში ჩამოყალიბდა საქართველოსა და გერმანიას შორის პირველი კავშირები. გერმანიის წარსულსა და აწმყოზე ცნობები ჩნდება მას შემდეგ, რაც ერთიანი საქართველოს სახელმწიფო ყალიბდება. დინასტიური ქორწინებები სახელმწიფოთა პოლიტიკურ ცხოვრებაში ძველად დიდ როლს თამაშობდა, ქორწინება გამოხატავდა სამოკავშირეო ხელშეკრულებას და ქვეყნებს შორის ურთიერთობის განმტკიცებას უწყობდა ხელს. ერთიანი საქართველოს ბაგრატიონთა სამეფო ოჯახი ქორწინებას ამ ნიშნითაც იყენებდა, ბაგრატიონთა სამეფო კარი ძირითადად ბიზანტიელებს უმოყვრდებოდა, მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს ცნობები, რომ „რომის საღვთო იმპერიის“ (რომის საღვთო იმპერია დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში გერმანიად ასოცირდება) მბრძანებელმა ფრიდრიხ I ბარბაროსამ თავისი ვაჟი ჰერცოგი ფრიდრიხ შვაბელი, საქართველოს სამეფო კარს თამარ მეფის სასიძოდ შესთავაზა, მაგრამ საქართველოს სამეფო კარმა არჩევანი ანდრია ბუგოლიუბსკის ძეზე, იურიზე შეაჩერა. საქრთველო გეოგრაფიულად მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა რუკაზე, რადგან საქართველოზე გადიოდა საქარავნო გზები, სადაც უამრავი ვაჭრები, მოგზაურები და დიპლომატები გადადგილდებოდნენ, სწორედ ეს

ხალხი აწვდიდა ინფორმაციას ევროპის ქვეყნებს და კონკრეტულად გერმანიას საქართველოს შესახებ.

1816 წელს რუსეთი საქართველოში მთავარმართებელად გენერალ ალექსი ერმოლოვს ნიშნავს, რომლის მმართველობის დროსაც იწყება ქართველი და გერმანელი ერების მჭიდრო ურთიერთობა. მე-18 საუკუნეში ხელისუფლებამ საქართველოში გერმანელი კოლონისტები ჩამოასახლა. ეკატერინე მეორის ინიციატივით, რუსეთის მიერ დაპყრობილ სამხრეთ ტერიტორიებზე, სადაც ოსმალეთის იმპერია ესაზღვრებოდა, უნდა დაწყებულიყო გერმანელი და ევროპელი კოლონისტების მოწვევა-ჩამოსახლება. ამის განსახორციელებლად რუსეთში მიიღეს მთელი რიგი სამართლებრივი ნორმები, რადგან ჩამოსახლებულ კოლონისტებს პრობლემა არ ჰქონოდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან და ხელისუფლებასთან. კოლონისტები გარკვეულ საკითხებში პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ. ხელისუფლების აზრით, გერმანელი კოლონისტების კულტურა და ტრადიცია მისაბაძი უნდა გამხდარიყო ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ეკატერინე II-ის პოლიტიკა ერთგვარ ევროპეიზაციის თეორიაზე იყო დაფუძნებული .[1;2]

ნაპოლეონის ომების შემდგომ ევროპაში მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება ჩამოყალიბდა, რაც გახლდათ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ საქართველოში გერმანელმა კოლონისტებმა გადაწყვიტეს გადმოსახლება. ასევე განსაკუთრებული როლი ითამაშეს პროტენსტანტულმა რელიგიურმა ჯგუფებმა, გერმანელების ნაწილი აღიარებდა „ჰილიაზმ“-ის მოძღვრებას, რაც გულისხმობდა მეორედ მოსვლისა და მსოფლიო წარღვნის დასაწყისს. ისინი ცდილობდნენ ამ მოვლენებს აღმოსავლეთში, არარატის მთასთან შეხვედროდნენ.

---

[1] მანჯგალაძე გ., “გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში.“ გამომცემლობა „მეცნიერება.“ თბ., 1974;

[2] შუბითიძე ვ., „ნიკო ნიკოლაძე-კაცი სახელმწიფო“. თბ., 2017;

რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე პირველი 1815 წელს იმყოფებოდა შტუტგარტში, სადაც მას სწორედ ასეთი რადიკალური ჯგუფების „სეპარატისტების“ წარმომადგენლები შეხვდნენ და იმპერატორს სთხოვეს მათთვის ამიერკავკასიაში გადმოსახლების უფლება მიეცათ, იმპერატორმა გადმოსახლებაზე თანხმობა განაცხადა. კოლონისტები დუნაის გზით 1817 წელს დაიძრნენ ამიერკავკასიისკენ, მათ უმრავლესობას ბადენელი პროტესტანტები წარმოადგენდნენ.

გერმანიიდან პირველ ეტაპზე გადმოსახლებულმა კოლონისტებმა ხელისუფლების დახმარებით სულ რვა კოლონია შექმნეს: მარიენ-ფელდი _ სართიჭალა, ნოიტიფლისი _ კუკია, ალექსანდერდორფი _ დიდუბე, პეტერსდორფი _ სართიჭალის მახლობლად, ელიზაბეტტალი _ დღევანდელი ასურეთი, კატერინენფელდი _ ბოლნისი. ხოლო შემდგომ, ათწლეულების განმავლობაში რამდენიმე შვილობილი კოლონიაც ჩამოყალიბდა.[3] 1842 წელს აბასთუმნის მახლობლად ოცმა ოჯახმა დაარსა კიდევ ერთი კოლონია _ ფროიდენტალი. 1878 წელს კი კოლონისტები უკვე ბაიერნიდან გადმოსახლდნენ და ოცდაათმა ოჯახმა სოხუმის მახლობლად დაარსა ორი ახალი კოლონია: ნაიდორფი და გნადებერგი. საქართველოში ყველაზე დიდი კოლონია გახლდათ კატერინენფელდი, სადაც დაახლოებით 100-მდე ოჯახი ცხოვრობდა, საბჭოთა კავშირის პერიოდში კოლონიას ლუქსემბურგი ეწოდა. გერმანელ კოლონისტებს საქართველოში მოიხსენიებდნენ „ამიერკავ-კასიის გერმანულ კოლონიებად,“ ხოლო შემდეგ „საქართველოს გერმანულ კოლონიებად.“ გერმანელების უმრავლესობა საუბრობდნენ შვაბურ დიალექტზე. საქართველოში უკვე მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა კიდევ რამდენიმე კოლონია: ალექსანდერსჰილფი _

[3] პაიჭაძე დ.,“ გერმანია-საქართველოს არშემდგარი დოკუმენტი.“ „ცისკარი“, 2000;

წალკა, გეორგფელდი, აიგენფელდი, გრიუნფელდი და ტრაუბენ-ფელდი.[4]

გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლება გრძელდებოდა მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში და ჩამოსულები კოლონიებში სახლდებოდნენ ან დიდ ქალაქებში ხელოსნებად მუშაობდნენ.

ხელისუფლება პირველ ეტაპზე ცდილობდა დახმარებოდა გერმანელ კოლონისტებს, მათ უფასოდ უშენებდა სახლებს და ურიგებდა ფულს საქონლისა და შრომის იარაღების შესაძენად, ასევე კოლონისტების განკარგულებაში იყო სახნავ-სათესი და სავენახე ნაკვეთები, კოლონისტებს იცავდა შეიარაღებული ნაწილები მთიელთა თავდასხმებისგან. ხელისუფლებასთან ერთად კოლონისტებს პირველ წლებში ადგილობრივი მოსახლეობაც ეხმარებოდა, მოსახლეობა გერმანელებს ასწავლიდა სხვადასხვა ხერხებს სოფლის მეურნეობაში

[4] ბურჭულაძე გ., "გერმანელთა ახალშენები ამიერკავკასიაში". გამომცემლობა „მეცნიერება", თბ., 1911;

გამოსაყენებლად. კოლონისტებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ შენარჩუნებული გერმანიის მთავრობასთან.

ხელისუფლებისა და მოსახლეობის დახმარების მიუხედავად, კოლონისტებს მაინც გაუჭირდათ საქართველოს კლიმატთან და გეოგრაფიულ მდებარეობასთან ადაპტირება, ისინი უნდა შეგუებულიყვნენ მოუსავლიანობას და ეპიდემიებით გამოწვეულ სიძნელეებს.

კოლონისტთა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით ისარგებლა ხელისფლებამ და ისინი ლუთერანულ აღმსარებლობაზე გადაიყვანა. გერმანელთა უმრავლესობამ უარი თქვა თავიანთ „ჰილიასტურ“ რწმენაზე და ლუთერანულ ეკლესიას შეუერთდნენ, ლუთერანულმა აღმსარებლობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გერმანელთა ერთიანობისა და სიძლიერის ჩამოყალიბებაში. 1832 წელს, პირველად სამხრეთ კავკასიაში ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა წარმოიქმნა. ამ ყველაფერს მოჰყვა ლუთერანული ეკლესიის კურთხევა და სკოლების დაარსება, რომელებიც მშობლიურ შვაბიის რვაწლიან სახალხო კოლეჯებს შეესაბამებოდა. სკოლებში სწავლება გერმანულ ენაზე მიმდინარეობდა და ზედამხედველობას ლუთერანული ეკლესია უწევდა.

ფოტო: „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია _ გერმანელი კოლონისტების ოჯახი

გერმანელების დაარსებული ქალაქი საქართველოში – ბოლნისი

გერმანელი გლეხები სოციალურ კლასში იურიდიულად თავისუფალ ქართველ გლეხებს უთანაბრდებოდნენ, მაგრამ პრივილეგიების საშუალებით უკეთეს პირობებში იმყოფებოდნენ, ვიდრე ქართველი გლეხები. ამან განაპირობა კიდეც ეკონომიკური გაძლიერება, ხოლო შემდგომში უკვე მათ ინტერესებს ხელისუფლების მიერ დანიშნული ზედამხედველი იცავდა. კოლონისტები სრულიად გათავისუფლებულნი იყვნენ საბაზრო ბიუროკრატიული ადმინისტრაციისაგან.

გერმანელი კოლონისტები კარგად იცნობდნენ მიწათმოქმედებასა და მევენახეობას, მაგრამ გადმოსახლების პირველ ეტაპზე მათ გარკვეული პრობლემები შეექმნათ სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობასთან დაკავშირებით, ისინი ნაკლებად იცნობდნენ ქართულ ენდემურ ვაზის ჯიშებსა და ამიერკავკასიაში გავრცელებულ კულტურებს, გარდა ამისა გერმანიიდან ჩამოტანილი იარაღები ადგილობრივ პირობებში გამოუსადეგარი აღმოჩნდა. ამ ყველაფრის მიუხედავად მათ გამოაჩინეს გერმანული მტკიცე ხასიათი და შრომისმოყვარეობა, რამაც 40-50-იან წლებში გარკვეული შედეგებიც გამოიღო სამეურნეო-ეკონომიკურ სფეროში. გერმანელები ამავდროულად სწავლობდნენ ქართველებისგან ვაზის მოვლას, ქართულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, მძიმე ქართულ გუთანს, კევრის გამოყენებასა და სხვ. რადიკალურად შეიცვალა მდგომარეობა კოლონისტებისთვის, მას შემდეგ, რაც 1870-იან წლებში რუსეთში გატარდა აგრარული რეფორმები, ამან გამოიწვია ის, რომ კოლონისტებს ჩამოართვეს განსაკუთრებული უფლებები, გაუუქმდათ თვითმმართველობა და სამხედრო ვალდებულებაც დაეკისრათ, ხოლო სკოლები რუსულ სახალხო განათლებაზე გადაკეთდა.

გერმანელი კოლონისტების ძირითადი საქმიანობა ხელოსნობა იყო. მე-19 საუკუნის ბოლოსთვის თბილისში უკვე 4 ათასამდე გერმანელი ცხოვრობდა. გერმანელი ხელოსნები ორ რიგად ჩამწკრივებულ

ერთსართულიან საკუთარ სახლებში ცხოვრობდნენ. მთავრობის ხელშეწყობით გერმანელებმა დაიწყეს საკუთარი პროდუქციის წარმოება-გაყიდვა. მათ დანერგეს საქართველოში კარტოფილის მოყვანის კულტურა, ჩაუყარეს საფუძველი ისეთი პროდუქციის წარმოებას, როგორებიცაა: გერმანული ძეხვეული და შვეიცარიული ყველი. კაპიტალის დაგროვებასთან ერთად, გერმანელები ავითარებდნენ საკუთარ ბიზნესს და თანხას უკვე ისეთი მსხვილი მეურნეობების შექმნაში აბანდებენ, როგორიც იყო კუხენბახისა და ფორერის მეურნეობა.[5]

საქართველოში მცხოვრები გერმანელები ამზადებენ ლუდის კასრებს, ეკატერინენფელდი (თანამედროვე ბოლნისი), XIX-XX საუკუნეების მიჯნა.

[5] Никифоров Н., Экономический быт немецких колонистов в Закавказском крае. материаль для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края Т. I. М., 1985;

ადგილობრივი კოლონისტების გარდა თბილისში ასევე ჩამოდიოდნენ და რჩებოდნენ გერმანელი ერთობის წევრები, შავი ზღვისპირეთიდან გადმოსახლებული გერმანელები, ვოლგისპირელი მუშები და ბალტიისპირელი გერმანელები, მათი საქმიანი ვიზიტები თბილისში უფრო და უფრო იზრდებოდა, ხოლო ბოლოს თბილისშიც კი რჩებოდნენ ბიზნესის დასაწყებად. ბალტიისპირელი გერმანელები უფრო სამართლებრივ და ადმინისტრაციულ სტრუქტურებში მონაწილეობდნენ და პოლიტიკურ თანამდებობებზე აცხადებდნენ პრეტენზიას, მათი მეორე ნაწილი კი აფთიაქარები და ექიმები იყვნენ, ასევე ცნობილი სამხედრო ოფიცრებიც. ეტაპობრივად ბალტიისპირეთიდან ჩამოსული გერმანელები ქალაქის ელიტარული საზოგადოების წარმომადგენლებიც გახდნენ. მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოში შემოდის ცნობილი ფირმა „სიმენსი“, რამაც გამოიწვია თბილისში მრავალი ტექნიკოსის, მექანიკოსისა და ინჟინრის ჩამოსვლა. მათი დიდი ნაწილი ქალაქის წყლით მომარაგებასა და ელექტროგაყვანილობაზე მუშაობდა.[6]

გერმანელი კოლონისტები საქართველოში _ სოფელი ელიზაბეტალი

[6] გაზეთი „კვალი“, 1898 წ. №8;



გერმანელი კოლონისტები კავკასიაში

გერმანელი კოლონისტების საცხოვრებელი სახლები არაფრით განსხვავდებოდა ადგილობრივი მცხოვრებებისგან, მაგრამ არქიტექტურა და ინფრასტრუქტურა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იცვლება, როდესაც გერმანელი კოლონისტები გადადიან სწორად დაგეგმილ ფართო (ე.წ. მთავარი ქუჩა) ქუჩების მშენებლობაზე, რომლებიც ერთმანეთს პერპენდიკულარული, უფრო ვიწრო ქუჩებით უერთდებოდნენ. ასეთი მოწესრიგებული ქუჩები უფრო ხშირად შეძლებულ კოლონიებში გვხვდებოდა, კოლონიის ცენტრში ასევე მდებარეობდა სამმართველო, ეკლესია, სკოლა და საზოგადოებრივი შენობები.

გერმანელი კოლონისტების საცხოვრებელი სახლი

გერმანელი კოლონისტები ტიპურ შვაბურ ტანსაცმელს ატარებდნენ, მაგრამ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან შვაბური ტანსაცმელი მასიურად ქრება მათი ყოველდღიური ცხოვრებიდან და ისინი ქალაქში გავრცელებულ ევროპულ სამუშაო და სადღესასწაულო კოსტიუმებს იცვამდნენ.

გერმანელ კოლონისტებში ოჯახი სტრუქტურულად კარგად გამართულ იერარქიაზე იყო აგებული, ოჯახის უფროსი და მეთაური მამა გახლდათ, რომელსაც ემორჩილებოდა ოჯახის ყველა წევრი. ყოველდღიურ საოჯახო საქმეებს კი ოჯახის დიასახლისი ასრულებდა, ამასთან დიასახლისი ჩართული იყო ქმართან ერთად მნიშვნელოვან ფიზიკურ სამუშაოებში. ბავშვები მკაცრად იზრდებოდნენ რელიგიურ გარემოში და პატარეობიდანვე აჩვევდნენ შრომასა და დისციპლინას. როდესაც ოჯახში ვაჟი ქორწილდებოდა, იგი ოჯახს ეყოფოდა და ცალკე

კერას ქმნიდა, მშობლები ეხმარებოდნენ მას საკუთარი სახლის აშენებასა და მეურნეობის შეძენაში, ნებადართული იყო ბიძაშვილების შეუღლება.

გერმანული ტრადიციების მიხედვით, ქორწილი გვიან შემოდგომაზე ან ზამთარში იმართებოდა. ახალგაზრდების შეუღლებაში მნიშვნელოვან როლს მშობლები ასრულებდნენ, ამიტომ ამ აქტს უფრო დიდი ყურადღება ეთმობოდა მატერიალური კუთხით, ვიდრე გრძნობების თვალსაზრისით. დასაქორწინებელი ქალი არანაკლებ 17-ის, ხოლო ვაჟი 20 წლისა უნდა ყოფილიყო.[7]

გერმანული ქორწილი ეკლესიაში ჯვრისწერით იწყებოდა, მაგრამ იყო ერთი დეტალი, სხვა ქრისტიანული მიმდინარეობებისგან განსხვავებით, ლუთერანულ ეკლესიაში წყვილები ბეჭდებს არ ცვლიდნენ. საეკლესიო რიტუალის შემდეგ სტუმრები დედოფლის მშობლების სახლში მიდიოდნენ, სადაც ქორწილი იმართებოდა.[8]

გერმანელი კოლონისტების როლი საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში

გერმანულმა კოლონიებმა კავშირი დაამყარეს ევროპასთან, ისინი აქტიურად თანამშრომლობდნენ გერმანიის მთავრობასთან, ამ ყველაფერმა გამოიწვია საქართველოს პოპულარიზაცია ევროპაში, ასევე მრავალი გერმანელი მოღვაწე ჩართული იყო საქართველოს განვითარების საქმეში. კავკასიაში მოგზაურობდნენ გერმანელი მეცნიერები, ისინი საქართველოში ეკატერინე II-ის დავალებით ჩამოვიდნენ და ევალებოდათ უმაღლესი ხელისუფლებისთვის რეგიონში ეკონომიკური

[7] პაიჭაძე დ.,,, გერმანია-საქართველოს არშემდგარი დოკუმენტი.“ „ცისკარი“, 2000;

[8] სონღულაშვილი ა., “ეროვნულ უმცირესობათა კულტურა საქართველოში”. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2002;

მდგომარეობის შესწავლა და მათთვის წარდგენა. მათ შორის იყო აკადემიკოსი იოჰან გიულდენშტედტი, რომელმაც შეადგინა დღემდე აქტუალური საქართველოს რუკა.

გერმანელი ექიმი, დიპლომატი და პოლიტოლოგი იაკობ რეინეგსი (ქრისტიან რუდლოფ ელიხი) მოღვაწეობდა ერეკლე II-ის კარზე, მისი დამსახურებიდან გამომდინარე, ერეკლე II-მ მას ბოლნისის მიდამოებში შვიდი სოფელი აჩუქა.[9]

თბილისში პირველი აფთიაქის გახსნა და ფუნქციონირება დაკავშრებულია გერმანელ ფარმაცეტებთან. ფლორ შიონბერგზემ თბილისში სააფთიაქო საქმე 1829 წელს დაიწყო ზემელთან ერთად .[10]

თბილისის გერმანული მიხეილის ქუჩა. ნოი-ტიფლისი.

ბორჯომის პარკებისა და ალექსანდრეს პარკის გაშენებას ხელმძღვანელობდა ბაღების არქიტექტორი ჰაინრიხ შარერი, მან საქართველოში ოცდაათი წელი იცხოვრა. თბილისში 1870 წელს გუსტავ

[9] ბრეგაძე ლ., არტურ ლაისტის გაზეთი და საქართველო. „კრიტიკა“ №3, თბ., 1975;

[10] Архиви германии часть 2-я народы кавказа http://chechenews.com/немецкая-политика-на-северном-кавказ-2/

რადეს ძალისხმევით კავკასიის მუზეუმი გაიხსნა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მხარეთმცოდნეობის ერთადერთი მუზეუმი იყო რუსეთის იმპერიაში.[11]

ცნობილი გეოლოგი პროფესორი ჰ.აბიხი მეცნიერთგან ერთ-ერთი ყველაზე დამსახურებული პიროვნება გახლდათ, იგი მოღვაწეობდა კავკასიის მეფისნაცვალის ადმინისტრაციის სამთო საქმის მთავარ მოხელედ და საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სასარგებლო წიაღისეულთა მეცნიერულ შესწავლას. მისი დამსახურებაა საქართველოში მანგანუმის, ქვანახშირისა და სხვა საბადოების გამოვლენა .[12]

საქართველოსადმი დაინტერესებას ყოველთვის იჩენდნენ გერმანული ფირმები, ისინი მონაწილეობდნენ სპილენძის მოპოვებასა და ჭიათურის მანგანუმის დამუშავებაში. ასევე განსაკუთრებულ ყურადღებასა და ინტერესს იჩენდა ცნობილი გერმანული ფირმა „სიმენსი“, რომელმაც 1858 წელს მთელ საქართველოში პირველად შექმნა სატელეფონო ხაზების ხშირი ქსელი. მათ ყველაზე დიდ მიღწევად საქართველოში ითვლებოდა ლონდონ-კალკუტის სატელეფონო ხაზის შექმნა, რომლის სიგრძე 10 ათას კილომეტრს ითვლიდა და მთავარ საკვანძო წერტილს თბილისი წარმოადგენდა. [13]

თბილისში 1922 წელს დაარსდა „კავკასიის ხელოვანთა საზოგადოება“, რომლის დამფუძნებელიც გერმანელი კარიკატურისტი ოსკარ შმერლინგი გახლდათ. შმერლინგის ნათესავმა, ალბერტ ზალცმანმა, საქართველოში მრავალი მნიშვნელოვანი შენობა ააგო: კავკასიის მუზეუმი, საქალაქო ბიბლიოთეკა, ბორჯომის საზაფხულო სასახლე, სასტუმრო «ორიენტი», ცისფერი გალერეა, კათოლიკური ეკლესია. პაულ შტერნის აშენებულია დღევანდელი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი. არქიტექტორ ლეოპოლდ ბილფელდს თბილისის ქაშუეთის

[11] Басихин П., „Немецкие колонии на Кавказе.“ „Кавказский вестник“, Москва., 1900;

[12] სონღულაშვილი ა., ,,გერმანელები საქართველოში”. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 1985;

[13] გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918 წ. 28 ივნისი;

ეკლესიის, ლიკანის მეფისნაცვლის სასახლისა და აღმაშენებლის პროსპექტზე ვეტცელის სასტუმროს პროექტები ეკუთვნის.[14]

ვეტცელის სასტუმრო და თეატრი მიხეილის გამზირზე, 1897-1900. არქიტექტორი ლეოპოლდ ბილფელდი

თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია. 1893-1897. არქიტექტორი ოტო იაკობ სიმონსონი და ლეოპოლდ ბილფელდი.

[14] გაზეთი „ივერია“, 1899 წ. №260;

თბილისის კონსერვატორიის პროფესორმა კესნერმა და პიანისტმა კერერმა საქართველოს მუსიკალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. საავიაციო დარგში საქმიანობდა გამოცდილი მფრინავი-ინსტრუქტორი მილი.

კავკასიის იმპერიულმა ადმინისტრაციამ პირველი მსოფლიოს ომის დაწყების პერიოდში და ომის შემდეგ გერმანელი კოლონისტებისათვის მკაცრი ღონისძიებები გაატარა, რის გამოც კოლონისტები რთულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაში აღმოჩდნენ. კოლონიებს შეეცვალათ გერმანული სახელწოდებები და ისინი რუსულ ენაზე გადაკეთდა. ომის დაწყებიდან ერთ წელიწადში გერმანელ კოლონისტებს მეფისნაცვალის ბრძანებით მიუჩინეს მამასახლისები და მოხელეები იმისთვის, რომ მათი საქმიანობისთვის თვალყური ედევნებინათ. კოლონისტებს კარგად ესმოდათ, რომ შექმინილი ვითარება გამომდინარეობდა რუსეთ-გერმანიის ომის გამო.

გერმანელი კოლონისტები ცდილობდნენ ხაზი გაესვათ სახელმწიფოსადმი ერთგულებისთვის. მათ დაიწყეს ფულის შეგროვება წითელი ჯვრისთვის _ ლაზარეთის გასახსნელად, დროულად გამოცხადნენ გასაწვევ პუნქტებში და სახელმწიფოს გადასცეს მოთხოვნილი ცხენები და ფურგონები, იმისთვის რომ მათ ლოიალობაში ეჭვი არავის შეეტანა. მათი საქციელი ამტკიცებდა იმას, რომ ისინი ერთგულნი იყვნენ სახელმწიფოს მიმართ და მეფისნაცვალის მიერ გატარებული ღონისძიებები არანაირ ლოგიკაში არ ჯდებოდა.

რუსეთის პრესაში დაიწყო კამპანია პირველ მსოფლიო ომამადე რუსეთ-გერმანიის ეკონომიკური წინაღმდეგობის გამწვავების გამო ე.წ. «გერმანული ძალმომრეობისგან» გასათავისუფლებლად. ისინი გამოხატავდნენ ბურჟუაზიის ფენის ზოგიერთ ინტერესებს და ეს ნაწილი ცდილობდა განთავისუფლებულიყო უცხოელთა კონკურენციისაგან, ხოლო მემამულეები მიწის ფართობების შეძენას ესწრაფვოდნენ

იმპერიის სამხრეთ რეგიონებში, სადაც მათ ძლიერ კონკურენციას უწევდნენ გამდიდრებული გერმანელი კოლონისტები.

მეფის მთავრობამ გერმანელთა მიწათმფლობელობის შეზღუდვა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე სცადა, მაგრამ 1915 წლის 2 თებერვალსა და 13 დეკემბერს რუსეთში გამოიცა კანონები, სადაც გერმანელ მიწათმფლობელებს საკუთრებაში არსებული მიწების ლიკვიდაცია უნდა შეხებოდათ. რუსეთის პოლიტიკური ელიტა თვლიდა, რომ ეს კანონი დამღუპველი იქნებოდა ეკონომიკისა და აგრარული სექტორისთვის, ამიტომ კანონის გატარების წინაღმდეგ გამოვიდნენ, როგორც „მემარჯვენეები," ისე „მემარცხენე" სოციალ-დემოკრატიული პარტიები.[15]

გერმანელი კოლონისტები შექმნილ სიტუაციას აანალიზებდნენ და აღარ აწარმოებდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას, რადგან არსებობდა იმის საშიშროება, რომ საკუთრებაში არსებული მიწები ჩამოერთმეოდათ. აქედან გამომდინარე, რუსეთის დიდ ქალაქებში უკვე პურისა და სურსათის დეფიციტი შეიქმნა, ამას ემატებოდა, პირველი მსოფლიო ომიდან გამოწვეული შედეგები. ამიტომ რუსეთის მინისტრ-თა საბჭომ 1916 წელს მიიღო დადგენილება, რომ კოლონისტებს, რომლებიც განაგრძობდნენ ხვნა-თესვას, მიწებს, სულ მცირე, ორი წლით შეუნარჩუნებდნენ. ამით ცარიზმის ბიუროკრატიამ ოფიციალურად აღიარა მის მიერ მოფიქრებული და ფართოდ რეკლამირებული გეგმის ჩაშლა. დროებით მთავრობას არც უცდია ამ საკითხის ახლებურად გადაჭრა. მან საერთოდ შეაჩერა სალიკვიდაციო ღონისძიებები მიწათმფლობელობის დარგში.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდის საარქივო დოკუმენტები მოწმობს, რომ საქართველოში მცხოვრები გერმანელების ზოგიერთი

[15] მანჯგალაძე გ., ,,გერმანული კაპიტალი ამიერკავკასიაში". გამომცემლობა „მეცნიერება", თბ., 1991;

წარმომადგენელი დაკავშრებული იყო თბილისის გერმანულ საკონსულოსთან და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა გერმანიის სადაზვერვო საქმიანობაში. გერმანიის საკონსულოში კონსულად გრაფი შულენბურგი დაინიშნა. გასაკუთრებით ამ პერიოდიდან იწყება გერმანელთა გააქტიურება კავკასიაში.

თბილისში 1906 წელს დაარსდა გერმანულენოვანი გაზეთი „კაუკაზიშე პოსტი“, გაზეთის მთავარი დანიშნულება იყო ამიერკავკასიაში მცხოვრებ გერმანელთა ინფორმირება, თუ როგორი იყო ადგილობრივი და საერთაშორისო ქრონიკები. გაზეთის რედაქტორი გახლდათ ცნობილი საზოგადო მოღვაწე არტურ ლაისტი, რომელმაც გერმანულ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნა.[16]

Kaukasische Post

Erscheint jeden Sonntag.

№ 1 Sonntag den 12. Juni (1 Juli) 1906. 1 Jahrgang.

Dr. K. Schachmiradoff.

An unsere Leser.

გაზეთ „კაუკაზიშე პოსტის“ პირველი ნომრის პირველი გვერდი

1918 წლის მაისში, როდესაც საქართველოში გერმანიის ჯარები შემოვიდნენ, გერმანელი კოლონისტები განსაკუთრებით გააქტიურდნენ. საქართველოს ტერიტორიაზე გერმანელთა სარდლობამ შემოსვლისთანავე გამოაცხადა აქ მცხოვრები ყველა გერმანელის სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო ტყვეთა მობილიზაციის შესახებ. თურქები 1918 წლის მარტში მიღებული ბრესტის ზავით გათვალისწინებულ ტერიტორიებს არ დასჯერდნენ და სურდათ მთელი ამიერკავკასიის დაკავება, სწორედ ამან განაპირობა

[16] შამილიშვილი მ., „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი“, უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 217, თბ., 2018 წელი.

გერმანიის ჯარების მოწვევა საქართველოში. გერმანიას ამ მომენტში თურქეთის შემაჩერებელი და დამაბალანსებელი როლი უნდა ეთამაშა რეგიონში. სწორედ გერმანელთა საქართველოში შემოსვლამ განაპირობა ის, რომ საქართველო თურქეთის ოკუპაციას გადაურჩა.[17]

გარდა ამ ყველაფრისა, გერმანელებმა დიდი როლი ითამაშეს და გარკვეული დახმარება გაუწიეს საქართველოს სხვადასხვა ანტისახელმწიფოებრივი ამბოხების ჩახშობაში, რომლებიც ძირითადად ბოლშევიკური რუსეთის მიერ იყო ინსპირირებული. 1918 წლის 9 ნოემბრის რევოლუციამ გერმანიაში მონარქია დაამხო, ამან განაპირობა გერმანიის ჯარების საქართველოს დატოვება. ხოლო 1918 წლის 11 ნოემბერს გერმანიის წარმომადგენლებმა კომპიენის ტყეში მოაწერეს ზავს ხელი, რომელიც გულისხმობდა გერმანიის კაპიტულაციასა და დამარცხებას, აქედან გამომდინარე, 1918 წლის დეკემბერს გერმანიის ჯარის ბოლო ნაწილებმა და დელეგაციამ თბილისი დატოვა.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს 1921 წლის თებერვლის ანექსიას მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უარყოფითად შეხვდა, ასევე უარყოფითი დამოკიდებულება გააჩნდათ საქართველოში მცხოვრებ გერმანელებსაც. ეტაპობრივად ხდებოდა სრული „გაწითლება“, დაიხურა გერმანული დაწესებულებები და 1922 წელს გაზეთმა „კაუკაზიშე პოსტმა“-ც შეწყვიტა არსებობა, ასევე დაიშალა „ამიერკავკასიის გერმანელთა გაერთიანებაც“. რუსიფიკაციის წლების შემდეგ გერმანელი მოსახლეობა ეროვნულ უმცირესობად აღიარეს.

გასაბჭოება ასევე შეეხო გერმანულ კოლონიებს, რომლებიც სოფლის მეურნეობით იყვნენ დაკავებულნი, ვინც დადგენილ ნორმაზე მეტ ფართობს ფლობდა, იძულებული შეიქმნა „ზედმეტი“ ფართობი ღარიბი გლეხებისთვის გადაეცა. საბოლოო წერტილი გერმანელი

[17] სონღულაშვილი ა., ,,საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს უმცირესობები”. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2018;

კოლონისტების დაშლისა გახლდათ 1930-იან წლებში დაწყებული კოლექტივიზაცია. კოლექტივიზაციის მოწინააღმდეგეები დააპატიმრეს. გერმანელების ნაწილმა 1930 წელს გერმანიაში დაბრუნება გადაწყვიტა.[18]

*თბილისის ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის ობერპასტორი რიჰარდ მაიერი. იგი დააპატიმრეს **1931** წელს და მალევე დახვრიტეს*

გერმანელებს მტრის იარლიყი მიაწებეს და არასაიმედო ეთნიკურ ჯგუფად აღიარეს, სტალინის მმართველობის პერიოდში გერმენელებს, მეფის რუსეთის მსგავსად, საბჭოთა ხელისუფლებაც განსაკუთრებულ ყურადაღებას აქცევდა და მეთვალყურეებიც მიუჩინეს. სხვადასხვა

[18] სონღულაშვილი ა., "გერმანელები საქართველოში". გამომცემლობა „უნივერსალი", თბ., 1985;

მონაცემებით, 1941 წელს საქართველოდან 24 ათასამდე გერმანელი გაასახლეს. გერმანელთა დეპორტაცია მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით მიმდინარეობდა. საქართველოში დარჩენის უფლება მხოლოდ არაგერმანულ ოჯახებში გათხოვილ ქალებს მისცეს. სსრკ-ს სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის 1941 წლის 8 ოქტომბრის დადგენილებით, საქართველოდან ყაზახეთში 23.580 გერმანელი უნდა გაესახლებინათ. უმეტესობას ბარგის ჩასალაგებლად რამდენიმე საათი მისცეს. მათ საცხოვრებელ სახლებს, ბინებს, ავეჯსა და საქონელს ყადაღა დაადეს. დეპორტირებულები საქონლის ვაგონებით ჩაიყვანეს ჯერ ბაქოში, იქიდან გემებით კრასნოვოდსკში, ალტაის მხარეში და შემდეგ ისევ მატარებლით ყაზახეთსა და ყირგიზეთში. ბევრი მათგანი, აუტანელი სამგზავრო პირობების გამო, გზაში დაიღუპა, ბევრი გადასახლების ადგილზე ჩასვლისთანავე სხვადასხვა დაავადების მსხვერპლი გახდა. 1942 წელს 12-დან 70 წლამდე გადასახლებული მამაკაცი გაიწვიეს ე.წ. ,,შრომით არმიაში".

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებით, 1955 წელს გააუქმეს საგანგებო დასახლებათა რეჟიმი და საბჭოთა გერმანელებს ნება დართეს დაბრუნებულიყვნენ იმ მშობლიურ ადგილას, საიდანაც გადაასახლეს. 1979 წლამდე 2053 დეპორტირებული გერმანელი დაუბრუნდა საქართველოს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში შექმნილ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას უკავშირდება გერმანელების შემცირება და საქართველოს დატოვება. მძიმე პირობების გამო ბევრმა გერმანელმა საქართველო გადაწყვიტა. გერმანიის მთავრობა ყველა-ნაირად ეხმარებოდა გადასახლების მსურველ გერმანელებს დაბრუ-ნებულიყვნენ გერმანიაში.[19] მიუხედავად ამისა, გერმანელებსა და

[19] შპრინგჰორნი დ., ,,გერმანელები საქართველოში". თბილისის გოეთეს ინსტიტუტი, თბილისი., 2004;

ქართველებს შორის მრავალმხრივი თანამშრომლობა დღესაც გრძელდება.

გერმანიის ექსპანსია ახლო აღმოსავლეთში XIX საუკუნის მეორე ნახევარში და ქართული პრესა

საფრანგეთ-პრუსიის ომში (1870-1871წწ.) პრუსიის გამარჯვების შედეგად დამთავრდა გერმანიის გაერთიანება. ფრანკფურტის ზავის შემდეგ (1871 წლის 10 მაისი) გერმანიის იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავდა მისი მსხვილი ბურჟუაზია და პრუსიის იუნკრები კანცლერ ოტო ფონ ბისმარკის მეთაურობით.[20] გერმანიის იმპერიის მმართველი წრეების ნაწილი აქტიური კოლონიური ექსპანსიის განხორციელებას მოითხოვდა და მას უკავშირებდა ქვეყნის ეკონომიკურ, სამრეწველო და სავაჭრო განვითარებას .[21]

ქართული პერიოდული პრესა დიდი ყურადღებით აკვირდებოდა გერმანიის საგარეო პოლიტიკას, რომელიც ბისმარკის წინამძღოლობით აგრესიის გზას დაადგა. ბისმარკის მოღვაწეობის დახასიათებისას ქართული პრესა პირდაპირ აცხადებდა, რომ იგი გარკვეულ გავლენას ახდენდა იმდროინდელი გერმანიის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაზე, რამაც გერმანიაში რეაქციის ზრდას დიდად შეუწყო ხელი, ყოველივე ეს კი მძიმე ტვირთად დააწვა იმ არაგერმანელ ხალხებს, რომლებიც გერმანიის იმპერიასთან რაიმე დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ: „დრო და მისი პოლიტიკა გერმანიის ქვეშევრდომთა ტომებისათვის სწორედ აუტანელ რკინის ჯაჭვად გადაიქცა“.[22]

---

[20] ჩოჩია ვ., ,,ბისმარკი და გერმანიის პრობლემა (1862-1882)“. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი., 1978;

[21] გაზთი „საქართველო“, 1918 წ. 26 ივლისი;

[22] გაზეთი „კვალი“, 1894 წ. №12;

გერმანიის კოლონიური პოლიტიკის დაწყებისთანავე ქართული პრესა შენიშნავდა: „გერმანიას სწადია ინგლისს კოლონიებზე გავლენა შუა გაუყოს... შორეულ ქვეყნებში ამისთვის გაგზავნილი ხომალდები გერმანიის ხან ერთ კუნძულზე გაშლიან გერმანიის დროშას, ხან მეორეზე“. „წყნარ ოკეანეზე არის კუნძულები, _ განაგრძობდა „დროება“, _ რომელზეც ჯერ არავინ დამკვიდრებულა. ისინი შეადგენენ საგანს ცილობისასა ევროპის სახელმწიფოთა შორის... ეს ორნი სახელმწიფონი... ჰგზავნიან ხომალდებს სადავლოდ ოკეანეს იქით. ამას მისწრაფების პოლიტიკა რომ დავარქვათ, ნამდვილთან შორს აღარ ვიქნებით... ასეთი „მსუნაგობა“ კუნძულებისა და კოლონიებისა გამოწვეულია ბისმარკის მეოხებით... ბისმარკის თაყვანისცემა გერმანიის ხალხში გამოწვეულია თითქმის მხოლოდ ამ გარეშე პოლიტიკით, რომელიც გერმანიის სახელს შორს ავრცელებს და ამ ქვეყანას ჰხდის პოლიტიკური მოძრაობის ცენტრად.“ ინგლის-გერმანიის ინტერესები ერთმანეთს ყველაზე თვალსაჩინოდ მაინც ახლო აღმოსავლეთში დაუპირისპირდა. აღსანიშნავია, რომ ახლო აღმოსავლეთით გერმანია ჯერ კიდევ თავისი კოლონიური პოლიტიკის დაწყებამდე დაინტერესდა. თუმცა მისი ექსპანსია აქ XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო, თურქეთისადმი ინტერესი მას თითქმის ნახევარი საუკუნით ადრე გაუჩნდა. პირველად ბურჟუაზიულმა ეკონომისტმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ ფრიდრიხ ლისტმა მოითხოვა ყველა სამრეწველო ქვეყნის დაშვება აზიის ბაზრებში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოტომანთა იმპერიის გაყოფის შემთხვევაში გერმანიას მისი დიდი ნაწილი უნდა რგებოდა.“ თუ მაღალი პორტა დაეცემა, როგორც გვიან შემოდგომაზე ხმელი ფოთოლი ეცემა ხოლმე, ვის უნდა ერგოს მისი მემკვიდრეობა? იტალიელებს? ფრანგებს? რუსებს?... მემკვიდრეობა გერმანელებმა უნდა მიიღონ, რომელიც უნგრეთთან ხელიხელჩაკიდებული მოქმედებს“.[23]

[23] გაზეთი „დროება“, 1884 წ. №270;

ლისტმა გერმანიასა და ინგლისს შორის თურქეთის გაყოფის გეგმაც კი შეადგინა, ხოლო შემდეგ პირველმა დაასაბუთა პირდაპირი სარკინიგზო ხაზის პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა, რომელიც ცენტრალურ ევროპას სპარსეთის ყურესთან დააკავშირებდა. მის მიერ შემუშავებული პროექტის თანახმად, ხაზი გაყვანილი უნდა ყოფილიყო სირიასა და მესოპოტამიას შორის. ახლო აღმოსავლეთში ინგლისისა და რუსეთის პოზიციების საპირისპიროდ ეს ხაზი მას ავსტრიის კონტროლისთვის უნდოდა დაემორჩილებინა, რაც გერმანიის გავლენას უთუოდ გააძლიერებდა. ამასთანავე, ლისტს მეტად საჭიროდ მიაჩნდა რკინიგზის მეშვეობით აღედგინა ძველი სავაჭრო გზა სპარსეთის ყურის სანაპიროდან შავი ზღვისაკენ ბასრასა და ბაღდადზე გავლით, რომელიც ევროპის ცენტრამდე უნდა გაგრძელებულიყო. ამ გეგმის განხორციელება გერმანიისთვის მეტად სასურველი იქნებოდა, რადგანაც მას ხელში ჩაუგდებდა აზიისა და ევროპის ვაჭრობის მნიშვნელოვან ნაწილს.

გერმანიამდე ახლო აღმოსავლეთში ფეხი საკმაოდ მაგრად ჰქონდა მოკიდებული სხვა დიდ სახელმწიფოებს _ ინგლისსა და რუსეთს, რომლებსაც ამ მხარით გერმანიის დაინტერესებამ დარდი გაუჩინა, რადგანაც მისი სახით მათ ძლიერი კონკურენტი გამოუჩნდათ. ჟურნალი „კვალი“ აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტური ევროპის ნაწარმისათვის ახალი ბაზრის ძიების „სარბიელზე სამი თუ ოთხი ძლიერი სახელმწიფო ერთმანეთს ეჯიბრებიან და მოსვენებას არ აძლევენ, თუმცა შინ ერთმანეთს არწმუნებენ _ მეგობრები ვართო, მაგრამ როცა რომელიმე იმისთანა ქვეყანას შეხელთავს, როგორიც მაგალითად ეგვიპტეა ან ოსმალეთი და იქ სხვაზე მეტ გავლენას გაავრცელებს, მაშინ უნდა უყუროთ დანარჩენი სახელმწიფოების ბურჟუაზიის მითქმა-მოთქმას“.[24]

[24] გაზეთი „კვალი“, 1898 წ. №8;

ახლო აღმოსავლეთში განსაკუთრებით აქტიური მოქმედება გერმანიამ XIX საუკუნის უკანასკნელ წლებში იწყო და მიუხედავად იმისა, რომ მან იქ სხვა სახელმწიფოებზე გვიან შედგა ფეხი, გაბედული და ენერგიული მოღვაწეობით მალე სასურველ შედეგს მიაღწია. დიდ სახელმწიფოთა შორის თურქეთის ბაზრებისთვის ბრძოლა ყველაზე თვალსაჩინოდ სწორედ ამ პერიოდში გამოიკვეთა. გერმანია დიდ ყურადღებას უთმობდა თურქეთში თავის საკონსულო წარმომადგენლობას, რომელიც ოტომანთა იმპერიაში და საერთოდ აღმოსავლეთში, ეკონომიკური შეღწევის გზითა და თავისი გავლენის უზრუნველყოფის მიზნით, მრავალი საკონსულოს დაარსებას ითვალისწინებდა.

XX საუკუნის დამდეგისთვის რუსეთში გულისტკივილით აღნიშნავდნენ, რომ მცირე აზიაში ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ წარმოების მთელ რიგ დარგებსა და ვაჭრობაში გერმანიისთვის სერიოზული მეტოქეობის გაწევის მიუხედავად, სინამდვილე, ყველგან და ყველაფერში გერმანიის იმპერიის დიდ წარმატებას ცხადყოფდა. რუსეთის საქონელბრუნვა კი იმ დროს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ უმნიშვნელო და არაპერსპექტიული იყო.

თურქეთმა დიდი სახელმწიფოებიდან გერმანიას მისცა უპირატესობა, თუმცა იმასაც ცდილობდა, რომ არ ეწყენინებინა რუსეთისთვის, რომელიც, ბერძნებთან ბრძოლაში თურქეთის წარუმატებლობის შემთხვევაში, კონსტანტინოპოლის დასაცავად თავისი ჯარის შეყვანას აპირებდა. „ასე აშკარად, ასე უშიშრად, ჯერ არც ერთ სამეფოს არ დაუჭერია ჩვენთან კავშირი, როგორც გერმანიას, რომელიც როგორც ყველაზე ნაკლებად მოწადინებული პირი ბოსფორის დაპყრობაზე, ეცდება, რომ ჩვენ ხელუხლებლად დავრჩეთ აქ“, _ ამბობდნენ თურქები.[25] მართლაც, გერმანია თავისი გეგმების განხორციელებისთვის თურქეთის ნდობის დამსახურებას ცდილობდა. იმის მიუხედავად, რომ

[25] გაზეთი „კვალი“, 1898 წ. №16;

გერმანია საბერძნეთის სამეფო კარის მიმართ ცუდად განწყობილი არასოდეს ყოფილა, საბერძნეთ-თურქეთის ომის დროს იგი თურქეთის სასარგებლოდ მოქმედებდა, რაც ამ უკანასკნელს საბაბს აძლევდა, გერმანია და მისი იმპერატორი თავის მეგობრად და კეთილისმსურველად მიეჩნია. თურქეთის თავის მხარეზე გადაბირება და იქ თავისი გავლენის განმტკიცება გერმანიას სხვადასხვა მოსაზრებით აწყობდა. მაგალითად, რუსეთთან ომის შემთხვევაში ამ უკანასკნელს თავისი ძალების ყურადღება თურქეთის გამო ორ ფრონტზე უნდა გადაეტანა და თავისი სამხრეთი საზღვარიც უნდა გაემაგრებინა. ოფიციალურად კი 1897 წლის საგარეო პოლიტიკის დახასიათებისას გერმანიის მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მის უპირველეს მიზანს დიდი სახელმწიფოს სახელის დამკვიდრება-გაფართოება, მოკავშირეებთან ურთიერთობის განმტკიცება და რუსეთთან დაახლოება წარმოადგენდა. თურქეთთან „დამეგობრების“ გერმანიის ცდა სასურევლ შედეგს აღწევდა. თურქულ გაზეთებში ვილჰელმის მეორედ ჩამოსვლამდე, უკვე 6-8 თვით ადრეც, ბევრი იწერებოდა ამ სასურველ ვიზიტსა და მასთან დაკავშირებულ დიდ სამზადისზე. კონსტანტინოპოლის მთავარ ქუჩებს ასწორებდნენ, ზოგიერთ წინწამოწეულ სახლს ანგრევდნენ და მის ადგილზე ახალს აშენებდნენ, რათა ქუჩები, სადაც კი მოსალოდნელი იყო იმპერატორის გამოჩენა, მოწესრიგებული და საუცხოოდ მორთული ყოფილიყო. ვილჰელმი დოლმაბაღჩის მშვენიერ სარაიაში უნდა მიეღოთ, ხოლო შემდეგ სულთანი მას მისთვის საგანგებოდ მომზადებულ კოშკში დააბინავებდა, რომლის მშენებლობა უკვე დაწყებული იყო და 60 ათასი ლირა ჯდებოდა, ხოლო კოშკის კეთილმოწყობას კიდევ 40 ათასი ლირა დასჭირდებოდა. ა.ი. ზინოევის ცნობის თანახმად, თურქეთში ვილჰელმ II-ის მისაღებად მზადება უკვე მაისში დაიწყო. მისი დახვედრა-გამასპინძლებისთვის 200 000 თურქული ლირის გაღება იყო გათვალის-

წინებული. ამ თანხაში შედიოდა ვილჰელმისთვის ილგიზ-კიოსკში ახალი საგანგებო პავილიონის აშენებაც.[26]

ვილჰელმი თურქეთში მეორედ 1898 წლის 18 ოქტომბერს ჩავიდა. ამ ვიზიტის თაობაზე ბევრი იწერებოდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პრესაში, განსაკუთრებით კი ინგლისურ პრესაში, რომელიც ასახავდა ბევრ საგულისხმო ფაქტს და თავის დამოკიდებულებას გამოთქვამდა თურქეთში გერმანიის იმპერატორის საქმიანობის თაობაზე. აღნიშნული სამზადისისა და ვილჰელმის დიდი პატივისცემით დახვედრის შესახებ დაწვრილებით წერდნენ ქართული ჟურნალ-გაზეთებიც.

კონსტანტინოპოლში ვილჰელმმა 22 ოქტომბრამდე დაჰყო, შემდეგ პალესტინაში გაემგზავრა, იქიდან 25-ში _ ხაიფაში, ხოლო 29-ში იერუსალიმში წავიდა, რის შემდეგაც სირიის სულთან სალაჰ ად-დინის საფლავზე გვირგვინი მიიტანა და სიტყვა წარმოთქვა, რითაც დიდი მადლობა გადაუხადა დამასკოში პატივისცემით მიღებისთვის. ამასთან, მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მისთვის მეტად სასიხარულო იყო იმ ადგილებში მოხვედრა, სადაც ცხოვრობდა დროის ერთ-ერთი უდიდესი რაინდი და თვითმპყრობელი, განთქმული სულთანი სალადინი. თავის სიტყვაში კაიზერმა განსაკუთრებულად აღნიშნა, რომ მისი უდიდებულესობა სულთან აბდულ-ჰამიდს და 300 მილიონ მუსულმანს, რომლებიც გაბნეულნი იყვენენ მთელ მსოფლიოში, ვილჰელმ II-ის სახით ნამდვილი მეგობარი ჰყავდა. ამით კაიზერს უნდოდა ყველასთვის გაეგებინებინა, რომ მას გადაწყვეტილი ჰქონდა ახლო აღმოსავლეთში მოპოვებულ წარმატებათა განმტკიცება. ვილჰელმის ამ ვიზიტმა და მისმა პოლიტიკამ გერმანიის პოზიციები თურქეთში კიდევ უფრო გააუმჯობესა: 21 ოქტომბერს ხონთქარმა საბოლოოდ გადაწყვიტა გერმანიისთვის ბაღდათის რკინიგზის მშენებლობის კონცესია მიეცა.

[26] გაზეთი „კვალი“, 1898 წ. №131;

თურქეთში გერმანიის წარმატების შეჩერება ფრანგ და რუს პოლიტიკურ მოღვაწეებს არ შეეძლოთ. ჯერ ერთი, თვით აბდულ-ჰამიდის სიმპათია აშკარად გერმანიის მხარეზე იყო და, რაც მთავარია, ამ ორ ქვეყანას შორისაც მუდამ პოლიტიკური უთანხმოება სუფევდა, რომელიც ფინანსურ სფეროში იჩენდა თავს.

საერთაშორისო სარბიელზე საქმე არც ინგლისს ჰქონდა დალაგებულად, რაც გერმანიას შეუზღუდველი მოქმედების შესაძლებლობას აძლევდა. „ივერია“ ასე აფასებდა იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას: „გერმანიამ ლამის ხელთ იგდოს მცირე აზია და გზა ხმელთაშუა ზღვიდან სპარსეთის ყურემდე ლამის თვითონ დაინარჩუნოს. ეს ამბავი რომ სხვა დროს მომხდარიყო, როცა ევროპის დიდ სახელმწიფოებს გული გულის ადგილას ჰქონდათ და დღევანდელსავით ერთმანეთში ესე ახლართულ-ჩახლართული არ ყოფილან, მაშინ გერმანია, არ გვგონია, ომსა და სისხლისღვრას გადარჩენოდა, მაშინ ასეთი გაძლიერება გერმანიისა მცირე აზიაში ძნელად თუ უომრად და სისხლის დაუღვრელად ჩაივლიდა, რაც აქობამდე ოსმალეთთან ვინმეს ომი ჰქონია და ან ომში ოსმალეთს ვინმე მომხრობია, ამის მიზეზები, სხვათა შორის მცირე აზია ყოფილა“.[27] თუმცა გერმანია ახლო აღმოსავლეთში შედარებით თავისუფლად მოქმედებდა, ზოგჯერ მაინც იძულებული ხდებოდა ევროპის სხვა სახელმწიფოებისთვის, განსაკუთრებით კი ინგლისისთვის, ანგარიში გაეწია და თავისი მოქმედების სფერო შეეზღუდა, რათა მასთან ისედაც არსებული პოლიტიკურ-დიპლომატიური ორთაბრძოლა არ გაემწვავებინა.

გერმანია თურქეთს საბერძნეთზე საბრძოლველად აქეზებდა და თავის მხრივ ხელშეწყობას პირდებოდა. „ოსმალეთისთვის გალაშქრების პლანი საბერძნეთის წინააღმდეგ შეუდგენია ნემენცის გენერალს გოლცი-ფაშას, რომელიც ოსმალეთის სამსახურშია,“ _ წერდა ქართული გაზეთი. როდესაც ვილჰელმმა შეიტყო, რომ კრეტზე 1897 წელს

[27] გაზეთი „მოამბე“, 1904 წ. №6;

ბერძენთა რაზმი შეიჭრა, მან დიდ სახელმწიფოებს ბერძენთა წინააღმდეგ ერთობლივი სამხედრო-საზღვაო მოქმედება შესთავაზა, მაგრამ სახელმწიფონი ამაზე არ დათანხმდნენ. პირველ რიგში ეს ინგლისს არ აწყობდა, რომელიც საბერძნეთს აშკარად მხარს უჭერდა _ ინგლისის კაპიტალი საბერძნეთში გაბატონებული იყო და იქ ინტერვენციამ თურქეთის სასარგებლოდ მარცხი განიცადა.

საბერძნეთ-თურქეთის ომშიც ვილჰელმი სულთანს ზავის პირობებს ჰკარნახობდა, მაგრამ აქაც ინგლისისა და რუსეთის დაჟინებით აბდულ-ჰამიდი იძულებული შეიქმნა უფრო ლიბერალურ საზავო პირობებს დასჯერებოდა და გერმანიაც ამ საქმეში აღარ ჩარეულა.

საბერძნეთ-თურქეთის ომის შემდეგ ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო, რომელიც XIX საუკუნის უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში საკმაოდ მკაფიოდ გამოიკვეთა. მათი ინტერესები ერთმანეთს ძირითადად კოლონიურ საკითხში შეეჯახა, როდესაც გერმანიამ უკვე განაწილებულ მსოფლიოში თავისი წილი მოითხოვა და ინგლისის ხელში მოქცეულ უდიდეს კოლონიურ იმპერიას გერმანიის გაძლიერებასთან დაკავშირებით საფრთხე გაუჩნდა.

გერმანიაში ისეთი მოღვაწეებიც იყვნენ, წერდა ჟურნალი „მოამბე“, რომელნიც თავიანთი ქვეყნის სინამდვილეს ვერ ურიგდებოდნენ და კაიზერის საგარეო პოლიტიკის მიმართ პროტესტს გამოთქვამდნენ. თუ ბისმარკი თვლიდა, რომ არავისი ეშინოდა, გარდა ღმერთისა, რომელიც ყოველთვის მათთან იყო, ხოლო ბიულოვისთვის კი _ შურისა და მტრობის წინააღმდეგ სხვა არაფერი არსებობდა, გარდა ბასრი მახვილისა, ავგუსტ ბებელი თავისი ქვეყნის შესახებ ასე ამბობდა: „თუ გვსურს, რომ ნდობითა და სიყვარულით გვექცეოდნენ, პროგრესიულ პოლიტიკას უნდა ვადგეთ და არა იარაღს ვაჟღარუნებდეთ“ .[28]

[28] გაზეთი „მოამბე“, 1904 წ. №6;

ქართული პრესა ფხიზლად ადევნებდა თვალყურს გერმანიის აგრესიულ, იმპერიალისტურ ზრახვებს და პანგერმანელების საქმიანობის შესახებ მუდამ ანტიპატიით ლაპარაკობდა, ხოლო პროგრესულად განწყობილ გერმანელთა გამოსვლებს თავის ფურცლებზე სათანადო ადგილს უთმობდა და ამით იმ მოვლენას თავისი დამოკიდებულების ჩვენებით ეხმაურებოდა, მაგრამ გერმანიის პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეთა რიცხვი იმდენად მცირე იყო, რომ გერმანიის პოლიტიკის მშვიდობიან რელსებზე გადაყვანა მათთვის შეუძლებელი რჩებოდა.

გერმანიის მმართველი წრეების პოლიტიკა მთლიანად შეიარაღების გაზრდისა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ფეხის მოკიდებისაკენ იყო მიმართული, რომელთა შორის პირველობა ახლო აღმოსავლეთს ეკუთვნოდა.[29] უკვე 1888 წელს კარლ კრიუგერის ბროშურაში „მცირე აზია _ გერმანიის კოლონიზაციის სფერო“ მკაფიოდ იყო ნათქვამი, რომ ანატოლიის რკინიგზათა საზოგადოებას მცირე აზიის კოლონიზაცია დროულად უნდა დაეწყო. ამ საზოგადოებისთვის თურქეთის მთავრობას მომავალი სარკინიგზო ხაზების გასწვრივ მიწის დიდი ნაკვეთები უნდა გამოეყო და გერმანელებისთვის მნიშვნელოვანი პრივილეგიები უნდა მიეცა.[30] გარდა ამისა, გერმანიასა და თურქეთს შორის კავშირის საფუძველზე გერმანიის ამ ახალ სამფლობელოებში რომელიმე სხვა სახელმწიფოს, განსაკუთრებით ინგლისისა და რუსეთის, გავლენა არ უნდა გავრცელებულიყო.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გერმანიის მთავრობა ცდილობდა თურქეთის ტერიტორიაზე რაც შეიძლება მეტი ხალხი დაესახლებინა და ყოველ მსურველს ფულად დახმარებასაც აძლევდა. ასეთ მსურველთა რიცხვი საკმაოდ გაიზარდა: „ცალკე უადგილმამულობამ, ცალკე მთავრობისაგან ხელშეწყობამ ბევრს აუშალა საღერღელი. გადამსახლებლებმა მცირე აზია აირჩიეს საახალშენოდ და იქ დასახლდნენ. მას მერე,

[29] ჩოჩია ვ., „გერმანია 1904-1914“. გამომცემლობა „უნივერსალი“ თბ., 2008;

[30] Entspanung und Neue Ostpolitik 1969-1975 https://www.bpb.de/izpb/10344/entspannung-und-neue-ostpolitik-1969-1975, _ უკანასკნელად გადამოწმებულია 18.07.2020;

რაც ანატოლიის რკინიგზა გაიყვანეს გერმანელებმა, ეს ახალშენნი სწორედ აყვავებას მიეცნენ“. იერუსალიმში ჩასულმა ვილჰელმ II-მ „ნახა გერმანიის ახალშენებს რა საუცხოოდ დაემუშავებინათ უდაბური ადგილები, სადაც მცენარეც კი არ ხარობდა“ და ამასთან დაკავშირებით სიტყვაც წარმოთქვა .[31]

გერმანიას თურქეთში დიდძალი სამრეწველო საქონელი შეჰქონდა. 1888 წელს მან თურქეთში შეიტანა 2,5 მლნ პიასტრის საქონელი, 1892 წელს _ 28 მლნ, ხოლო 1895 წელს _ 37 მლნ ღირებულების საქონელი. თურქეთი თავისი შეიარაღებული ძალებისთვის იარაღს ძირითადად გერმანიიდან იძენდა. ამის შესახებ საინტერესო მასალა იბეჭდებოდა „ივერიაში“. თურქეთის არმიის რეორგანიზაციის მიზნით გერმანიამ თურქეთში გენერალი ფონ დერ ჰოლცი გაგზავნა. ფონ დერ ჰოლცის მისიას, რომელსაც გერმანიის საელჩოც ყოველნაირად ხელს უწყობდა, სასურველი შედეგი მოყვა.

აღსანიშნავია, რომ ჰოლცის მოღვაწეობა მხოლოდ სამხედრო სფეროთი არ ამოიწურებოდა. იგი გეოგრაფ ნაუმანისა და კარტოგრაფ კიპერტთან ერთად აქვეყნებდა სტატიებსა და ბროშურებს, სადაც უთითებდა სოფლის მეურნეობისთვის გამოსადეგ თურქეთის ნაყოფიერ მიწებზე, რომლებზეც გერმანელებს დიდი მეურნეობები უნდა გაეშენებინათ. XIX ს. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გერმანიაში გამოცემულ ლიტერატურაში დიდი ადგილი დაეთმო იმ გამოკვლევებს, რომელიც მცირე აზიის სხვადასხვა პროვინციების აღწერა-შესწავლას მიეძღვნა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა გერმანიის რკინიგზის სამმართველოს მუშაკთა მიერ თავმოყრილი მასალები, რომლებიც მომავალი რკინიგზის ტერიტორიების ნიადაგისა და ჰავის შესახებ ზუსტ ცნობებს იძლეოდნენ.

[31] ჩოჩია ვ., „გერმანია 1904-1914“. გამომცემლობა „უნივერსალი“ თბ., 2008;

თავი II. საქართველო გერმანიის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები XX საუკუნის პირველ ნახევარში

საქართველო-გერმანიის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გეოსტრატეგიული მიზნები

კაპიტალიზმის განსაკუთრებულმა განვითარებამ მეოცე საუკუნის დასაწყისში ევროპაში დიდი სახელმწიფოების წინააღმდეგობა წარმოშვა. განვითარებულ მრეწველობასა და ეკონომიკას უფრო მეტი წიაღისეული ნედლეულის ამოსაღები ბაზები და პროდუქციის გასაღების ბაზრები ესაჭიროებოდა. მსოფლიო უკვე გადანაწილებული იყო დიდი სახელმწიფოების მიერ, ხოლო განვითარებულ გერმანიას აღარ ჰყოფნიდა მისი საზღვრები და მსოფლიოს ახლებური გადანაწილებისკენ იყო მიმართული, რაც საბოლოდ ბალკანეთში მომხდარმა ტერაქტმა და ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის სიკვდილმა პირველი მსოფლიო ომის დაწყებაც განაპირობა. ასეთი ომი ჯერ მსოფლიოს არ ენახა, იგი გამოირჩეოდა თავისი მტაცებლური ბუნებით, რომელმაც დაანგრია რამდენიმე იმპერია და მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში და მას შემდეგ მრავალი ახალი სახელმწიფო წარმოიქმნა, ახალი საზღვრებითა და ახალი პოლიტიკური სისტემებით, მათ შორის იყო საქართველოც, რომელმაც 1918 წელს 117 წლის განმავლობაში დაკარგული ეროვნული სახელმწიფოებრივობა აღიდგინა. დამოუკიდებელმა საქართველომ სულ სამი წელი იარსება, შემდეგ კი ბოლშევიკური რუსეთის მეთერთმეტე წითელი არმიის ოკუპაციის

მსხვერპლი გახდა, ქართული სახელმწიფოებრივობის აღდგენა პირდაპირ კაიზერული გერმანიის მხარდაჭერასთან არის დაკავშირებული.

პირველ მსოფლიო ომში 300 000-ზე მეტი ქართველი იყო ჩართული, რაც ისტორიულად უპრეცედენტო მოვლენა იყო, ომის საწყის ეტაპზე მოსახლეობა ენთუზიაზმით ჩაება საბრძოლო მოქმედებებში, კავკასიის ფრონტი გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინაღმდეგ იყო მიმართული, მათ შორის იყო თურქეთიც, რომელიც საქართველოსთან ისტორიულად მტრულ დაპირისპირებაში იყო ყოველთვის. საქართველოს სამიათასწლიანი სახელმწიფოებრივობის განმავლობაში, ამდენი ქართველი არ წასულა სხვის ომში. ქართველებმა თავი გამოიჩინეს ფრონტის ხაზზე და დიდი გმირობის მაგალითებიც აჩვენეს როგორც დასავლეთის, ისე კავკასიის ფრონტზე. პოლიტიკურ-სოციალური მდგომარეობა ომის მიმდინარეობის პერიოდში რადიკალურად შეიცვალა როგორც ევროპაში, ისე რუსეთსა და საქართველოშიც. ომმა ძალიან ბევრი ადამიანი შეიწირა, უმეტესობა იყო მამაკაცები, ამან გამოიწვია რთული ეკონომიკური კრიზისი და დაიწყო გაჭირვება. ზუსტად ამ პერიოდიდან ხალხის მასებში პოპულარული ხდება სოციალიზმის იდეოლოგია, მარქსისა და ენგელსის მოძღვრებები კი მთავარ პოლიტიკურ სისტემად ყალიბდება. გაქტიურდნენ სოციალური იდეოლოგის პარტიები, მათ დაიწყეს ბრძოლა რუსეთის იმპერიისა და მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც საბოლოდ მეფის ხელისუფლების დამხობითა და 1917 წლის თებერვლის რევოლუციით დასრულდა. რუსეთში ამ პერიოდში ქვეყნის სათავეში დროებითი მთავრობა მოვიდა სოციალ-დემოკრატების მენშევიკური ფრთით, ხოლო იმავე წელს რუსეთში ოქტომბრის თვეში, სოციალ-დემოკრატების (ბოლშევიკების) სამხედრო გადატრიალება მოხდა, რომლის ძალითაც რუსეთში დიქტატურა დამყარდა და შეიცვალა მისი პოლიტიკური სპექტრიც _ ქვეყნის სათავეში მოვიდნენ ლენინი, ტროცკი და სტალინი.

რევოლუციურმა ტალღამ საქართველომდეც მოაღწია, რომელმაც რადიკალური ცვლილებები გამოიწვია. საქართველოში, რუსეთისგან განსხვავებით, სოციალ-დემოკრატების მენშევიკური მიმდინარეობა უფრო ძლიერი იყო, აქედან გამომდინარე, ნოე ჟორდანიას დროებითი მთავრობა მოექცა ქვეყნის სათავეში. ჟორდანიას მთავრობისთვის უმთავრესი სოციალიზმი და ინტერნაციონალიზმი იყო. მისთვის ეროვნული საკითხი და საქართველოს დამოუკიდებლობა არასდროს ყოფილა მთავარი პოლიტიკური ბრძოლის იდეა, მაგრამ 1917 წლის ოქტომბრის სამხედრო გადატრიალებამ პეტროგრადში და ბოლშევიკების მოსვლამ ძალზედ შეაშფოთა საქართველოს ხელისუფლება. ამას ასევე ემატებოდა საბრძოლო მოქმედებების გართულება კავკასიის ფრონტზე. რევოლუციის შემდგომ რუსეთის სამხედრო ნაწილებმა თვითნებურად იწყეს საბრძოლო პოზიციების დატოვება და ფრონტის ხაზის მოშლა, რაც თურქეთს საშუალებას აძლევდა მნიშნელოვანი ტერიტორიების ოკუპაცია მოეხდინა და საბრძოლო მოქმედებები წარმატებით ეწარმოებინა. თურქეთი ასევე საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებს ემუქრებოდა, რომელიც ადრე რუსეთის არმიას ჰქონდა დაკავებული. 1918 წლის აპრილში ქართველებმა, სომხებმა და აზერბაიჯანელებმა შექმნეს სამოკავშირეო სახელმწიფო – ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციული რესპუბლიკა. ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციული რესპუბლიკის არსებობა შეუძლებელი იყო, რადგან მასში შემავალ ერებს სხვადასხვა საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია ჰქონდათ. ქართველების საგარეო პოლიტიკა გერმანიასთან მჭიდრო კავშირზე გადიოდა, სომხების კი _ ინგლისელებზე, აზერბაიჯანლებისთვის კი მთავარი პარტნიორი ოსმალეთი გახლდათ. ერთიანი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შემუშავების ყოველგვარი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. თურქეთი ქართულ მხარეს არალეგიტიმურად მიიჩნევდა, რადგან კავკასიის ტერიტორიას რუსეთის

იმპერიის შემადგენელ ნაწილად აღიქვამდა, ვის წანაღმდეგაც საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებდა, აქედან გამომდინარე, თურქეთი პრეტენზიას აცხადებდა აჭარაზე, ასევე მთლიანად დასავლეთ საქართველოსა და სამცხე-ჯავახეთს ითხოვდა. ასეთი ვითარებიდან გამომდინარე, გერმანიის წარმომადგენელმა, გენერალმა ოტო ფონ ლოსოვმა საქართველოს ეროვნულ საბჭოს ურჩია, დაეშალათ ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფო და გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა, რომლის გარანტი გერმანიის იმპერია იქნებოდა. საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა გერმანიის შემოთავაზება და რეკომენდაციები, რის შედეგადაც 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რომლის სამხედრო-პოლიტიკურ მხარდაჭერას გერმანია უზრუნველყოფდა. საქართველოში შემოვიდა გერმანიის არმიის ერთ-ერთი ელიტური ბავარიის დივიზია.[32]

გერმანიაში პოლიტიკურ ელიტას სხვადასხვა აზრი და მიდგომები გააჩნდა საქართველოსთან დამოკიდებულებაში, მაგრამ ისიც ნათელია, რომ გერმანიას საქართველოში თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები ჰქონდა, უბრალოდ არსებობდა ორი გზა. ლუდენდორფი, რომელიც აღმოსავლეთში ოპერაციების უმაღლესი მთავარსარდალი გახლდათ, მხარს უჭერდა კავკასიაზე ბაქო-ბათუმის ნავთობსადენზე პირდაპირ თურქული გავლენის დამყარებას. ამ იდეას ეწინაღმდეგებოდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ფონ კიულმანის მეთაურობით, რომელიც თვლიდა, რომ თურქეთის გავლენის გაზრდა რეგიონში გამოიწვევს ინგლისელთა გამოჩენასა და

[32] ჯანელიძე ო., „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები“. თბ., 2018

ნავთობსადენებზე კონტროლს. ლუდენდორფმა საკუთარი მიდგომა აპრილის თვეში შეცვალა _ კავკასიიდან იგი მოელოდა სამ რამეს:[33]

1. ბაქოს ნავთობისა და ჭიათურის მანგანუმიდან საჭირო ნედლეულების მიღებას ომისთვის;
2. ქართული არმიის ჩამოყალიბებას, რომელსაც უნდა ებრძოლა გერმანელების მხარეს და დაეცვა წესრიგი ადგილზე;
3. თურქესტანსა და ინდოეთში ინგლისელების წინაღმდეგ ომის საწარმოებლად გეოგრაფიული ტრამპლინის მოპოვებას.

1918 წლის 28 მაისს ქალაქ ფოთში გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მთავარი საკითხი გახლდათ ეკონომიკურ-ფინანსური ინტერესები. ხელშეკრულება გაფორმებული იქნა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის იმპერიას შორის, რომლის მიხედვითაც საქართველო აღიარებდა გერმანიის პროტექტორატსა და მის მფარველობას. ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებდა:

- საქართველოს რკინიგზის შეუზღუდავი გამოყენების უფლებასა და საქართველოს პორტებში თავისი გემების შეუზღუდავი შესვლის შესაძლებლობას;
- გერმანული საექსპედიციო ძალებით სტრატეგიული წერტილების ოკუპაციის უფლებას;
- გერმანული ვალუტის თავისუფალი მიმოქცევის უფლებას;
- ერთობლივი ქართულ-გერმანული სამთო კორპორაციის შექმნას;
- დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების გაცვლას.

[33] კაკაჩია კ., ბეტგერი კ., ლებანიძე ბ., პალმი ვ., სარჯველაძე მ., „ქართულ-გერმანული ურთიერთობები ევროატლანტიკური ინტეგრაციის კონტექსტში, როგორ შევაჯეროთ მოლოდინები?.“ პოლიტიკის დოკუმენტი, ბერლინი/თბილისი., 2019;

ფოტო: ეროვნული ბიბლიოთეკა: ქალაქი ფოთი, ხელშეკრულების გაფორმების პერიოდი.

საიდუმლო დამატებითი წერილით ფონ ლოსოვი ჰპირდებოდა დახმარებას საქართველოს საერთაშორისო აღიარებასა და მისი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაში.[35]

საქართველოს მხრიდან ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ პრემიერ-მინისტრი ნოე რამიშვილი და საგარეო საქმეთა მინისტრი აკაკი ჩხენკელი, ხოლო გერმანიის მხრიდან _ ოტო ფონ ლოსოვი.[36]

[34] https://www.nplg.gov.ge/geo/home

[35] ასტამაძე გ., „ქართულ გერმანული ურთიერთობები 1918-1921 წლებში“ http://german-georgian.archive.ge/ka/blog/5, _ უკანასკნელად გადამოწმებულია 18, 07, 2020;

მეცხრამეტე საუკუნიდან ბაქოს ნავთობის ექსპორტირება ხდება მსოფლიო ბაზარზე, სწორედ ეს გახლდათ გერმანიის ერთ-ერთი ეკონომიკური მოტივაცია, ბაქოს ნავთობინდუსტრია კარგად აწყობილი კომპლექსი იყო, ჯერ აზერბაიჯანიდან კასრებით გადმოჰქონდათ შავ ზღვამდე, შემდგომში სარკინიგზო ხაზის აშენებისას ნავთობის ტვირთბრუნვამ რკინიგზაზე გადმოინაცვლა, გარკვეული დროის შემდეგ აშენებული იქნა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი, რომლის მეშვეობით დიდი რაოდენობით ნავთი ბათუმში ჩაედინებოდა, საიდანაც ტანკერებით მსოფლიო ბაზარზე გადიოდა. ბაქო-ბათუმის ნავთობსადენით მხოლოდ გერმანია არ იყო დაინტერესებული, საბჭოთა რუსეთის გეგმებშიც შედიოდა ნავთობსადენების კონტროლი. მსოფლიო ნავთობის მოხმარების 40% ბაქოს ნავთობზე მოდიოდა, სწორედ ამიტომ ლენინი კატეგორიული წინაღმდეგი იყო ბათუმის თურქეთისთვის გადაცემის, რადგან ბათუმი სტრატეგიულად და ფინანსურად მნიშვნელოვანი იყო. ამ გარეომობებიდან გამომდინარე, საქართველოს მსოფლიო ეკონომიკურ რუკაზე თავისი სატრანზიტო ფუნქციით მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ტექნიკური პროგრესი პირველი მსოფლიო ომის პერიოდში წინ იყო წასული, გამოიგონეს შიდა წვის ძრავა, ავტომობილი, თვითმფრინავი, წყალქვეშა ნავი, ტანკი და სხვა ტექნიკა, რომელსაც ნავთობპროდუქტი ესაჭიროებოდა, ნავთობის მოხმარება ძალზე გაიზარდა, ომის წარმატებაც ნავთობრესურსებზე გახდა დამოკიდებული, აქედან გამომდინარე, ნავთობმაც და მასზე წვდომის გზებმაც სტრატეგიული და სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა. გერმანიამ ზეგავლენა დაამყარა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენზე, ეს ყველაფერი განაპირობა 1918 წლის 23 სექტემბერს დიდვეზირ თალაათ ფაშასთან გაფორმებულმა ფარულმა შეთანხმებამ. ამ

[36] ასტამაძე გ., „შულენბურგი და საქართველო 1911-1921წ“ http://german-georgian.archive.ge/ka/blog/36, _ უკანასკნელად გადამოწმებულია 18. 07, 2020;

შეთანხმების თანახმად ოსმალეთი საქართველოს გერმანიის მფარველობას აღიარებდა.

ბაქოს ნავთობის ველი

კავკასიის რკინიგზას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიისთვის სამხედრო ნაწილების გადასაყვანად და ტვირთების გადასაზიდად. რიკინიგზის გარეშე ეკონომიკურ-პოლიტიკური მოგების მიღება შეუძლებელი იქნებოდა. კარგად განვითარებული სარკინიგზო მაგისტრალები აუცილებელი იყო გერმანიისთვის, სწორედ ასეთი გააჩნდა საქართველოს ამ დროისთვის, კავკასიაში სომხეთი და აზერბაიჯანიც მთავარი სატრანსპორტო არტერია იყო. სატრანზიტო ქსელის კონტროლი გერმანიისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რადგან გერმანიას კავკასიაში დიდი გეგმები გააჩნდა, მის მიზანს ინდოეთის

ოკეანეში დამკვიდრება წარმოადგენდა, ეს ყველაფერი კი ირანის საშუალებით უნდა მომხდარიყო. ინდოეთი და ჩინეთი მსოფლიო სავაჭრო-სამრეწველო ბაზას წარმოადგენდა და ინდოეთში დამკვიდრება გერმანიას საშუალებას მისცემდა, მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეზე სრული კონტროლი მოეპოვებინა, რაც უზარმაზარ შემოსავლებსა და კაიზერული გერმანიის ძლიერებას განაპირობებდა.

საზღვაო პორტების გარეშე რკინიგზის ფუნქციონირება წარმოუდგენელი იქნებოდა, ბათუმისა და ფოთის საზღვაო სატვირთო პორტები კავკასიის მთავარი კარიბჭეები იყო. გერმანიისთვის ამ საკომუნიკაციო საშუალებებთან თავისუფალ წვდომას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. კავკასიის რეგიონში ტვირთბრუნვისა და ეკონომიკური აქტივობის გაკონტროლების საშუალებას პორტების კონტროლი მისცემდა. მსოფლიო ბაზარზე ბაქოს ნავთობის მიწოდების ინტენსივობა კავკასიის ეკონომიკურ-პოლიტიკურ და სამხედრო სიტუაციაზე სრული კონტროლის დამყარების საშუალებას იძლეოდა. იმ დროს, როდესაც გერმანიაში გამოშვებულ პროდუქციას გასაღების ბაზრები ესაჭიროებოდა, სატრანსპორტო მნიშვნელოვანი კვანძი, როგორიც არის საზღვაო პორტი და რკინიგზა კავკასიაში, რომლითაც გზა იხსნებოდა სხვა უზარმაზარი ბაზრებისკენ, ძალზე მნიშვნელოვანი იყო. გერმანული საექსპედიციო ძალებით სტრატეგიული წერტილების ოკუპაციის უფლებაც სწორედ ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი წერტილების დაცვასა და კონტროლს ისახავდა მიზნად. გერმანიას ომის მიმდინარეობის პერიოდში დივერსიებისგან დასაცავად და თავისუფალი გამოყენებისთვის ესაჭიროებოდა ისეთი ობიექტების დაცულობა, როგორიც იყო რკინიგზა, ხიდები, პორტები, საწყობები, ნავთობსადენი, ომის საჭიროებისთვის მნიშვნელოვანი ფაბრიკა-ქარხნები, წიაღისეულის საბადოები.

გერმანული ვალუტისა და ფინანსების თავისუფალი მიმოქცევა საქართველოს საბანკო სისტემაში მნიშვნელოვანი იყო. ამის

საშუალებით გერმანია უფრო მარტივად განახორციელებდა ეკონომიკური ბაზრის ათვისებას, ინვესტიციების ჩადებასა და გერმანული კაპიტალის მოზიდვას. ასეთი ეკონომიკური პოლიტიკა უფრო მეტად დააახლოვებდა გერმანიასა და საქართველოს და შემდგომში ხელს შეუწყობდა კავკასიის რეგიონის ფინანსურ ათვისებას. კაპიტალის დამკვიდრება და გერმანული ფულის მიმოქცევა ქვეყანაში გამოიწვევდა უცხოური ვალუტის დაბანდებას, რაც საქართველოსთვის მეტად მომგებიანი იქნებოდა. ეს კი ნიშნავდა, უფრო გაზრდილ და ძლიერ ეკონომიკას. საქართველოში გაიზრდებოდა სამუშაო ადგილები და ცხოვრების დონეც ამაღლდებოდა. გაცვლითი კურსი ამ პერიოდისთვის ფიქსირებული იყო ერთ დონეზე. ქართულ-გერმანული სამთო კორპორაციების შექმნა მეტად მნიშვნელოვანი იყო. საქართველოს ერთერთ სტრატეგიულ ნედლეულს წარმოადგენდა ჭიათურის მარგანეცი, რომლის მოპოვებაც მეცხრამეტე საუკუნიდან იწყება. მარგანეცის ექსპორტი რკინიგზისა და ქართული პორტების მეშვეობით ხორციელდებოდა და მსოფლიო ბაზარზე ზოგიერთ პერიოდში 50% შეადგენდა.[37]

ამიერკავკასიის რკინიგზა: მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი - ლანჩხუთი

[37] ასტამაძე გ., „ქართულ გერმანული ურთიერთობები 1918-1921 წლებში“ http://german-georgian.archive.ge/ka/blog/5, _ უკანასკნელად გადამოწმებულია 18, 07, 2020;

ომის საჭიროება და წარმატება მეტალურგიის განვითარებაზე იყო დამოკიდებული. ფერადი მარგანეცი მეტალურგიისთვის უმთავრესი ნედლეულია და გერმანია სასიცოცხლოდ დაინტერესებული იყო წვდომა ჰქონოდა ამ ნედლეულზე. ქართული სამთო წარმოება გერმანიის ეკონომიკურ-პოლიტიკური ინტერესის ერთ-ერთ ძირითად სფეროს წარმოადგენდა. ამიტომ, ერთია, რომ შენ მსოფლიოში მნიშვნელოვანი მეტალურგიული რესურსით სარგებლობის საშუალება გეძლევა და მეორე ის, რომ შენს მოწინააღმდეგეს ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის ნედლეულზე წვდომის საშუალება აღარ გააჩნია, რაც სტრატეგიულად ძალზე მომგებიანი იყო. გერმანული მხარე ასევე აპირებდა ჭიათურის მაღაროების გადაიარაღებას და მისი საწარმოო სიმძლავრეების გაზრდას.[38]

ლონდონი-თბილისი-კალკუტის სტრატეგიული სატელეგრაფო ხაზიც გერმანიისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო. მისი საერთო სიგრძე 10 000 კილომეტრს აღემატებოდა, იგი ძმებმა სიმენსებმა ააშენეს, მთავარი საკვანძო ქვესადგური კი თბილისში მდებარეობდა. იმ პერიოდში საკონტინენტო კავშირგაბმულობის სატელეგრაფო ხაზი მსოფლიო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურა იყო, რომელიც სტრატეგიულ ობიექტსაც წარმოადგენდა.[39]

თანამშრომლობისა და კონტროლის გაძლიერებას ემსახურებოდა დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების გახსნა. გერმანია-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულებების განხორციელებასა და გაფართოებას აქ მყოფი გერმანელი დიპლომატები და სახელმწიფო მოხელეები გაუწევდნენ კოორდინირებას.

---

[38] ასტამაძე გ., „შულენბურგი და საქართველო 1911-1921წ“ http://german-georgian.archive.ge/ka/blog/36, _ უკანასკნელად გადამოწმებულია 18. 07, 2020;

[39] Stober S., “German Foreign Polisy Explained GIP commentary, 2017. http://gip.ge/german-foreign-policy-explained/-უკანასკნელად გადამოწმებულია 18. 07. 2020;

თბილისში 1922 წლის მონაცემებით ცხოვრობდა 2457 გერმანელი. 1926 წელს მათი რაოდენობა 3156 გახდა. ამავე პერიოდში ქვემო ქართლში მცხოვრებ გერმანელთა რაოდენობამ 6000 მიაღწია. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ პირველი საერთაშორისო ურთიერთობა კაიზერულ გერმანიასთან დაამყარა. გერმანიამ ამ პერიოდში საქართველო იხსნა თურქეთის ოკუპაციისგან და ქართველ ხალხს შესაძლებლობა მისცა აღედგინა ეროვნული სახელმწიფოებრიობა. ვილჰელმ მეორეს საკუთარი სტრატეგიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებდა საქართველოსთან მიმართებაში, მაგრამ ეს არ ლახავდა საქართველოს სუვერენიტეტს და არ ეწინააღმდეგებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ მისწრაფებებს.[40]

გერმანიისთვის საბედისწეროდ განვითარდა მოვლენები 1918 წლის აგვისტოს დამდეგიდან. თითქმის ყველა ფრონტზე, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა რესურსებით და რეზერვებით აჯობა გერმანიას და საბრძოლო მოქმედებების ბედი თავის მხარეზე გადაწონეს. ამ პერიოდში გერმანიაში დაწყებულმა რევოლუციამ საბოლოოდ დაუსვა ყველაფერს წერტილი.[41] გერმანია პირველ მსოფლიო ომში დამარცხდა – 1918 წლის 11 ნოემბერს გერმანიამ ანტანტის წინაშე კაპიტულაციის აქტზე მოაწერა ხელი. 1918 წლის დეკემბერში ბავარიის დივიზიამ საქართველო დატოვა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა პოლიტიკური და სამხედრო მოკავშირის გარეშე დარჩა. ამის შემდგომ საქარველოში ინგლისის საოკუპაციო ძალები შემოდიან, ხოლო 1921 წლის თებერვალში რუსეთის მეთერთმეტე წითელი არმიის მიერ ხდება ჩვენი ქვეყნის დაპყრობა და საბჭოთა კავშირში ძალდატანებით გაერთიანება.

[40] შუბითიძე ვ., „ნიკო ნიკოლაძე, კაცი სახელმწიფო“. თბ., 2017;
[41] გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ. 26 ოქტომბერი;

მაშინ საქართველოსა და გერმანიის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა, სამწუხაროდ, ამით შეწყდა, მაგრამ ამჟამად გერმანია დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდამჭერი სახელმწიფოა,[42] ხოლო სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველოს მეექვსე სავაჭრო პარტნიორს წარმოადგენს.[43]

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის პოლიტიკურ-დიპლომატიური საქმიანობა გერმანიაში

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, 1914 წელს, „ქართველ სეპარატისტთა ჟენევის ჯგუფი“ ახალი წევრებით დაკომპლექტდა, რომლებმაც აქტიურად დაიწყეს მუშაობა. ამ ახალ ჯგუფს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი ეწოდა“. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: კომიტეტის თავჯდომარე პეტრე სურგულაძე იყო _ წევრი საქართველოში 1909-1910 წლებში მოქმედი დამოუკიდებლობის ჯგუფისა, რომლის წევრებიც იყვნენ: იაკობ გოგებაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, სიმონ ყიფიანი, ალექსანდრე ყიფშიძე, მიხაკო წერეთელი, გიორგი გვაზავა, ვალერიან გუნია და ნიკო ლორთქიფანიძე. მათი მთავარი იდეა ეროვნული სულისკვეთებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ემსახურებოდა, მთავარ მიზანს კი პოლიტიკური იდეალის განხორციელებისთვის მოქმედების დაწყება და საქართველოს მიწა-წყლის დაცვა, რომელსაც უცხოელები ეპატრონებოდნენ.[44]

---

[42] რცხილაძე ვ., „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ“. გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1994;

[43] დღვილავა მ., „საქართველო-გერმანიის ურთიერთობათა ისტორიიდან“. თბ., 1996

[44] თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი,. „დამოუკიდებლობის კომიტეტი საზღვარგარეთ _ 1914“ თბ,. 2018 http://german-georgian.archive.ge/ka/blog/32 (წვდომის თარიღი: 10.10.2021)

,,დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ დაარსების დღიდან დაიწყო სამოქმედო გეგმის შედგენა, მაგრამ მათი მთავარი მიზანი და ამოცანა თავიდანვე გამოიკვეთალ. პირველ ეტაპზე მათ სურდათ „ქართული ლეგიონის“ შექმნა ოსმალეთში. ოსმალეთში მრავლად ცხოვრობდნენ ქართველი მაჰმადიანები. მათი საბრძოლო სულისკვეთება მართლაც რომ სანიმუშო იყო. შეიძლება გარკვეული პრობლემების გამო ვერ ახერხებდნენ საქართველოში დაბრუნებას, მაგრამ ისინი დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოს მომავლით. სწორედ ამ ნიშნით დაარსდა ქართული ლეგიონი ჭანეთში (ლაზისტანში).

ქართული ლეგიონის შექმნა ლეო კერესელიძეს დაევალა. გერმანელთა მხრიდან ქართველებს დახმარებას უწევდნენ არმიის ოფიცრები, სამხედრო ატაშე კიშკე და ლოის მოზელი, რომელიც პოლიტიკური ატაშე იყო ქართულ კომიტეტთან. მიხაკო წერეთელს კი გერმანიასა და ავსტრიაში ბანაკების დათვალიერება დაევალა და ქართველი ტყვეებიის გამოცალკევება რუსის ჯარის საერთო ტყვეებიდან. ლეო კერესელიძემ ბანაკებში მისვლის დროს მოწოდება გაავრცელა ტყვეთა გასაგონად _ „,ქართველებო! შესაძლებელია გაწუხებთ ფიცი, რომელიც რუსეთის იმპერატორს მიეცით, მაგრამ თვით რუსი იმპერატორები არიან ფიცის გამტეხნი, საქართველოსთან 1783 წლის ტრაქტატის დამრღვევნი და მისი პოლიტიკური სახელმწიფოს წამშლელნი... გაუმარჯოს თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს! გაუმარჯოს ქართულ სახელმწიფოს! დაე, თითოეული ქართველი იქცეს გმირად ამ ბრძოლაში. სჯობს ტყვეობაში სამარცხვინო სიცოცხლეს ამჯობინოთ მშობლიურ ველებზე სიკვდილი!“

ქართველი ტყვებიისათვის დაარსებული „ქართული გაზეთის“ რედაქტირება გიორგი კერესელიძეს დაევალა. პირველი ბეჭდვითი საქმიანობა კომიტეტმა 1913 წელს დაიწყო, როდესაც არსებობდა ბეჭდვითი ორგანი „თავისუფალი საქართველო“ იგი ავრცელებდა დამოუკიდებლობის იდეას როგორც უცხოეთში მყოფ ქართველთა შორის, ასევე საქართველოში. შემდეგ უკვე იყო ხელნაწერი გაზეთი

„კავკასია“, რომელსაც ჯერ მიხაკო წერეთელი, შემდეგ გიორგი კერესელიძე რედაქტორობდნენ. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში საჭირო იყო რუსეთისთვის საინფორმაციო ომის მოგება და საზოგადოება ინფორმირებული ყოფილიყო, რომ არსებობდა ორგანიზაცია, რომელისთვისაც ეროვნული იდეები მნიშვნელოვანი იყო და მისთვის იბრძოდნენ გერმანელებთან ერთად.[45]

„დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მთავარი მიზანი იყო, ქართული ლეგიონი იმ დონემდე მომზადებულიყო და გაძლიერებულიყო, რომ აქტიურად დაეწყო სამხედრო მოქმედებები რუსეთის წინააღმდეგ, რადგან კარგად მომზადებულ, ქართული სულისკვეთების მქონე ლეგიონს დიდი წინააღმდეგობის გაწევა შეეძლო რუსეთისთვის. ოსმალეთში კარგად გააიაზრეს ლეგიონის შექმნის იდეა და მათი სამოქმედო გეგმები. მათ უკვე აშინებდათ ის, რომ საკუთარ ტერიტორიაზე უნდა შექმნილიყო გაწვრთნილი სამხედრო ძალა, რომელიც სამუსლიმანო საქართველოს შემოერთებაში შეუშლიდა ხელს. ქართულმა ლეგიონმა მძიმე ბრძოლაში თავი გამოიჩინა. ქართველების მამაცობას ფონ ვანგენჰაიმი მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა.

დამოუკიდებლობის კომიტეტის დასამტკიცებელი გეგმა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარუდგინეს, რომელშიც განიხილებოდა „რუსეთისგან ამიერკავკასიის ჩამოცილებისა და შემდგომი პოლიტი-კური მოწყობის შესახებ“ საკითხები. სტამბოლში 1914 წლის შემოდგომაზე სრული შემადგენლობით შეიკრიბა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“.

ლეო კერესელიძემ გამართა მოლაპარაკებები ოსმალეთის მთავრობასთან, ოსმალთა მხრიდან ასკერ-ბეი და ისმაილ ჯამბულათ-ბეი ესწრებოდნენ, გერმანელების მხრივ კი გერმანიის ელჩი ოსმალეთში ბარონი ფონ ვანგენჰაიმი. მოლაპარაკებების მთავარი მიზანი იყო ეცნოთ

[45] თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი,. „დამოუკიდებლობის კომიტეტი საზღვარგარეთ _ 1914“ თბ,. 2018 http://german-georgian.archive.ge/ka/blog/32 (წვდომის თარიღი: 10.10.2021)

საქართველოს დამოუკიდებლობა არსებულ 1914 წლის საზღვრებში. გერმანია კომიტეტის საქმიანობას უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კომიტეტთან პოლიტიკურ კომისრად დანიშნა გრაფი ფონ შულენბურგი, მოგვიანებით კი ლეგიონის უფროსის თანამდებობაზე ლეო კერესელიძე შეცვალა.[46]

გერმანიის ინტერესს წარმოადგენდა თურქებთან ბალანსირების დაცვა. ქართულ კომიტეტსა და ლეგიონს გერმანელები მთავარ იმდედად და დასაყრდენ ძალად მიიჩნევდნენ საქართველოსა და მთლიანად კავკასიაში. აქედან გამომდინარე, გერმანელები აქტიურად თანამშრომლობდნენ ლეგიონის საკითხის დარეგულირებაში. ქართული ლეგიონის წინაშე დამსახურებისა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში შეტანილი წვლილისთვის „დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ 1916 წელს დააწესა თამარ მეფის ორდენი.

ლეო კერესელიძე (1885-1944)



მიხეილ (მიხაკო) წერეთელი (1878-1965)

[46] თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი,. „დამოუკიდებლობის კომიტეტი საზღვარგარეთ _ 1914“ თბ,. 2018 http://german-georgian.archive.ge/ka/blog/32 (წვდომის თარიღი: 10.10.2021)

ქართული ლეგიონი ოსმალეთში გერმანელ ოფიცერთან ერთად. ცენტრში _ ლეო კერესელიძე. საქართველოს ეროვნული არქივი.

გიორგი მაჩაბელმა 1914 წელს გადაწყვიტა პოლიტიკური კავშირი დაემყარებინა საქართველოს შიგნით არსებულ პოლიტიკურ პარტიებთან და მათ ლიდერებთან, რადგან საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაში საჭირო იყო გაერთიანება და ერთი კორდინირებული პოლიტიკის წარმოება რუსეთის წინააღმდეგ. ამ მიზნის განსახორციელებლად გიორგი მაჩაბელი 1914 წელს ფარულად შემოვიდა საქართველოში და საკონსულტაციო შეხვედრები გამართა ქუთაისში საქართველოს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან:

ეროვნული პარტია _ რევაზ გაბაშვილი, შალვა ამირეჯიბი; სოციალისტ-ფედერალისტური პარტია _ სამსონ ფირცხალავა და გრიგოლ რცხილაძე; სოციალ-დემოკრატიული პარტია _ ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი. შეხვედრა პოზიტიურად წარიმართა და შეხვედრის დასრულების შემდეგ 1914 წელს, თბილისში მაჩაბლის ვიზიტის შემდეგ, რევაზ გაბაშვილმა, დავით ვაჩნაძემ და სპირიდონ კედიამ დაარსეს „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ფილიალი“. კომიტეტის უპირველესი მიზანი იყო საზღვარგარეთის კომიტეტთან უწყვეტი კავშირის დამყარება და კორდინირებული მოქმედებების ხელშეწყობა.[47]

მსგავსი ორგანიზაცია პეტროგრადშიც ჩამოაყალიბეს, რომელსაც ხელმძღვანელობდა გიორგი მაჩაბელის უმცროსის ძმა ნიკო მაჩაბელი. პეტერბურგის, თბილისისა და ქუთაისის კომიტეტებს უწყვეტი კავშირი ჰქონდათ „დამოუკიდებლობის კომიტეტთან“. გიორგი მაჩაბელს გადაწყვეტილი ჰქონდა ურთიერთობა გაეღრმავებინა „თათრებთან“ და ჩრდილო კავკასიელებთანაც, იგი 1916 წლის 29 ივნისს წყალქვეშა ნავით U-38 ანაკლიის ნაპირთან ჩამოვიდა ორ ქართველთან და აზერბაიჯანელ სელიმ-ბეი ბებუთოვთან და ჩეჩენ გაზავატთან ერთად. გიორგი მაჩაბლის მოგზაურობა ხანგრძლივი და ხიფათით აღსავსე იყო, მან იაპონია-ამერიკის გზით რამდენიმე თვის შემდეგ ჩააღწია ევროპაში.

მიხაკო წერეთელი ამ დროს აქტიურ სამუშაოს ეწეოდა 1916 წელს ლოზანაში ერთა კავშირის კონგრესზე. მან განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა კონგრესზე, როდესაც მოხსენებისას ისაუბრა დასაბუთებული რუსული წყაროების მიხედვით _ რუსეთის მიერ საქართველოს მიმართ ჩადენილი დანაშაულებანზე ვახტანგ VI-დან დაწყებული უკანასკნელი დღემდე რუსეთს ბატონობისას საქართველოში. მის მიერ გაკეთებულმა მოხსენებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია

[47] თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი,. „დამოუკიდებლობის კომიტეტი საზღვარგარეთ _ 1914“ თბ,. 2018 http://german-georgian.archive.ge/ka/blog/32 (წვდომის თარიღი: 10.10.2021)

ევროპაში, რომელსაც დამოუკიდებლობის კომიტეტი ავრცელებდა. ამის შემდეგ 1917 წელს სტოკჰოლმში გაიმართა სოციალისტური ინტერნაციონალის კონგრესი, სადაც სოციალისტების დელეგაციას მიხაკო წერეთელმა მემორანდუმი წარუდგინა: „რადგანაც ქართველ სოციალ-დემოკრატებსა და ფედერალისტებს არ შეუძლიათ წარმომადგენლების გამოგზავნა, ამიტომ მე, ქართველმა ნაციონალისტმა დავწერე ეს მოხსენება ქართული საკითხების შესახებ," _ ასე განუცხადა სოციალისტ დელეგატს კამილ ჰიუსმანსს.[48]



Typ „UB-42"

UB-42-ის კაპიტანი კურტ შვარცი. წყალქვეშა ნავების ფლოტილიის მეთაური - შლუბახი, პეტრე სურგულაძე და გიორგი მაჩაბელი. თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გურამ შარაძის კერძო კოლექცია.

[48] თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი,. „დამოუკიდებლობის კომიტეტი საზღვარგარეთ _ 1914" თბ,. 2018 http://german-georgian.archive.ge/ka/blog/32 (წვდომის თარიღი: 10.10.2021)

დამოუკიდებლობის კომიტეტი ევროპაში აქიუტრად მუშაობდა და ყველა შესაძლო საშუალებას იყენებდნენ საკუთარი სიტყვის სათქმელად, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას ნიადაგს უმზადებდა.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, 1917 წელს, გერმანიის ჯარებმა რუსი მხედრობის დამარცხება შეეძლო. ომმა და პოლიტიკურმა დაძაბულობამ გამოიწვია ის, რომ სამხედრო შეენაერთებმა ფრონტი მიატოვა და უკვე საშიშროება შეიქმნა იმისა, რომ მათ თარეში დაეწყოთ საქართველოში. თბილისის კომიტეტმა სასწრაფოდ გაგზავნა შალვა ქარუმიძე სტოკჰოლმში „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ წევრებთან მოსალაპარაკებლად. გიორგი მაჩაბელმა, მიხაკო წერეთელმა და შალვა ქარუმიძემ გერმანიის მთავრობას სთხოვეს დახმარება საქართველოსთვის. აქედან გამომდინარე, გერმანიის მთავრობამ გადაწყვიტა სტამბოლიდან წყალქვეშა ნავი გაეგზავნა საქართველოში მნიშვნელოვანი მისიებით და ექსპედიციებით. 1917 წლის 3 ოქტომბერს მიხაკო წერეთელი, ოსმან-ბეი (მელიტონ ქარცივაძე) და კიდევ სამი ქართველი საქართველოში ჩამოვიდნენ, რომელთაც თან დიდძალი იარაღი და ფული მოჰქონდათ. წყალქვეშა ნავით UB-42-ით, საქართველოსკენ გამომგზავრებიდან 8 ოქტომბერს იარაღი მშვიდობიანად გადაიტანეს ნაპირზე და თავი ჯერ ოხარკალიაში ნიკო ხორავასთან, ხოლო შემდეგ ნოსირში კოკი დადიანთან შეაფარეს.[49]

[49] თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი,. „დამოუკიდებლობის კომიტეტი საზღვარგარეთ _ 1914“ თბ,. 2018 http://german-georgian.archive.ge/ka/blog/32 (წვდომის თარიღი: 10.10.2021)

ვლადიმერ ახმეტელაშვილი _ ქართული დიპლომატია გერმანიაში

გერმანიაში სპეციალური მისიით მივლინებულ დელეგაციას თან ახლდა გერმანიაში საქართველოს ელჩად დანიშნული ლადო ახმეტელი (ვლადიმერ ახმეტელაშვილი). ლადო ახმეტელი დაიბადა 1875 წლის 10 მარტს სოფელ ანაგაში დეკანოზ გიორგი ახმეტელაშვილის ოჯახში. თელავის სასულიერო სასწავლებლის დასრულების შემდეგ ახმეტელმა 1892 წელს სწავლა გააგრძელა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1898 წელს დაასრულა. 1899 წელს გერმანიაში გამგზავრების შემდეგ, 1901-1904 წლებში, სწავლობდა ჰალესა და ლაიფციგის უნივერსიტეტებში. 1904 წელს ლ. ახმეტელმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია („საქართველოს საშინაო ვაჭრობა“, Der Hausierhande in Georgien").

საქართველოში დაბრუნების შემდეგ იგი „შვარცის“ ფსევდონიმით ცალკეულ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს პოლიტიკისა და ეკონომიკის საკითხებზე. გერმანიაში ელჩად დანიშვნის შემდეგ საქართველოს საელჩო, რომელიც „ბრუკლინ ალეზე“ მდებარეობდა ბერლინში, ფაქტობრივად ქართული კულტურის პროპაგანდის ცენტრს წარმოადგენდა.

ლ. ახმეტელმა დიდი მოცულობის მოსამზადებელი სამუშაო ჩაატარა გერმანიის სოციალ-დემოკრეტიული პარტიის წევრებს შორის საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის მიზნით, რაც წარმატებით დასრულდა 1918 წლის 24-25 ივნისს რაიხსტაგში აღნიშნული საკითხის განხილვის დროს _ სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც საკანონმდებლო ორგანოში ორ ფრაქციად იყო წარმოდგენილი

(თავჯდომარეები შეიდემანი და ჰააზე), ერთხმად დაუჭირა მხარი საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას გერმანიის მიერ.

1922 წლის 16 აპრილს ქალაქ რაპალოში გერმანიასა და რუსეთს შორის დადებული შეთანხმების შედეგად ქართული ლეგაცია ბერლინში გაუქმდა.

ლ. ახმეტელი 1924-1937 წლებში ხელმძღვანელობდა ქართულ სათვისტომოს გერმანიაში. მან უდიდესი როლი ითამაშა 62 ქართველი პოლიტპატიმრის განთავისუფლებისა და გერმანიაში ემიგრირების საქმეში, რომლებსაც რუსეთის ციხეებში აუცილებლად ელოდებოდათ ფიზიკური განადგურება.

1938 წელს ლ. ახმეტელი სათავეში ჩაუდგა გერმანიის მთავრობის მიერ შექმნილ „კავკასიის სამმართველოს“. ვალმოხდილი მამულიშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა 1942 წლის 12 აგვისტოს ბერლინში და იქვეა დაკრძალული. ბოლშევიკების ტერორს შეეწირნენ ახმეტელის ძმები _ ცნობილი გენერალი სტეფანე ახმეტელაშვილი და დამფუძნებელი კრების წევრი სიკო (სიმონ) ახმეტელაშვილი.

ფოთის დროებითი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, 1918 წლის ივნისში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის მეთაურობით, დიპლომატიური მისია გერმანიაში გაემგზავრა თანამშრომლობის ახალი ფორმატის და ორმხირივი ხელშეკრულების გასაფორმებლად და რაც ყველაზე მთავარი იყო, უნდა მომხდარიყო საქართველოს დამოუკიდებლობის საბოლოოდ აღიარება. დიპლომატიურ მისიაში ასევე შედიოდა ეროვნული საბჭოს წევრი ვლადიმერ (ლადო) ახმეტელაშვილი (1875-1942) დამფუძნებელი კრების წევრი, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი გერმანიაში, იგი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან იყო და მას გაცემული ჰქონდა სპეციალური მანდატი მოლაპარაკებების გამართვის გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან (SPD _

Sozialdemokratischen Partei Deutschlands) და ომის მოწინააღმდეგე წევრების მიერ ჩამოყალიბებულ დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრა-ტიულ პარტიასთან (Unabhängige Sozialdemokratische Partei Deutschlands _ USPD).[50]

ვლადიმერ ახმეტელაშვილის მთავარი მიზანი იყო, რომ სოციალისტური ფრაქციების მხარდაჭერა მოეპოვებინა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხის განხილვისას. ფრიდრიხ ებერტი სოციალ-დემოკრატიული პარტიის (SPD) ლიდერი გახლდათ, იგი ასევე აირჩიეს გერმანიის პირველ პრეზიდენტად, სწორედ მასთან ცდილობდა ვლადიმერ ახმეტელაშვილი კავშირის დამყარებას. ებერტის გარდა გერმანიაში სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურებიც იყვნენ, რომლის მხარდაჭერაც საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყო, სწორედ ასეთი პიროვნება გახლდათ გერმანიის კანცლერი და გერმანიის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ჰუგო ჰააზე.

ვლადიმერ ახმეტელაშვილი საქართველოში 1918 წლის ზაფხულის ბოლოს დაბრუნდა თავისი მეტად მნიშვნელოვანი დიპლომატიური მისიიდან. საქართველოს პოლიტიკური ელიტა ელოდებოდა ახმეტელაშვილის მიერ პოზიტიურ გზავნილებს, რაც ევროპიდან უნდა ჩამოეტანა, რადგან იგი მიმართული იყო საქართველოს დამოუკი-დებლობის საბოლოოდ აღიარებასთან. ახმეტელაშვილმა თავის დიპლომატიურ მისიაზე დეტალურად სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „ერთობაში“ გამოაქვეყნა სტატიათა ციკლი სათაურით „გერმანიაში“, რომელიც სრულად ეძღვნება გერმანელ სოციალ-დემოკრატებთან გამართულ მოლაპარაკებებს და მათთან ურთიერთობებს (გაზ. „ერთობა“ 1918 წლის 7 სექტემბერი, N191, გვ. 2-3).

[50] ირაკლი ირემაძე,. „გერმანიაში _ 1918“ თბ,. 2020 http://german-georgian.archive.ge/ka/blog/98 (წვდომის თარიღი 10.10.2021)

ვლადიმერ ახმეტელაშვილი (1875-1942) ფსევდონიმი _ შვარცი

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრი (1917)

ფოტო: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



ედუარდ ბერნშტეინი
(1850-1932)

ვლადიმერ ახმეტელაშვილი თავისი დიპლომატიური მისიის შესახებ თხრობას ედუარდ ბერნშტეინთან და ოსკარ კონთან შეხვედრისას იწყებს. ზემოთ ხსენებული პირები ახმეტელაშვილთან ბინაზე მივიდნენ, კონი მეტად წარმოსადეგი პიროვნება გახლდათ, იგი ადვოკატი გახლდათ და სამართლებრივ ნორმებსა და კანონმდებლობაში კარგად ერკვეოდა, სწორედ ასეთ ადამიანთან სჭირდებოდა ახმეტელაშვილის პირველი შეხვედრები და კონსულტაციები.

ვიდრე უშუალოდ მთავარ საკითხზე საუბარს დაიწყებნენ, მანამდე საუბარი ზოგადად საქართველოსა და ამიერკავკასიის მდგომარეობის შესახებ ჰქონდათ, ეს უფრო კერძო საუბარი იყო, ვიდრე რამე ოფიციალური შეხედულებების. მაგრამ ედუარდ ბერნშტეინმა ახმეტელაშვილს სთხოვა, რომ მოკლე მოხსენება გაეკეთებინა საქართველოს აწყმო მდგომარეობის შესახებ, რომ უფრო დეტალურად გასცნობოდა საქართველოში არსებულ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას. სანამ ახმეტელაშვილი მოხსენებას გააკეთებდა, საჭირო იყო, მოხსენების ლეგიტიმაცია, საუბარს ადვოკატი ესწრებოდა და აინტერესებდა ეს უბრალოდ ახმეტელაშვილის ნააზრევი და შეხეულება იყო თუ მის უკან საქართველოს პოლიტიკური ელიტაც იდგა. ახმეტელაშვილმა მათ საოლქო კომიტეტის მიერ მოცემული მანდატი აჩვენა, სადაც ირაკლი წერეთელი აწერდა ხელს, ამით კონის განსაკუთრებული ყურადღებაც მიიქცია და ახმეტელაშვილმა კონს მოკლედ უპასუხა, რომ ირაკლი წერეთელი მის აზრსა და შეხედულებებს სრულად იზიარებს, ახმეტელაშვილმა ასევე დასძინა, რომ მის შეხედულებებს და მოთხოვნებს ასევე იზიარებენ საქართველოს პოლიტიკური ელიტის სხვა ლიდერებიც, როგორიც არიან: ნოე ჟორდანია, ნიკოლოზ ჩხეიძე და სხვები. ამის შემდეგ კონს არანაირი კითხვები არ გასჩენია ახმეტელაშვილთან მიმართებაში და მზად იყო მოხსენების მოსასმენად.[51]

[51] ირაკლი ირემაძე,. „გერმანიაში _ 1918“ თბ,. 2020 http://german-georgian.archive.ge/ka/blog/98 (წვდომის თარიღი 10.10.2021



კარლ კაუცკი საქართველოში სტუმრობისას, 1920 წელს.



სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრების ჯგუფი. მარცხნიდან: ოტტო ლანდსბერგი, ფილიპ შეიდემანი, გუსტავ ნოსკე, ფრიდრიხ ებერტი, რუდოლფ ვისსელი. 1918 წელი.

ახმეტელაშვილმა დაიწყო მოხსენების გაკეთება და მან მოკლედ გააცნო ამიერკავკასიისა და განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიული პარტიის როლი რუსეთის რევოლუციაში. რუსეთთან რევოლუციური ბრძოლის საკითხი გერმანიისთვის მნიშნელოვანი გახლდათ, სწორედ აქედან გამომდინარე, ახმეტელაშვილმა ხაზი გაუსვა იმ მოვლენას, თუ როგორ თავგანწირვით იბრძოდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები და მისი ლიდერები: ჟორდანია, წერეთელი, გეგეჭკორი, რამიშვილები და სხვები. საუბრისა და გარკვეული საკითხების განხილვის შემდეგ, კონსა და ბერნშტეინს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის შესახებ არანაირი აზრი არ მოსვლიათ და მაინც, ახმეტელაშვილს იმას აგრძნობინებდნენ, რომ რუსეთთან დარჩენის მომხრეები იყვნენ. ახმეტელაშვილს საუბრისას პირველი ამოცანა უკვე გაუჩნდა: მას უნდა დაემტკიცებინა, რომ რუსეთთან და მათ შორის ბოლშევიკებთან დარჩენის იდეა სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იქნებოდა, მან ბოლშევიკების ანარქო პოლიტიკის შესახებ უამბო კავკასიასთან დაკავშირებით და მათი საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზნებიც გააცნო. ბოლშევიკები საქართველოს მუქარას უთვლიდნენ იმ ფაქტის გამო, რომ თუ რუსეთს დავეხმარებოდით, მაშინ ქვეყნის შიგნით ამბოხების სერიებს დაიწყებდნენ და ქვეყანას დაშლიდნენ. ასევე რუსეთთან ერთად საქართველოს მეორე მტერი ოსმალეთის იმპერიაც გამოუჩნდა, რომელიც საქართველოს საზღვრების შემოჭრით იყო დაინტერესებული და ამისთვის სასურველ დროს ელოდა. ოსმალეთის სტრატეგიული მიზნები და საქართველოს ტერიტორიების დაკავება დამოკიდებული იყო ბოლშევიკების მიერ შექმნილ შიდა ანარქიასა და სოციალისტური მთავრობის წინაღმდეგ ამბოხების მოწყობის შედეგებზე. ახმეტელაშვილმა დეტალურად გააცნო ბოლშევიკების მიზნების შესახებ კავკასიაში და აუხსნა ის ფაქტიც, რომ საქართველო იძულებული გახადეს ევროპაში საიმედო და სანდო პარტნიორი ეძებნა.

პირველ ეტაპზე ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა საქართველომ, მაგრამ გარე ძალების მეოხებით იგი დაიშალა და განწირულ პროექტად მოინათლა. ამის შემდეგ საქართველოს მმართველი პოლიტიკური ელიტა მიხვდა, რომ საკუთარი თავისთვის რეგიონში მარტო უნდა მიეხედა და საქართველოს დამოუკიდებლობაც გამოაცხადა, შემდეგ კი გერმანიასთან დაამყარა დიპლომატიური კავშირი. ამ მოხსენების გაკეთების შემდეგ ახმეტელაშვილმა ბერნშტეინსა და კონს მოუბოდიშა, რადგან უფრო ვრცელი მოხსენება გამოდგა, ვიდრე ამას ელოდებოდა, მაგრამ ეს ყველაფერი ბერნშტეინისა და კონის მთავარმა კითხვამ განაპირობა. ედუარდ ბერნშტეინი ახმეტელაშვილის ვრცელი მოხსენებით მადლობელი დარჩა და მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ რაც უფრო დეტალური და ვრცელი იქნება მოხსენება ამიერკავკასიასა და საქართველოს შესახებ, მით მეტი წარმოდგენა გაუჩნდებათ გერმანელ პოლიტიკოსებს საქართველოს მდგომარეობაზე.[52]

მოხსენების დასრულების შემდეგ დაიწყო დებატები და კამათი. კამათის ინიციატორი მხოლოდ კონი გამოდგა. მოგეხსენებათ, რომ კონი გერმანიის მთავრობის მიმართ არ იყო სიმპათიებით განწყობილი და მის პოლიტიკას ხშირად აკრიტიკებდა. შეგვიძლია კონს ოპოზიციონერი პოლიტიკოსის როლიც მოვარგოთ. კონმა საქართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯი და დამოუკიდებლობის გამოცხადების მოთხოვნა დადებით ფაქტად შეაფასა და აღნიშნა ისიც, რომ თქვენ ეს ყველაფერი მართლაც ამიერკავკასიაში არსებულმა მდგომარეობამ გიკარნახათო, მაგრამ კონს არ ესმოდა ის აზრი, თუ რატომ ჰქონდათ ასეთი ინტერესი და იმედი გერმანიის მთავრობის მიმართ და რატომ ელოდნენ მისგან ფიზიკურად გადარჩენის იმედს. კონის აზრით, გერმანიის მთავრობა

[52] ირაკლი ირემაძე,. „გერმანიაში _ 1918“ თბ,. 2020 http://german-georgian.archive.ge/ka/blog/98 (წვდომის თარიღი 10.10.2021

ერთ-ერთი საძაგელი მთავრობა იყო იმჟამინდელ ევროპაში. კონს მიაჩნდა, რომ გერმანიის მთავრობა საქართველოს გამოწურავდა და შემდეგ ოსმალეთის იმპერიას მისცემდა საშუალებას, თავისი სტრატეგიული მიზნები განეხორციელებინა. კონი ახმეტელაშვილს მოუწოდებდა, რომ ნდობით არ მოკიდებოდა გერმანიის მთავრობას და მასზე დიდი იმედებიც არ დაემყარებინა.

კონთან დებატებში ბერნშტეინი ჩაერთო. იგი არ იზიარებდა კონის შეხედულებებს და საქართველოსა და გერმანიის მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის პოზიციას იცავდა. ბერნშტეინი საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას იცავდა და ქვეყნის მიერ გადადგმულ ისტორიულ ნაბიჯად მოიხსენიებდა, ასევე კონს სამართლიანობას უმტკიცებდა. კონი კვლავ ახმეტელაშვილს უმტკიცებდა, რომ გერმანიის მთავრობა ბოლშევიკებზე ნაკლები უვარგისი არ არისო და ისიც ბოლშევიკების მსგავსიაო. ახმეტელაშვილმა კონს მიუგო, რომ ბოლშევიკების იდეებსა და სტრატეგიას გერმანიის მთავრობის შეხედულებები ბევრად სჯობდა. კონისა და ახმეტელაშვილის დებატებმა და კამათმა დიდხანს გასტანა. კამატი კიდევ გაგრძელდებოდა, ბერნშტეინს რომ არ თქვა: „ახლა რეხსტაგის კომისიის სხდომა გვაქვს და იქ უნდა წავიდეთო“. შეხვედრის დასრულების შემდგომ ბერნშტეინი ახმეტელაშვილს მოუბრუნდა და უთხრა, რომ „რასაკვირველია, თქვენ ჩვენს დამოუკიდებელ ფრაქციაში მოხსენებას გააკეთებთო. იქ ფრაქციის ყველა წევრი იქნება და საბოლოო აზრს შევიმუშავებთო. მე არ ვიზიარებ ამხანაგ კონის შეხედულებას და ვერ მივემხრობი მასო“. პირველივე დღიდან ნათლად გამოჩდა, რომ ედუარდ ბერნშტეინი საქართველოსთან დამოკიდებულებაში ქართული პოლიტიკური ელიტის მხარეს იჭერდა და იგი ყველაფერს გააკეთებდა, რომ საქართველოსა და

გერმანიას შორის მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობები ჩამოყალიბებულიყო.[53]

ბერნშტეინმა ახმეტელაშვილს ურჩია, ურთიერთობა დაემყარებინა კარლ კაუცკისთან. იგი პარტიის უდიდესი თეორეტიკოსი იყო და საკითხს უფრო ფართოდ და პრინციპულად დააყენებდა. ბერნშტეინმა ახმეტელაშვილს შესთავაზა, რომ პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანია, კაუცკი საქმის ვითარებაში კარგად გაერკვეს და შემდეგ უკვე მოლაპარაკებები გავმართოთო. სანამ კაუცკისთან მოხდებოდა შეხვედრა, მანამდე საჭირო იყო ფრაქციაში გაეკთებულიყო განცხადება და მოხსენება. ბერნშტეინმა საკუთარ თავზე აიღო ეს პასუხისმგებლობა, რომ იგი ფრაქციის წევრებს მოუყრიდა თავს და შეხვედრასაც გამართავდნენ.[54]

ახმეტალაშვილმა ედუარდ ბერნშტეინსა და ოსკარ კონთან შეხვედრის შინაარსი და მნიშვნელოვანი შედეგები დაწვრილებით გააცნო აკაკი ჩხენკელს. აკაკი ჩხენკელისა და ახმეტელაშვილის საუბრის დროს ოთახში მიხაკო წერეთელი შევიდა და მან მოახსენა, რომ საქართველოს დიპლომატიური დელეგეცია დაბარებული იყო ფილიპ შეიდემანთან შეხვედრაზე. ფილიპ შეიდემანი გერმანიის კანცლერი გახლდათ და მის გარეშე მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხები არ წყდებოდა. შეხვედრის ადგილი რეიხტაგის შენობა იყო ფრაქციის ოთახში. შეხვედრას ასევე ესწრებოდა ფრიდრიხ ებერტი. ამჯერად მოხსენება მიხაკო წერეთელმა გააკეთა და მან ხაზი გაუსვა საქართველოს ისტორიულ უფლებებს.

მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციაში. მოხსენება ამჯერად ვლადიმერ ახმეტელაშვილს

[53] ირაკლი ირემაძე,. „გერმანიაში _ 1918“ თბ,. 2020 http://german-georgian.archive.ge/ka/blog/98 (წვდომის თარიღი 10.10.2021

[54] ირაკლი ირემაძე,. „გერმანიაში _ 1918“ თბ,. 2020 http://german-georgian.archive.ge/ka/blog/98 (წვდომის თარიღი 10.10.2021

უნდა გაეკეთებინა. მოხსენებას ფრაქციის წევრები ყურადღებით უსმენდნენ და ბოლო კომენტარი ებერტმა გააკეთა: „ჩვენ თქვენს დამოუკიდებლობას ვემხრობით და მხარს დავუჭერთ, მაგრამ პრაქტიკული შედეგების გვეშინიაო, ვაი და ბოლშევიკურმა მთავრობამ ეს შინაურ საქმეში ჩარევად ჩამოგვართვას და ამ ნიადაგზე ჩვენსა და რუსეთს შორის კვლავ განხეთქილება მოხდესო. ჩვენ არ გვინდა, ამას ვერიდებითო. ძლივს ზავი ჩამოვარდა _ სისხლისღვრა აღარ არის და ჩვენმა ფრაქციებმა რომ მთავრობას საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეში მხარი დაუჭიროს, იმპერიალისტობაში ჩამოგვართმევენ და ჩვენსა და რუსეთს შორის საქმე გართულდებაო“. ფრაქციის შიგნით კამათი არ გამართულა, მხოლოდ დავიდმა გამოთქვა თავისი მოსაზრება და მოკლედ გააცნო თავისი შეხედულება. შედეგებიდან გამოჩნდა, რომ ფრაქციამ ერთხმად მოიწონა ახმეტელაშვილისა და საქართველოს პოზიცია დამოუკიდებლობის მოპოვების უფლების შესახებ. ფრაქციის წევრებმა ასევე განაცხადეს, რომ ეს საკითხი რაიხსტაგის საგანგებო კრებაზე იქნება განცხადებულიო.

ახმეტელაშვილმა ფრაქციაში გამოსვლის შემდეგ ინახულა ჰუგო გააზესი და სხვა დამოუკიდებელი ფრაქციის წევრები. ამ პერიოდში ედუარდ ბერშტეინი აქტიურობდა და მან ყველას გააცნო საქმის ვითარება. საქართველოს დიპლომატიური მისია კარგად მიმდინარეობდა და ნელ-ნელა უკვე ნიადაგიც მომზადებული იყო მთავარი კრების გამართვისთვის.

საბოლოოდ, 1918 წლის ივნისში ახმეტელაშვილი აქტიურად იწყებს პოლიტიკურ და დიპლომატიურ საქმიანობას, გერმანელი პოლიტიკური ელიტისთვის და გავლენიან პოლიტიკოსებისთვის საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გაცნობის შედეგად ახმეტელაშვლმა მიაღწია იმას, რომ რაიხსტაგში საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის განხილვა

1918 წლის 24-25 ივნისს მიმდინარეობდა და საკანონმდებლო ორგანოს ორივე დაპირისპირებული სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენლების დიდი ნაწილის მხარდაჭერა მოიპოვა. რაიხსტაგის ტრიბუნაზე გამოსვლისას SPD-ის ფრაქციის თავმჯდომარემ ფილიპ შეიდემანმა და USPD-ის ფრაქციის თავმჯდომარემ ჰუგო ჰააზემ სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების საკითხში.

გაზეთი „ერთობა“, 1920 წლის 6 ნოემბერი, N253
საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან

საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა გატონმა ლადო ახმეტელაშვილმა ბერლინიდან ოფიციალურად აცნობა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, რომ გერმანიის რესპუბლიკის მთავრობამ 1920 წლის სექტემბრის 24-ს საქართველოს რესპუბლიკა ოფიციალურად „დე-იურე“ (იურიდიულად) აღიარა და თავის ელჩათ საქართველოში დანიშნა გ. ულრიხ რაუხერი (რაუშერი). მეუმრავლესე სოციალ-დემოკრატიული პარტიის (SPD) ცნობილი წევრი

ქართულ-გერმანული სავაჭრო ურთიერთობები 1918 წელს

1918 წლის ზაფხული საქართველოსა და გერმანიის ურთიერთობაში ერთობლივი ანუ ქართულ-გერმანული იდეების, მოქმედებებისა და დიდი სამომავლო იმედების პერიოდი იყო. გერმანია საგარეო კულტურის პოლიტიკის კონტექსტში განიხილავდა მის ინტერესებს საქართველოში და იმხანად საგარეო პოლიტიკური მიზნები და გათვლები საქართველოსაც ჰქონდა, რომელიც ძლიერი ქვეყნისგან საგარეო და საშინაო საკითხებში მხარდაჭერასა და მფარველობას ელოდა. სწორედ აქედან გამომდინარე, ქართულ-გერმანული პროექ-

ტების წამოწყებას საზოგადოებრივ, კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროებში წინ არაფერი ედგა.

ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობებს ქართულ-გერმანულ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ნაწილი ეკავა. 1918-1921 წლების ამ ორმხრივი სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობის მოზაიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს 1918 წელს დაარსებული ქართულ-გერმანული სავაჭრო პალატა. გერმანიის ინტერესში, გარდა ვაჭრობისა და საქონლის გაცვლისა, წიაღისეულისა და სხვა სასარგებლო რესურსების დამუშავებაც შედიოდა. 1918 წელს გრიბოედოვის N18-ში განთავსდა „სამეურნეო განყოფილება“, რომელიც კავკასიურ ექსპედიციას მოჰყვა თან. სამეურნეო განყოფილება ორ ქვეყანას შორის საქონლის გაცვლის საკითხებით იყო დაინტერესებული. თილო ფონ ვესტერნჰაგენი გერმანული მხრიდან სამურნეო და საქონლის გაცვლის საკითხებს უძღვებოდა. მისი მთავარი დანიშნულება იყო ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიაში არსებული ზეთის კარტელისა და, ზოგადად, სხვადასხვა მცენარეული ზეთის გატანის საკითხების მოწესრიგება. ვესტერჰაგენი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სამეურნეო საკითხებში. მას ომის დაწყებამდე სწორედ ზეთისა და სხვა სამეურნეო პროდუქციის მომარაგება და უზრუნველყოფა ევალებოდა არიზსა და ლონდონში. ომის მსვლელობის დროს კი ნიუ-იორკში ცხოვრობდა.[55]

ამ თანამშრომლობის ფარგლებში სამთავრობო დონეზე მოლაპარაკებები რამდენიმე მთავარი ხაზით მიმდინარეობდა. საქართველოს ინტერესებს იცავდა ეროვნული საბჭოს წევრი პეტრე სურგულაძე. ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს განკარგულებით შეიქმნა „საქართველოსა და გერმანიის შუა საქონლის გამცვლელი კომისია“. სამუშაო პროცესებში ასევე ჩართულნი იყვნენ ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის

[55] მარგველაშვილი ანა,. „ქართულ-გერმანული სავაჭრო პალატა _ 1918“ თბ,. 2020 http://german-georgian.archive.ge/ka/blog/82 (წვდომის თარიღი 10.10.2021)

მოადგილე გიორგი ნიკოლაძე და ვაჭრებისგან _ ალექსანდრე ჯაბადარი (თბილისის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე), კომისიის მთავარი მოვალეობა იყო საქართველოსა და გერმანიას შორის სავაჭრო საკითხებისა და ურთიერთობების მოწესრიგება. კომისიის აქტიური და თავდაუზოგავი საქმიანობის შედეგად 1918 წლის ივლისში დაფუძნდა ქართულ-გერმანული სავაჭრო პალატა, რომელმაც გერმანიის სამეურნეო დელეგაციისა და ერთობლივი საქონლის გაცვლის კომისია ჩაანაცვლა. სავაჭრო პალატის თავმჯდომარე იყო აკაკი ხოშტარია, თავმჯდომარის მოადგილეები _ კონსტანტინე აფხაზი, გიორგი ევანგულოვი, მიხეილ სუმბათაშვილი, არტემ სეილანოვი და საქმეთა მმართველი _ დ.ა. ქორქია.

ქართულ-გერმანული სავაჭრო პალატის მიზანი იყო საქართველოსა და გერმანიის სამეურნეო დაახლოება, რაც საერთო სავაჭრო-სამრეწველო ინტერესების ნიადაგზე უნდა განხორციელებულიყო. ამ მიზნის მისაღწევად პალატა გეგმავდა, მუდმივი კავშირი ჰქონოდა კავკასიის სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციებთან, აგრეთვე საქართველოს სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებასთან და ამგვარად შეეწყო ხელი გერმანიასა და საქართველოს შორის ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის. მნიშვნელოვანი იყო ასევე, რომ პალატას მოეხდინა საქართველოს მთავრობისათვის საზოგადოებისა და კერძო დაწესებულებების სავაჭრო-სამრეჭველო ინტერესების გაცნობა და მისი განხორციელება. პალატა თემატურად აპირებდა გამოცემების დაბეჭდვას და ცდილობდა თავი მოაყარა ვაჭრობა-მრეწველობის სტატისტიკისათვის ორ ქვეყანას შორის. ასევე იგეგმებოდა შესაძლო საექსპორტო საქონლის კონკურსები, მუდმივი და დროებითი გამოფენები, საჭიროების შემთხვევაში _ მუზეუმების ან სპეციალური ბიბლიოთეკების დაარსება.

პალატის ფუნქციონირებისათვის და მისგან შედეგის მისაღებად საჭირო იყო გერმანიაში ვაჭრობა-მრეწველობის წრეებისათვის

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობისა და პოტენციალის შესახებ გაცნობითი ხასიათს შეხვედრები გამართულიყო. სწორედ ეს დიდი მისია ეკისრებოდა სუმბათაშვილს გერმანიაში. მას უნდა შეესწავლა გერმანიის ბაზრის თავისებურებები და გაეგო საქართველოსა და გერმანიას შორის საქონლის გაცვლის პირობები. მასვე დაევალა, რომ *„დააწესოს ბერლინში გერმანულ-ქართული სავაჭრო პალატა, რომელიც ხელს შეუწყობს ორივე სახელმწიფოს ეკონომიკურად დაახლოებას ვაჭრობა-მრეწველობის ინტერესების ნიადაგზე“*. აი, ასეთი შორსმიმავალი და საკმაოდ ამბიციური გეგმები არსებობდა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის კუთხით.[56]

თილო ფონ ვესტერჰაგენს უწევდა საუბარი არა მხოლოდ ზოგადად თანამშრომლობის ფარგლების შესახებ, არამედ მას მნიშვნელოვანი კომენტარები უნდა გაეკეთებინა და საკმაოდ დეტალურად განემარტა სავაჭრო პალატის საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ, რადგან უშუალოდ გერმანელების ეკონომიკურ ჩართულობასა და მათთან საქმიანობის დაწყებას სავაჭრო საკითხებში ბევრი ნეგატიურად აფასებდა და ცოტა სკეპტიკურადაც უყურებდა. მაგ., ამიერკავკასიის ერთადერთმა გერმანულენოვანმა გაზეთმა „Kaukasische Post“ (#53, 11.09.18) გამოაქვეყნა ვრცელი მასალა „საქართველოს დიდი სამეურნეო მომავალი“. გაზეთის რედაქტორისა და კრიტიკოსების შეკითხვებს ვესტერნჰაგენი პასუხობდა და აღნიშნავდა, რომ ის აზრი, თითქოს გერმანელები საქართველოში იმიტომ ჩამოვიდნენ, რომ მისი რესურსები და მნიშვნელოვანი წიაღისეული მადნები გაზიდონ, შემდეგ კი საქართველო ბედის ანაბარა მიატოვონ, სრულიად არ შეესაბამისებოდა რეალობას და უფრო პროპაგანდისტულ ნარატივს ჰგავდა, ვიდრე ლოგიკურ მსჯელობას, რომელსაც გერმანიის იმჟამინდელი მტრულად

[56] მარგველაშვილი ანა,. „ქართულ-გერმანული სავაჭრო პალატა _ 1918“ თბ,. 2020 http://german-georgian.archive.ge/ka/blog/82 (წვდომის თარიღი 10.10.2021)

განწყობილი პიროვნებები ამტკიცებდნენ. რეალურად ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების მთავარი მიზანი გახლდათ ის, რომ ორმხრივი ინტერესი ჩამოყალიბებულიყო ქვეყნებს შორის, რაც გამოიწვევდა ინიციატივების გამოჩენას და თანამშრომლობას სხვადასხვა სფეროებში. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანი იქნებოდა, პირველ რიგში, რეგიონში მშვიდობის დამყარებისთვის. მისი აზრით, მიწის ნოყიერებისა და წიაღისეულის მოპოვების თვალსაზრისით, საქართველო უსაზღვროდ მდიდარ და საინტერესო ქვეყანას წარმოადგენდა მთელს რეგიონში და ამ შესაძლებლობებს საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენისთვის კეთილდღეობის მოტანა შეეძლო. გერმანიის მთავარ ინტერესს სწორედ საქართველოს ბუნებრივი რესურსები წარმოადგენდა. ის, თავის მხრივ, საქართველოს იმ პროდუქციით უზრუნველყოფას ჰპირდებოდა (საქონლის გაცვლა), რომელიც ქვეყანას სასიცოცხლოდ ესაჭიროებოდა.

თილო ფონ ვესტერნჰაგენის აზრით, არავის შეუძლია ეჭვქვეშ დააყენოს სავაჭრო პალატის საქმიანობა, რომელიც საქართველოს მომავალს ბრწყინვალე ბედს უქადის. სავაჭრო-სამრეწველო კავშირები ნელ-ნელა იკრებდა ძალას განწყობა მართლაც რომ ოპტიმისტური იყო და ინტენსიური თანამშრომლობის კერებიც გააჩნდა ზაფხულის შემდეგ. ქართულ-გერმანული ურთიერთობების ამ ეტაპს შეგვიძლია თანამშრომლობის ფართო ფუნდამენტის გაჭრა და რიგი ინიციატივების ფეხზე დაყენების დრო ვუწუდოთ. საქართველო ეტაპობრივად უკავშირდებოდა ევროპასა და გერმანიას. პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამ ვითარება შეცვალა. მომავლის იმედები, აქტიურ ფაზაში შესული მრავალდარგობრივი თანამშრომლობის საზეიმო

განწყობები მალევე შეიცვალა. ნოემბერში გერმანულმა ჯარებმა და გერმანელმა პოლიტიკოსებმა კავკასიის დატოვება დაიწყეს.[57]

ქართულ-გერმანულ სავაჭრო პალატას თავისი მიზნებისა და გეგმების განხორციელების საშუალება არ მიეცა. ცნობილია, რომ სექტემბერში სავაჭრო პალატის წარმომადგენლები ჩართულნი იყვნენ გერმანიის დელეგაციის ინიციატივით შექმნილი „მომამზადებლი კომისიის“ მუშაობაში, რომელსაც საქონლის გაცვლის კომიტეტთან უნდა ეთანამშრომლა, გერმანიის სამეურნეო კომისიის წარმომად-გენლებთან ერთად. თანამშრომლობის პირველ ეტაპზე უნდა მომხდარიყო საქონლის რაოდენობისა და ფასების დადგენა, თუ რა ფასად უნდა გასულიყო საქართველოდან გარკვეული სახის პროდუქცია და რა სახის პროდუქციის შემოტანის საჭიროება იყო პირველ ეტაპზე საქართველოში, რომელიც სოციალურ პრობლემებს გადაჭრიდა.

ფაქტია, რომ გერმანიის გასვლამ საქართველოდან გავლენა მოახდინა ქართულ-გერმანულ პროექტზე, მათ შორის, სავაჭრო პალატის საქმიანობასა და სამომავლო ურთიერთობების გაგრძელებაზე. პალატამ მუშაობა შეაჩერა. საქონლის გაცვლასა და სხვა მასშტაბურ ეკონომიკურ და სავაჭრო პროექტებზე ლაპარაკიც ზედმეტია.რადგან იმხანად მუშაობა მხოლოდ თბილისის გერმანულმა გიმნაზიამ და თბილისის გერმანულმა სამხედრო ჰოსპიტალმა განაგრძო, ისიც დროებით.[58]

[57] მარგველაშვილი ანა,. „ქართულ-გერმანული სავაჭრო პალატა _ 1918“ თბ,. 2020 http://german-georgian.archive.ge/ka/blog/82 (წვდომის თარიღი 10.10.2021)

[58] მარგველაშვილი ანა,. „ქართულ-გერმანული სავაჭრო პალატა _ 1918“ თბ,. 2020 http://german-georgian.archive.ge/ka/blog/82 (წვდომის თარიღი 10.10.2021)

საქართველო-გერმანიის სამხედრო ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს

საქართველოს ინტელიგენცია და ერის მოწინავე განათლებული საზოგადოება კარგად იცნობდა გერმანულ კულტურას. ისინი სისტემატურად ეცნობოდნენ ევროპულ პრესას და თვალს ადევნებდნენ გერმანიის პოლიტიკასა და კულტურას. ქართველი ინტელიგენცია დიდად აფასებდა გერმანელი ერის თვითმყოფად კულტურას და გამოყოფდნენ მათ საუკეთესო თვისებებს. გერმანია საქართველოსთვის მისაბაძი მაგალითი გახლდათ ერის მშენებლობისა და თვითმყოფადობისთვის. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში რუსეთის იმპერია ანტიგერმანულმა გამოსვლებმა და რიტორიკამ მოიცვა, მიუხედავად ამისა ქართველებს საკუთარი შეხედულებები არ შეუცვლიათ გერმანიასთან დაკავშირებით.

საქართველოს ამგვარი დამოკიდებულება შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ რუსეთის კოლონიური რეჟიმის სიძულვილმა და მისგან განთავისუფლებისკენ ლტოლვამ გერმანიის სავარაუდო დახმარების იმედი წარმოშვა. სინამდვილეს არ ეწინააღმდეგება ეს ფაქტი, მაგრამ საკითხის ნათელსაყოფად საკმარისი არ არის. ქართულ-გერმანული ურთიერთობების ტრადიციები შორეულ წარსულშია საძიებელი.

გერმანიის კულტურული პრესტიჟი XX საუკუნის დამდეგს ქართველ ახალგაზრდობაში ძლიერი იყო, იგი არაფრით არ ჩამოუვარდებოდა ნიკო ნიკოლაძისა და სერგი მესხის თაობაში არსებულ საფრანგეთის ავტორიტეტს. სანდრო შანშიაშვილმა 1912 წელს გამოაქვეყნა წერილი, სადაც აღნიშნავდა, რომ გერმანიაში უნდა იზრდებოდნენ ქართველი ახალგაზრდები, რადგან სწორედ იქ არის სულის სიღრმე, ფილოსოფია, მეცნიერება და უმაღლესი პოეზია,

ქართველი ახალგაზრდებისთვის კი მნიშვნელოვანია შეითვისონ და შეიგნონ გერმანული ღირებულებები და პრინციპები .[59]

ამავე პერიოდში კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც კენიგსბერგში იმყოფებოდა, ქართველ ერს მისაბაძად უსახავდა გერმანელთა ხასიათში შემჩნეულ პატივსაცემ თვისებებს.[60] ევროპაში აღმოცენდა საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი, მისი წევრები დაუკავშირდნენ გერმანიის ხელისუფლების ოფიციალურ წარმომადგენლებს და თავიანთი პოლიტიკური მისწრაფებები გააცნეს. ეს ურთიერთობა სწორედ ქართველთა სიმპათია გახლდათ გერმანიისადამი, რომელიც მაღალ სამხედრო და პოლიტიკურ წრეებთან დაახლოებაში გადაიზარდა. ვილჰელმ მეორის გეგმაში შედიოდა გერმანიის მოწინაღმდეგე სამხედრო ბანაკის დასუსტება და რუსეთისთვის მისი განაპირა მხარებიის ჩამოშორება, რასაც უნდა გამოეწვია პოლონეთში, უკრაინასა და კავკასიაში ბუფერული სახელმწიფოების შექმნა. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა ის, რომ ქართულ კომიტეტს საქმე გაუადვილდა. ქართულმა ეროვნულმა კომიტეტმა გერმანიის მთავრობასთან ხელშეკრულების დადებაც კი მოახერხა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაში გერმანიის დახმარებას ითვალისწინებდა.

საქართველოსთვის გერმანიის მხარდაჭერა მნიშვნელოვანი გახლდათ, რადგან საქართველომ მოკავშირე ევროპაში იპოვა და ურთიერთობა მორალური თანაგრძნობიდან უკვე საქმიან ვითარებაში გადაიზარდა. საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის მუშაობამ შედეგი გამოიღო. გერმანიამ დააფინანსა კომიტეტის მთელი საქმიანობა, ასევე უზრუნველყო ოსმალეთის ტერიტორიაზე ქართული ლეგიონის ჩამოყალიბება და საქართველოსთვის უკვე იარაღიც შეჰქონდა

[59] გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ს. შანშიაშვილის ფონდი, საქ. #5558-ხ.

[60] ავალიანი ლ., „კონსტანტინე გამსახურდია კენიგსბერგში“. „ქართული მწერლობა“, 1990;

წყალქვეშა ნავებით. ამგვარმა ურთიერთობამ ნიადაგი მოუმზადა გერმანიის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის ცნობას. მართლაც, როგორც კი საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მისი დაცვა გერმანიამ იკისრა.

ვ.ლენინმა საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენა შეაფასა, როგორც „საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ.“ მთელი საბჭოთა ისტორიოგრაფია სწორედ ამ აზრს უცვლელად იმეორებდა საბჭოთა პერიოდში. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მტრის ხატის რიტორიკა უფრო განმტკიცდა და გერმანელებს, როგორც ოკუპანტებს, ისე აღიქვამდნენ. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში უკვე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იდეოლოგიური „მტრის ხატის“ შექმნას გერმანიისაგან. მაშინდელ ბროშურებში, წიგნებსა და პუბლიკაციებში იწერებოდა, რომ 1918 წლის გერმანული შენაერთები, რომელნიც მოწვეული იყვნენ საქართველოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, გაიგივებულნი იყვნენ ნაცისტ დამპყრობლებთან და საქართველოს მთავრობა მათი სრული მონა-მორჩილი იყო.

საბჭოთა მკვლევრები აქტიურად იყვნენ ჩართულნი საქართველო-გერმანიის ურთიერთობის ხასიათის წარმოსაჩენად. არსებობდა თუ არა რაიმე სხვა მტკიცებულება, გარდა ლენინის პოლიტიკური შეფასებისა? საბჭოთა მკვლევრების ძირითადი არგუმენტი გახლდათ ზურაბ ავალიშვილის ჩანაწერი მისივე წიგნიდან „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“.

როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მთავრობამ დელეგაცია გაგზავნა გერმანიაში საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღიარების, ქვეყნის ოფიხიალური მხარდაჭერისა და დამოუკიდებლობის მოპოვების უზრუნველსაყოფად. სწორედ ამ დელეგაციის წევრი იყო ზურაბ ავალიშვილი. გერმანიის

საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან შეხვედრისას ქართველი დიპლომატი გვაცნობს თავისი საუბრის შინაარსს, საიდანაც ირკვევა, რომ გერმანიის მთავრობის გარკვეული ნაწილი ფიქრობდა საქართველოში მონარქიის აღდგენას, ზოგიც პროტექტორატის დაწესებას იმედოვნებდა და სხვ. დოქტორი სიმონსი საუბრობდა საქართველოს გეოგრაფიულ დაშორებაზე და აღნიშნავდა, რომ საქართველოს ხელს არ უშლის მისი გეოგრაფიული მდეობრეობა იმაში, რომ გერმანიის ფედერაციაში შევიდეს. სიმონსი და ავალიშვილი აქტიურად საუბრობდნენ ამ საკითხის ირგვლივ, ავალიშვილმა სიმონსს შემდეგი შეკითხვა დაუსვა: „როგორ წარმოგიდგენიათ გერმანიის მომავალი წარმომადგენლის მდგომარეობა საქართველოში?“ სიმონსის პასუხი ამ საკითხთან დაკავშრებით შემდეგი იყო: „საქართველოში გერმანიის მომავალი წარმომადგენელი ფორმალურად დიპლომატიური წარმომადგენელი იქნებოდა გერმანიისათვის, არსებითად, შეიძლება, უახლოვდებოდეს ინგლისის რეზიდენტს ინდოეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან“.[61] ამ თემასთან დაკავშირებით მეტი კონკრეტული განსახილველი საკითხი არ არსებობს. გერმანელი პოლიტიკოსებისა და სამხედრო მაღალჩინოსნების აზრით, საქართველოსთან კავშირი უნდა იყოს მჭიდრო და საქართველო უნდა დარჩეს სრულიად დამოუკიდებელი.

გიორგი მაჩაბელმა ქართული ეროვნული კომიტეტის სახელით, გერმანიის სახელისუფლებო წრეებს პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში შესთავაზა, საქართველოში მონარქიის აღდგენისა და იმპერატორ ვილჰელმ II-ის ერთ-ერთი ვაჟიშვილის გამეფების იდეა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ ეს საკითხი არც თბილისში და არც ბერლინში სერიოზულად აღარ დასმულა.[62]

[61] ავალიშვილი ზ., “საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში.” თბ., 1925;

[62] ჯანელიძე ო., „დახვრეტილი თავისუფლება.” თბ., 2000;

დავუშვათ, რომ გერმანიას მართლაც გამოეგზავნა რეზიდენტი და საქართველო აღმოჩენილიყო გერმანიის ქვეშევრდომობაში პროტექტორატის საფუძველზე. რუსეთის „ხალხთა საპყრობილეში“ ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებებს მოკლებულ არსებობას გაცილებით აჯობებდა გერმანიის ქვეშევრდომობაში ყოფნა. მეფის რუსეთის პოლიტიკა დაპყრობილ ხალხთან მიმართებით იმპერიალისტური გახლდათ, იგი მიმართავდა საზოგადოების ასიმილაციას და მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო მკვიდრი ერების რუსიფიკაცია და ცარიზმთან მჭიდრო კავშირი. კაიზერული გერმანია გაცილებით მაღალი კულტურისა და შესაძლებლობების მქონე და წესრიგის მოყვარული ევროპული ქვეყანა იყო, ვიდრე მეფის რუსეთი. აქედან გამომდინარე, საქართველოს გერმანიასთან ურთიერთობა არ აქცევდა მის კოლონიურ სამფლობელოდ. საქართველოს, საშინაო მართვა-გამგებლობის მხრივ, თავისუფალი, ავტონომიური მმართველობა შეუნარჩუნდებოდა.[63]

საქართველოს მდგომარეობა გერმანიის მფარველობაში ამ ქვეყნის რომელიმე პრინცით თუ რეზიდენტით თბილისში, ეს მაინც საკითხის სუბიექტური გააზრება იქნება და არა სინამდვილის ფაქტობრივი ასახვა. ასეთი თეორიითა და მიდგომით სწორედ კაიზერის საგარეო პოლიტიკური უწყების ჩვეულებრივი რიგი მოხელენი მსჯელობდნენ. საქართველოსა და გერმანიას შორის მომზადდა „სამეგობრო, ეკონომიკური და სამართლებრივი ხელშეკრულება“, თუმცა იგი ხელმოწერილი არ ყოფილა. საქართველო-გერმანიის ურთიერთდამოკიდებულების იურიდიულ ნორმებზე საუბარი არც კი გამართულა დელეგაციების მეთაურთა დონეზე. პირველ ეტაპზე გერმანია ცნობდა და აღიარებდა საქართველოს სრულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. ერთ-ერთი გერმანელი ექსპერტის სიტყვით, ოცდაათიოდე

[63] ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი., “ჩემი მისია კავკასიაში“. გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი., 2002;

კაცმა თუ იცოდა, სად მდებარეობს საქართველო. დიდი ინტერესი გამოიჩინეს და თანაგრძნობით შეხვდნენ გერმანიასა და საქართველოს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას.

1918 წლის 28 მაისს ფოთში გაფორმებული ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის ომის მდგომარეობიდან გამომდინარე, სამხედრო, ფინანსურ და სავაჭრო პრობლემებს აწესრიგებდა და არ ითვალისწინებდა ურთიერთობის სამართლებრივ პრინციპებს, ამიტომ ამ კონტექსტში ვერ განვიხილავთ. 1918 წლის ივნისში გენერალ ფრიდრიხ ზიგმუნდ კრეს ფონ კრესენშტაინის მეთაურობით თბილისში შემოვიდა გერმანიის სამხედრო-დიპლომატიური მისია, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ორი ბავარიული ათასეული 1800 მებრძოლის შემადგენლობით. მისია განხორციელდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თანხმობით .[64]

ფონ კრესი თავის გამოსვლებსა და მიმართვებში დასძენს, რომ კავკასიის ტერიტორიაზე გერმანელთა მთავარი მოსვლის მიზეზი ქართველ ხალხთა დახმარებას წარმოადგენს. გერმანელები, როგორც მეგობრები, ისე არიან მოსული საქართველოში და პირობას დებენ, რომ დაიცავენ ქვეყნის ტერიტორიას და დაეხმარებიან ქართველ ხალხს _ აღიდგინოს თავისი ძველი სახელმწიფოებრივობა და დამოუკიდებლობა. „ჩვენ აქ ვიმყოფებით არა როგორც გამარჯვებულები, არამედ როგორც მეგობრები და ეს არის საფუძველი ჩვენი შემდგომი თანამშრომლობისა“.[65]

[64] გაზეთი „საქართველო“, 1918 წ. 26 ივლისი;

[65] ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი., “ჩემი მისია კავკასიაში“. გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი., 2002;



გერმანიის არმია საქართველოში, 1918 წელი.

ქვეითი

ბავარიის სამეფოს 29-ე ქვეითი პოლკის ორი ბატალიონი (N7 და N9 ქვეითი ბატ.)
ბავარიის სამეფოს მე-15 ქვეითი პოლკი (N1 ქვეითი ბატ. და რკინიგზის დაცვის ბატ.)
მოიერიშეთა X ბატალიონი
მეტყვიამფრქვევეთა ასეული (12 ტყვიამფრქვევი)
ნაღმმტყორცნელების ასეული (8 ნაღმმტყორცნი)
გარნიზონის ასეული (ყოფილი გერმანელი ტყვეები)

კავალერია

ბავარიის VII ცხენოსანი ბრიგადა
ბავარიის V მსუბუქი ცხენოსანი პოლკი
ბავარიის IV მსუბუქი ცხენოსანი პოლკი

სხვა დანაყოფები

ნაღმმტყორცნელების 176-ე ცალკეული ასეული
სარეზერვო 65-ე საველე საარტილერიო პოლკის II ბატალიონი
დაჯავშნული მანქანების რაზმი (10-ზე მეტი მანქანა)
28-ე საავიაციო რაზმი
1750-ე მეკავშირეთა რაზმი
სულ: 3.000-ზე მეტი ოფიცერი და ჯარისკაცი.

ფოტოები გადაღებულია გერმანელების მიერ 1918 წელს:

გერმანელმა ოფიცრებმა თბილისში ჩამოსვლისთანავე მოინახულეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმები და ესტუმრნენ საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმებს. გერმანელი ოფიცრები აქტიურად ეცნობოდნენ ქართულ ორნამენტულ კულტურას, აღჭურვილობასა თუ ხელნაწერებს, ბევრი ოფიცერი აღფრთოვანებულნი დარჩა ნანახით. გერმანელთა საქციელმა და პატივისცემამ ქართული კულტურისა და ტრადიციების მიმართ მკაფიოდ გამოაჩინა, რომ ქვეყანაში შემოვიდა ცივილიზებული ერის წარმომადგენლობა, რომელიც დადებითად იყო განწყობილი დიდი და თვითმყოფადი წარსულის მქონე ქართველი ხალხისადმი, აფასებდა მის ეროვნულ საუნჯეს და მზად იყო ხელი შეეწყო ქართველთა მატერიალური და არამატერიალური კულტურის დაცვა-განვითარებისა და განათლების დონის ამაღლებისთვის. საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითიც გამოდგება:

1. 1918 წლის ივლისში თბილისში ჩამოყალიბდა გერმანულ-ქართული კულტურული საზოგადოება, რაშიც მთავარი როლი მიუძღვის გერმანიაში განათლებამიღებულ ჩვენს თანამემამულებს, ასევე მოქმედ ეროვნულ საბჭოსა და ქართველ ინტელიგენციას. მის შექმნას მხარი დაუჭირა როგორც დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ, ისე საქართველოში გერმანიის ოფიციალურმა წარმომადგენლობამ. იგი ორი ერის დამეგობრებას, მათ კულტურათა დაახლოებასა და დიალოგს ისახავდა მიზნად.

2. 1918 წლის აგვისტოში გერმანიის მთავრობამ ქართველი მოსწავლეებისთვის 10 სტიპენდია გამოყო. ბავარიის ეტტალის მონასტერმა რამდენიმე ქართველი ბავშვი საკუთარი ხარჯით გიმნაზიაში მიაბარა და თითოეულ მათგანს 15 ათასი მარკის ოდენობის სტიპენდია გადასცა.

3. გერმანელი ქართველოლოგი რიჰარდ მეკელაინი, კონსტანტინე გამსახურდია და გიორგი კერესელიძე მიიწვიეს რედაქტორებად ბერლინურ გამომცემლობა „დერ ნოიე ორიენტში“, ასევე ქართულ სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალ „ევროპის მოამბეში“. ჟურნალი დააარსა ბერლინურმა გამომცემლობამ.[66]

გერმანელთა ჯარის შემოსვლა თბილისში, 1918 წელი.

[66] Пипия Г., „Германский империализм в Закавказье в 1910-1918 гг“. М., 1978;

გერმანელები საქართველოში, 1918 წელი

როდესაც ბორჩალოს მაზრაში თურქი ასკერები შემოიჭრენ, ქართველი ნაწილების მხარდამხარ მათ წინააღმდეგ გერმანელი ჯარისკაცებიც მონაწილეობდნენ და მტერი საქართველოს საზღვრებიდან უკუაგდეს. სწორედ ამის შემდეგ მოიპოვეს გერმანელმა სამხედროებმა ქართველთა კეთილგანწყობა. სამხედრო შეტაკებას 4 გერმანელის სიცოცხლეც შეეწირა. საქართველოს თავისუფლებისთვის თავდადებული მებრძოლები თბილისში, ავჭალის ქუჩის მახლობლად, გერმანელთა სასაფლაოზე მიაბარეს მიწას .[67]

[67] დღვილავა დ., „საქართველო-გერმანიის ურთიერთობა 1918-1921 წ.წ.“ (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1997;

1918 წლის აპრილ-მაისის განმავლობაში ოსმალეთის არმიამ ბრძოლით დაიკავა შავშთი, აჭარა, მესხეთი და ქვემო ქართლის დიდი ნაწილი მდინარე ხრამამდე. საქართველოს მთავრობა მოლაპარაკებებს აწარმოებდა გერმანელებთან ისლამისტების შემოტევის შესაჩერებლად. ოსმალების სარდლობამ ვეჰიბ ბეის მეთაურობით უარყო ოსმალეთის არმიის ნაწილების შემოჭრა ქვემო ქართლში და ადგილობრივ მოსახლეობას დააბრალა შეიარაღებული გამოსვლა. გადაწყდა, რომ გერმანიის არმიას, ახლად ჩამოყალიბებულ ქართულ სამხედრო ნაწილებსა და სახალხო გვარდიას ერთობლივად შეეტიათ მუსლიმი მოსახლეობისა და ოსმალეთის არმიის დანაყოფებისათვის ქვემო ქართლში, საერთო ამოცანით: გაეთავისუფლებინათ ლორეს რაიონი და გასულიყვნენ თბილისის გუბერნიის საზღვართან. ივნისის დასაწყისში სახალხო გვარდიის დანაყოფები განლაგდნენ ტაბახმელას პოზიციებზე, ხოლო ისლამისტები მდინარე ხრამის ნაპირზე. შეიქმნა დაჯგუფება პოლკოვნიკ სტეფანე ჩხეიძის მეთაურობით, რომელშიც შევიდა: ბავერიელ ეგერთა ბატალიონი, სახალხო გვარდიის ბატალიონი და არტილერია, ჯავშანმატარებლების რაზმი, ცხენოსანი დივიზიონი და არმიის ახლადფორმირებული ბატალიონი.

9 ივნისი. თბილისის სახალხო გვარდია ვ. ჯუღელისა და ა. კონიაშვილის მეთაურობით დაიძრა ტაბახმელადან მდინარე ხრამის მიმართულებით. მათ თან ახლდათ გორის, მცხეთის სახალხო გვარდიისა და ფედერალისტების რაზმი.

10 ივნისი. სახალხო გვარდიას ცეცხლი გაუხსნეს მდინარე ალგეთთან. სიტუაციის გამორკვევამდე დაჯგუფება შეჩერდა და მდინარის ჩრდილოეთით გადმოვიდა.

11 ივნისი. ქართულ-გერმანულმა დანაყოფებმა თავი მოიყარეს სანდართან (მარნეული) ახლოს. გენერლები გ. კვინიტაძე, ს. ახმეტელაშვილი და გ. მაზნიაშვილი იმყოფებოდნენ ადგილზე და შეხვდნენ

სახალხო გვარდიის შტაბის წევრებს, რომლებიც ცდილობდნენ მოლაპარაკებოდნენ ადგილობრივ მუსლიმ მოსახლეობას. საერთო შეტევა დაიგეგმა მეორე დღეს.

12 ივნისი. გამთენიისას ჯავშანმატარებელი, თბილისის გვარდია, გერმანელების ორი ეშელონი და არმიის ბატალიონი დაიძრნენ რკინიგზით. მათ მარჯვნივ დაიძრა სახალხო გვარდიის დარჩენილი ნაწილი, არტილერია და ცხენოსანი დივიზიონი. პირველივე სოფელმა თეთრი დროშები გადმოკიდა და დაჯგუფება სამსაათიანი მარშის შემდეგ გავიდა მდინარე ხრამთან, რომლის გაღმა ნაპირზე მოწინააღმდეგეს თხრილები მოეწყო. 14:00-ზე არტილერიამ გახსნა ცეცხლი. სოფელ ქოშა ქილისასთან გვარდიის არტილერიის მეთაური ვ. შარაშიძე ათ მებრძოლთან ერთად გადავიდა მეორე ნაპირზე, უკან დაბრუნებისას შარაშიძე მოკლეს და რამდენიმე მებრძოლი დაჭრეს, რამაც გვარდიელებში დიდი მღელვარება გამოიწვია. მთელი დღის მანძილზე მიმდინარეობდა პოზიციური ბრძოლა და დაზვერვა.

13 ივნისი. დილის 5 საათზე დაიწყო საერთო შეტევა არტილერიამ და ტყვიამფრქვევებმა დაუშინეს წინაწარ გამოვლენილ პოზიციებს. კვინიტაძემ სთხოვა მებრძოლებს, გერმანელებზე ადრე აეღოთ ხრამის ხიდი. მოხალისე ჯარისკაცებმა მტრის ცეცხლის ქვეშ სირბილით გადაკვეთეს ხრამის ხიდი და უკუაგდეს მოწინააღმდეგე მეორე ნაპირიდან, რაზეც გერმანელებმა შენიშვნა მისცეს: ძალიან მამაცები კი ყოფილხართ, მაგრამ ბრძოლა არ გცოდნიათო. მათ არ იცოდნენ, რომ ბატალიონი დაკომპლექტებული იყო მოხალისეებით, რომლებსაც წვრთნა არც ჰქონდათ გავლილი. მარჯვენა ფრთაზე სახალხო გვარდიის ცხენოსნებმა ვ. ჯუღელის მეთაურობით გადალახეს მდინარე ხრამი და შეიჭრნენ სოფელში. მოწინააღმდეგე გაიქცა. რამდენიმე ათეული სომეხი მებრძოლი შულავერიდან შემოუერთდა გვარდიას. მათი თქმით, შულავერი ორი თვე მუსლიმების გარემოცვაში იყო, ხოლო დაბაში 200

ასკერი იმყოფებოდა. ისინი გაქცეულან მას მერე, რაც ქართული არტილერიის ხმა გაიგონეს. ისლამისტების ორგანიზებული წინააღმდეგობა შეწყდა და გვარდია შეულავერში შევიდა, ხოლო მარცხენა ფლანგმა დაიკავა სადგური აშაღა-სერალი.

14 ივნისი. დილის 8 საათზე ჯავშანმატარებლების რაზმი უბრძოლველად შევიდა სადახლოში და ხელთ იგდო 150-ფურგონიანი აღალი 100 ოსმალო ასკერთან ერთად. აღალში ძალით ამუშავებდნენ ვორონცოვკადან წამოყვანილ რუს მოსახლეობას. სადგურ ალავერდთან ჯავშანმატარებელთა რაზმმა ცეცხლი გაუხსნა ოსმალების ეშელონს და აიძულა, დიდი სიჩქარით გაქცეულიყო სანაინისკენ, სადაც პანიკა ატყდა. ეშელონს უკან მიჰყვა ჯავშანმატარებელთა რაზმი და ქართული ეშელონი. სანაინში ტყვედ ჩავარდა 300 ასკერი, ალაფის სახით დაგვრჩა 300-მდე ცხენი და სურსათის მარაგი. სანაინიდან 8 კილომეტრის მოშორებით ჯავშანმატარებელთა რაზმი წამოეწია ოსმალების ეშელონს და ცეცხლი გაუხსნა, ტყვედ ჩავარდა 100-ზე მეტი ასკერი, ჯამში 1000-მდე ოსმალო ოფიცერი და ჯარისკაცი. გერმანული დანაყოფები 2-3 სადგურის მოშორებით მიჰყვებოდნენ ქართულ ფორმირებებს და იკავებდნენ პოზიციებს. სომხური, რუსული და გერმანული მოსახლეობა სიხარულით ხვდებოდა ქართულ ჯარს. ამ ოპერაციის დროს დაიღუპა 7 გერმანელი მებრძოლი, რომლებიც პატივით დაკრძალეს თბილისში. დაიჭრა 30-მდე. მოწინააღმდეგემ დაკარგა 40-ზე მეტი მოკლული და ასეულობით დაჭრილი. სახალხო გვარდიამ დაუზუსტებელი მონაცემებით დაკარგა 3 მებრძოლი. არმიის დანაკარგი უცნობია.[68]

[68] ლეგიონერები,. „ბორჩალოს ქართულ-გერმანული ექსპედიცია. 9-14 ივნისი. 1918 წ.“ თბ,. 2018 http://legionerebi.com/armia1918/?p=1118 (წვდომის თარიღი. 10.10.2021)

ბორჩალოს ქართულ-გერმანული ექსპედიცია, 9-14 ივნისი, 1918 წ.

გერმანელებმა გადაარჩინეს საქართველო ოსმალთა დარბევა-განადგურებისგან და ქართველ ხალხს შესაძლებლობა მისცეს, აღედგინა 117 წლის წინ გაუქმებული ეროვნული სახელმწიფოებრიობა. რუსეთისგან განსხვავებით, მათ საქართველო არ დაუპყრიათ და არ ჩარეულან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის არც შექმანასა და არც მის შემდგომ საქმიანობაში. „საქართველოში გაბატონებული იყო გერმანული მხედრიონი და მისი ერთგული მოკავშირე გერმანელი კოლონისტები; საქართველო გადაიქცა გერმანიის კოლონიად, სადაც პარპაშებდნენ გერმანელი სამხედრო მეთაურები, ადგილობრივი

გერმანელი მრეწველები და მიწათმფლობელები“.[69] სწორედ ასეთი ნარატივები არსებობს თანამედროვე რუსულ ისტორიოგრაფიაში. საქართველო-გერმანიის ურთიერთობის შესახებ კვლავ დომინირებს საბჭოურ-კომუნისტური შეფასება.

საქართველოში მყოფი გერმანიის სამხედრო კონტინგენტის ზოგიერთი მოქმედება, ცხადია, გაზვიადებულია, მაგრამ მართლაც გამოვლინდა რამდენიმე ცალკეული შემთხვევები. იმჟამინდელ საქართველოში გაზეთებიდან თავისი კრიტიკული ოფიციოზით გამოირჩეოდა „ერთობა“, რომელსაც გერმანელთა საქციელი უყურადღებოდ არ დარჩენია.

გაზეთის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა უკიდურესად მძიმე იყო, ქვეყანა კარჩაკეტილი ცხოვრობდა და სურსათის რაოდენობაც ადგილობრივ მცხოვრებთა გამოსაკვებად არ კმაროდა. გერმანელებისგან საზოგადოება მოელოდა, რომ უკრაინის პურს შავ ზღვაზე მიმოსვლის საშუალებას მისცემდა და ეკონომიკურ შეღავათს შეუქმნიდა ქვეყანას; ამის ნაცვლად, გერმანია აქ თვითონ ყიდულობდა პურს. გერმანელი კოლონისტების სოფლებში დასახლებული იყვნენ გერმანელი ჯარისკაცები და სწორედ მათი ნეგატიური ქცევის ფაქტებს ამხელდა გაზეთი „ერთობა.“ გერმანელი ჯარისკაცები იცავდნენ კოლონისტებს და ხშირად ჯარი ერეოდა კოლონისტთა და მეზობელი სოფლების ურთიერთობაში, თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე ასამართლებდა მათ და უდგენდა ჯარიმებს. ხსენებულ გაზეთში ასევე ავტორი ობიექტურად საუბრობდა და დასძენდა იმას, რომ ასეთი შემთხვევები გამონაკლისს წარმოადგენდა და გერმანიის ჯარმა პირნათლად შეასრულა თავისი დაპირებანი: „არათუ ოსმალეთი

[69] Агасиев И. К., “Прогерманская политика Грузии в 1918 году: социально-экономи¬ческие и политические последствия”. Вестник Северо-Осетинского государственного университета имени Коста Левановича Хетагурова, 2010 http://elibrary.ru/query_results.asp, უკანასკნელად გადამოწმებულია 18, 07,2020;

ჩამოგვაშორა, ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობაშიც ხელი შეგვიწყო,“ „გერმანიის შემოსვლით მოტანილ დადებით შედეგებს ოდნავათაც ვერ შეასუსტებს ზემოთ ჩამოთვლილი უარყოფითი მოქმედებანი ზოგიერი ელემენტებისა“.[70]

თავის მოგონებებში საუბრისას გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური მისიის ხელმძღვანელი, გენერალი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი საუბრობს გაჭიანურებულ პირველ მსოფლიო ომზე, ყურადღებას ამახვილებს, თუ რა უარყოფითი გავლენა იქონია ომმა გერმანიის ჯარების დისციპლინასა და მორალზე. საქართველოში შემოსულ ზოგიერთ სამხედრო შენაერთში, კერძოდ, ბავარიის მსუბუქ კავალერიაში, პრუსიის მოიერიშეთა ბატალიონში, დისციპლინა მოიკოჭლებდა და ეს ნაწილი გამოირჩეოდა გადაჭარბებული უხეშობითა და თავზეხელაღებული საქციელით, ამგვარად აფასებს ვითარებას გენერალი საკუთარ მემუარებში.[71]

„ოფიცრებმა სასიკვდილო განაჩენები გამოიტანეს და აღასრულეს, კონტრიბუციები დააწესეს და საცხოვრებლები გადაწვეს, ცალკეული სოფლებიდან საქონელი გამორეკეს და სხვა ამგვარი.“ ჯარისკაცები უკვე ფონ კრესის ინსტრუქციებსა და ბრძანებებს აღარ ითვალისწინებდნენ. ერთ საღამოს ორმა გერმანელმა ჯარისკაცმა თბილისში შეურაცხყოფა მიაყენა რამდენიმე ადგილობრივ ქალბატონს. ჯარისკაცები სასწრაფოდ დააპატიმრეს. პერიოდული პრესის ცნობით, იყო ასეთი ფაქტიც. მთავარი ის იყო, თუ როგორ აფასებდნენ ამ ფაქტებს თვითმხილველი ადამიანები როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წიაღიდან. მეტი სიცხადისთვის საჭიროა დავიმოწმოთ სხვადასხვა გამოცემა, რომლებიც იმდროინდელ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას ასახავდნენ. ქართული ნაციონალისტური გაზეთი „სალი კლდე“ წერდა, რომ ქართველი

[70] გაზეთი „ერთობა“, 1918 წ. 25 სექტემბერი;
[71] გაზეთი. „საქართველოს რესპუბლიკა,“ 1918 წ. 3 ოქტომბერი;

ხალხის საქმიანობას ღრმა რწმენის მადლი ეტყობოდა გერმანალების აქ ყოფნის დროს, რადგან გერმანელები ქართველებს პატივს სცემდნენ და ეს საზოგადოების განწყობაზეც მოქმედებდა. გერმანელები თავისი საქციელით უსვამდნენ ხაზს იმას, რომ ისინი დამოუკიდებელ სახელმწიფოში იმყოფებოდნენ. „ჩვენი ხალხიც იზრდებოდა ამ საჭირო გრძნობასა და შეგრძნებაში“ .[72]

გერმანიის დახმარებას არასოდეს გადაუბიჯებია მეგობრული ურთიერთობის საზღვრებიდან, ასევე სხვა უდიდეს მნიშვნელობას შეიცავდა მათი საქართველოში ყოფნა. ფედერალისტური „სახალხო საქმე“ მიუთითებდა: „საერთო რღვევისა და გახრწნის დროს დისციპლინიანი და უაღრესად თავაზიანი ხალხის მეზობლობას უცილობელი კულტურილი მნიშვნელობა ჰქონდა აღმშენებლობით პროცესში მყოფი სახელმწიფოსთვის.“ [73]

გერმანიის ჯარები საქართველოში მოვიდნენ დემოკრატიის ძახილზე და მათი მთავარი ვალდებულება იყო: დაეცვათ მტრის შემოსევისგან საქართველოს რესპუბლიკა და არ ჩარეულიყვნენ მის სუვერენიტეტსა და შიდა საქმეში. ამის მთავარი დამმოწმებელი ქართველი მოსახლეობა გახლდათ: „გერმანიამ აასრულა პატარა საქართველოს მიმართ დაკისრებული ვალდებულებანი და მისი ისტორიის განწირვის ჟამს იხსნა იგი დაღუპვისა და ოსმალეთის მონობისაგან“, _ ასეთი შეხედულება ჰქონდა სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „ბორბას“.[74]

„ქართველები შთამომავლობას გადასცემენ და არასოდეს დაივიწყებენ გერმანელ სარდლობასა და საზოგადოდ ჯარის მოღვაწეობას. გერმანელებმა ისეთი ამაგი დასდეს ქართველ ერს, რომელიც სამაგალითო ნიმუშია პატიოსნებისა და გულწრფელობის“, _ ხაზს უსვამდა

[72] გაზ, „სალი კლდე“, 1918 წ. 27 აგვისტო;
[73] გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ. 26 ოქტომბერი;
[74] გაზ. „борьба“, 1918 წ., 27 ოქტომბერი;

ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი „საქართველო.“ სოციალ-დემოკრატი რაჟდენ არსენიძე თავის გამოსვლაში აღწერდა, რომ გერმანელების აქ ყოფნის დროს მათი „სახელმწიფოებრივი ძალა არ გამხდარა სამარედ, არამედ შეიქმნა აკვნად ჩვენი დამოუკიდებლობისა“ .[75]

სპირიდონ კედია გახლდათ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი. მისი სიტყვით, „გერმანიის ძალა გვშველოდა საქართველოს ისტორიაში უძვირფასეს მომენტში, დამოუკიდებლობის მოპოვებაში მისი დახმარებით და მეგობრული ხელის გამოწვდით შიგნით და გარეთ დავდექით მტკიცეთ და ჩვენი ძალა და სხეული თანდათან მაგრდება.“ [76]

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მემორანდუმში, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ცნობილი პუბლიცისტი არჩილ ჯაჯანაშვილი წერდა და ინტერნაციონალის ბიუროს მიმართავდა, რომ „გერმანიამ კეთილსინდისიერად შეასრულა მიღებული ვალდებულება და თავისი ძლიერება საქართველოს საწინააღმდეგოდ არ გამოიყენაო. ეს აზრი არა მხოლოდ სოციალ-დემოკრატებისა, არამდე მთელი ქართველი ხალხისაა“.[77]

„გერმანიის ძველი რეჟიმის ჯარები აქ მოგვეპყრნენ სათუთად და ოდნავად არ შელახეს ჩვენი ერის სუვერენობა“, _ აცხადებდა ნოე ჟორდანია საქართველოს პარლამენტის სხდომაზე. ვილჰელმ მეორის მმართველობის დამხობას მოჰყვა გერმანელების მიერ საქართველოს ტერიტორის დატოვება. ნოე ჟორდანია ყურადღებას ამახვილებდა გერმანელთა ჯარის როლზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმირებაში. მისი სიტყვით, საქართველოს სუვერენობის ცნობისა და შინაურ საქმეებში ჩაურევლობის მაგალითი მოგვცა გერმანიის ჯარების სარდლობამ. „ჩვენ სოციალისტები და დემოკრატები, ისინი მონარქისტები, აზნაურები, განსხვავება პოლიტიკური და

[75] გაზ. „საქართველო“, 1918 წ. 29 ოქტომბერი;
[76] საქართველოს პარლამენტი, 1918 26 ოქტომბრის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში;
[77] გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 1 დეკემბერი;

იდეოლოგიური იყო დიდი. მიუხედავად ამისა, ჩვენი ურთიერთშორის დამოკიდებულება იყო ლოიალური, მეგობრული, გულწრფელი“.[78]

გერმანიის ჩაურევლობას საქართველოს შინაურ საქმეებში და თავის დაპირების კეთილშობილურად შესრულებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა ქართულ პრესასა და პოლიტიკურ სპექტრში. ასეთი რამე ქართველებისთვის უცხო იყო. სწორედ ამას უსვამს ხაზს 1920 წელს თბილისში გამოცემული ნაშრომი „პატარა წიგნი თანამედროვე საქართველოზე“ .[79]

საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს 1918 წლის შემოდგომაზე ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა გაუგზავნეს წერილი, რომელშიც ხაზგასმულია: „ღირსების საკითხად და ჩვენს ვალად მიგვაჩნია,[80] ინტერნაციონალის წინაშე დავადასტუროთ: საქართველოში გერმანიას არც ღალატითა და არც ძალადობით თავისი ღირსება არ შეურცხვენია, ჩვენი ნდობა თუ საკუთარი ძლევამოსილება ბოროტად არ გამოუყენებია.“[81]. ამერიკელ ისტორიკოს ფ. ქაზემზადეს მიხედვით, „მთლიანობაში, გერმანული ოკუპაცია საქართველოსთვის კეთილისმყოფელი გამოდგა.“ ხოლო ბრიტანელი მკვლევარი ჯ.ბრინკლეიც ადასტურებს, რომ ინგლისელების მოსვლამდე საქართველო წარმატებით ატარებდა თავის დამოუკიდებლობას . [82]

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ პირველ მსოფლიო ომში კაიზერისა და ცენტრალურ სახელმწიფოთა მარცხმა გერმანია იძულებული გახადა, თავისი შენაერთები საქართველოდან გაეყვანა,[83] ხოლო მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, 1918 წლის დეკემბრიდან

[78] საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, ანაწ.1, საქ.#72;

[79] ჟორდანია ნ., „ჩემი წარსული“ თბ., 1990;

[80] პატარა წიგნი თანამედროვე საქართველოზე. თბ., 1920;

[81] გაზ, „Борьба“, 1918 წ., 3 ნოემბერი;

[82] ათანელაშვილი ა., „სისხლიანი გაკვეთილები“. თბ., 1999;

[83] ქაზემზადე ფ., „ბრძოლა ამიერკავკასიისათვის 1917-1921“ თბ., 2016;

საქართველოში დიდი ბრიტანეთის არმიის პოლკები განლაგდნენ. ბრიტანელები ცდილობდნენ ხელი შეეშალათ გერმანელებისთვის, მშვიდობიანად დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. ქართველები კი არ ივიწყებდნენ გერმანელების ამაგს და ცდილობდნენ ყველაფერი გაეკეთებინათ იმისთვის, რომ გერმანელებს მშვიდობიანად დაეტოვებინათ საქართველო. საქართველოს სამხედრო სამინისტრომ ქუთაისში გამოსათხოვარი ბანკეტიც გაუმართა გერმანელებს, ხოლო საქართველოს მთავრობამ დიდძალი ხალხის თანდასწრებით რკინიგზის სადგურიდან ღირსეულად გააცილა გერმანელები. გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაცვაში შეტანილი წვლილისათვის თამარ მეფის ორდენებით იქნენ დაჯილდოებულნი. დამპყრობელსა და ოკუპანტს ასე არ აცილებენ .[84]

გერმანიის ინტერესები არ ლახავდა საქართველოს სუვერენიტეტს და არ ეწინააღმდეგებოდა მის ეროვნულ მისწრაფებებს, აქედან გამომდინარე, გერმანია საქართველოში არც მთლად უანგაროდ მოქმედებდა. მას აქ საფუძვლიანი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებდა. გერმანია საქართველოს სატელიტად არ მიიჩნევდა. მისთვის პარტნიორობა უფრო მაღლა იდგა, რადგან პარტნიორ ქვეყანასთან თანამშრომლობა ორივე ქვეყნისთვის მისაღებ და ხელსაყრელ პრინციპს ეფუძნება.[85] ეს კარგად ჩანს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრ კონსტანტინე კანდელაკის წიგნში: „თუ გერმანელებმა ჩვენში შემოსვლით და აქ ყოფნით იმ დროს რითიმე ისარგებლეს, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ყველაფრის ანგარიში რიგიანად გაასწორეს“.[86]

---

[84] ჯავახიშვილი ნ., „ქართული ფალერისტიკა.“ თბ., 1995;

[85] ჟურნ. „ქართველი ერი“, 1944, მაისი, # 8/9, გვ. 4-5

[86] კანდელაკი კ., „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“. წგნ. მეორე, პარიზი, 1960;

გერმანელების საქართველოში ყოფნის პერიოდში მოქმედებდა შეთანხმება, რომლის მიხედვით, დაწესებული იყო ადგილობრივი ფულის ერთეულის _ ბონისა და გერმანული მარკის გაცვლითი კურსი თანაფარდობით: 1 მარკა უდრიდა 1 მანეთსა და 25 კაპიკს. ქართული პრესის თანახმად, ამ კურსით მარკის შეძენა შეეძლოთ როგორც მთავრობას, ისე კერძო პირებს და ბონის ინფლაციას არ უმოქმედია გაცვლით კურსზე .[87]

იმ 6-7 თვის განმავლობაში კი, რასაც ამ ურთიერთობის ისტორია მოითვლის, ეს იყო ორ სახელმწიფოს შორის კეთილგანწყობის, ურთიერთსარგებლიანობაზე დამყარებული საქმიანი თანამშრომლობისა და პარტნიორული ურთიერთობის შთამბეჭდავი მაგალითი.[88] ძნელია იმაზე საუბარი, თუ როგორ განვითარდებოდა და რა კონკრეტულ სახეს მიიღებდა გერმანია-საქართველოს ურთიერთდამოკიდებულება, იგი რომ ხანგრძლივი ყოფილიყო და საგარეო ფაქტორებს ხელი არ შეეშალა.[89]

[87] გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წ. 5 ივლისი;
[88] გაზეთი „საქართველოს გუშაგი“, 1919 წ. 20 ივლისი;
[89] გაზეთი „საქართველოს გუშაგი“, 1919 წ. 20 ივლისი;

ქართული ემიგრაციის ნაცისტურ გერმანიასთან თანამშრომლობის სამხედრო-პოლიტიკური ასპექტები

1941 წლის 22 ივნისს გერმანიამ ომი დაიწყო იმ რუსეთის წინააღმდეგ, რომელმაც ორჯერ დაიპყრო საქართველო და მოშალა მისი სახელმწიფოებრიობა, ამიტომ ქართული ემიგრაციის სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები, რომლებიც 1921 წლიდან აწარმოებდნენ ბრძოლას რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ, გერმანულ ბანაკში აღმოჩნდნენ.[90]

გერმანიის უმაღლეს ეშელონებში ჰიტლერის კოლონიურ პოლიტიკას საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების მიმართ ბევრი არ იზიარებდა, მათ შორის: გრაფი შულენბურგი საგარეო საქმეთა სამინისტროდან, ადმირალი კანარისი და სხვები.

ვინაიდან ჰიტლერს კავკასიის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები არ გააჩნდა და, შესაბამისად, არც გარკვეული გეგმა ჰქონდა ამ ქვეყნების მომავალ სახელმწიფო მოწყობაზე, მათ გამოიყენეს ეს გარემოება და შეიმუშავეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პროექტი, რომელიც რუსეთის სამხრეთული ექსპანსიის შესაჩერებლად ბუნებრივი ბუფერის როლს შეასრულებდა, შემდეგ კი გერმანიის აღმოსავლურ პოლიტიკაში მისი მოკავშირე და საყრდენი გახდებოდა. ამიტომ რუსეთთან ომის დაწყებამდე ადმირალ კანარისის დავალებით პარიზში ჩავიდნენ დოქტორები ჰანს რაუპახი და ვერნერ მარკეტი, რომლებიც ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებს უნდა გასცნობოდნენ. ისინი შეხვდნენ ნოე ჟორდანიას, ევგენი გეგეჭკორს, ალექსანდრე ცომაიას, კალისტრატე სალიას და სხვ. გერმანიაში ისინი ხვდებოდნენ ალექსანდრე ნიკურაძესა და გიორგი მაღალაშვილს.

[90] მიეძღვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას, (მესამე სამეცნიერო კონფერენცია), გამომცემლობა „ლომისი“, თბ; 1999;

ცენტრალურმა სადაზვერვო სამსახურმა (აბვერი) ოპერატიული კავშირი დაიჭირა მიხეილ კედიასთან.

პროფესორმა გერჰარდ ფონ მენდემ ორგანიზაცია „მიტელშტელეც“ კი დააარსა, რომლის მიზანიც გერმანიის სფეროში მოქცეული კავკასიის, თურქესტანისა და ყირიმელ თათართა დახმარება იყო. ამ ორგანიზაციის დაარსებამ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში აღმოსავლეთის საქმეების კომისარს, ომამდე გერმანიის ელჩს საბჭოთა კავშირში, ქართველთა დიდ მეგობარს გრაფ ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ შულენბურგს უბიძგა, თავისი გეგმები განეხორციელებინა.

1942 წლის აპრილში პოლიტიკური საკითხის მოსაგვარებლად მან ბერლინში მიიწვია ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლები და შესთავაზა „ქართული პოლიტიკური კომიტეტის“ შექმნა, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროს დაექვემდებარებოდა. 1940 წელს ანტიგერმანული დეკლარაციის გამოქვეყნების გამო შულენბერგმა ნოე ჟორდანიას მიწვევა ვერ შეძლო, მაგრამ მისი მანდატით მოქმედებდა უპარტიო მიხეილ კედია. კომიტეტის წევრთა სია ასე გამოიყურებოდა: სპ. კედია, შ. ამირეჯიბი, ზ. ავალიშვილი, ი. ბაგრატიონ-მუხრანელი, გენ. გ.კვინიტაძე, დ. ვაჩნაძე, კ. ჩხენკელი, ალ.ასათიანი, გრ. რობაქიძე, შ. მაღლაკელიძე. როგორც ჩანს, ეს იყო სამუშაო ვარიანტი, რადგან ქართული კომიტეტის ხელმძღვანელად რიბენტროპს იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მუსოლინის სიძემ ჩიანომ ირაკლი ბარგატიონი შესთავაზა, რომლის ცოლი _ გრაფინია პასკუინი _ მუსოლინის ქალიშვილის მეგობარი იყო. ქართველების გარდა იყვნენ ჩრდილოეთ-კავკასიელები და აზერბაიჯანელები. ისინი ცხოვრობდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს სასტუმრო „ადლონში“, რის გამოც ამ გეგმას „ადლონიადა“ უწოდეს. სასტუმრო „ადლონის“ სტუმრებმა კვლავ წამოწიეს მონარქიის აღდგენის იდეა და ორი კანდიდატიც შეარჩიეს _

ირაკლი ბაგრატიონი და სვიმონ ციციშვილი. საბოლოოდ, საქართველოს მეფედ ირაკლი ბაგრატიონის არჩევა გადაწყდა.

შულენბურგმა რიბენტროპის ხელით ჰიტლერს წარუდგინა გეგმა საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადების შესახებ, მაგრამ მან ეს გეგმა არ მიიღო. ე. გეგეჭკორმა შუამდგომლობა ფინეთში მარშალ მანერჰაიმსაც სთხოვა, რომელმაც მემორანდუმით მიმართა გერმანიის მთავრობას და ყურადღება მიაქცევინა ქართველი ერის ისტორიაზე, კულტურასა და მის პოლიტიკურ უფლებებზე, რომ ფინეთის მსგავსად, საქართველომაც თავისუფლება გერმანიის დახმარებით მიიღო, მაგრამ უშედეგოდ.

ბერლინში დაიწყო ჟურნალ „ქართველი ერის“ გამოცემა გიორგი მაღალაშვილის რედაქტორობით. 1944 წლის ნოემბრამდე გამოვიდა 15 ნომერი.[91]

პოლიტიკურ საკითხთან ერთად მოსაგვარებელი იყო სამხედრო საკითხები. ქართველ ემიგრანტთა საქმიანობა წარიმართა ორი მიმართულებით: ერთი მხრივ _ პოლიტიკური გზების ძიება ორ მებრძოლ მხარეს შორის მოქცეული საქართველოს გადასარჩენად, მეორე მხრივ _ ტყვედჩავარდნილი ქართველების გამოხსნა სიკვდილის ბანაკებიდან და მათი მოვლა-პატრონობა. ეს ორივე პრობლემა ერთმანეთზე იყო გადახლართული და უკავშირდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

ჯერ კიდევ სსრ კავშირთან ომის დაწყებამდე, ადმირალ კანარისის დავალებით, ემიგრანტებისგან მიულერმა შტეტინში მოამზადა ქართველ მედესანტეთა ჯგუფი შოთა თაქთაქიშვილის, ალექსანდრე სულხანიშვილი, გიორგი თუხარელის, ფაშალიშვილის, შალვა ნებიერიძისა და სხვათა შემადგენლობით. მიხეილ კედიას შუამავლობით

[91] დაუშვილი რ., უტიაშვილი შ., „საქართველო-დასავლეთი ნარკვევები სამხედრო ურთიერთობათა ისტორიიდან“. გამომცემლობა „გრიფონი“, თბ., 2012;

შეიქმნა ნაწილები „თამარ პირველი“ და „თამარ მეორე“. ეს ნაწილები მაშინ ერთადერთი საშუალება იყო გერმანიაში საქართველოს ინტერესების დასაცავად, ამიტომ მრავალი მოხალისე ჩაეწერა. ემიგრანტთა უმეტესობა თარჯიმნებად მუშაობდა ვერმახტში. ვინც ენა არ იცოდა, იარაღს კიდებდა ხელს. მოხალისეები პარიზში იკრიბებოდნენ და გერმანიაში მიდიოდნენ.

„თამარ პირველი“ საჰაერო-სადესანტო ნაწილი იყო. ახალ ორლეანთან მას წვრთნიდნენ, როგორც პარტიზანულ რაზმს _ ასწავლიდნენ ბომბების დამზადებას აფთიაქში ნაყიდი წამლებით, ორიენტირებას, კავშირგაბმულობას, სამხედრო რუკების კითხვას და სხვა. წვრთნას გადიოდნენ ფელდფებელ რიხტერის ხელმძღვანელობით, რომელიც ძველი რაიხსვერიდან იყო. მოგვიანებით მათ დაემატა 17-კაციანი ჯგუფი: ზურაბ აბაშიძე, მიხეილ ბახტაძე, მიხეილ ბართიშვილი, იროდიონ ბეგიაშვილი, გოგი ბერძენიშვილი, მიხეილ ბურძგლა, გორგი გაბუნია, მიხეილ გრიგოლია, მიხეილ გოგორიშვილი, ლეო კაკულია, ალექსანდრე კანკავა, მათე კერესელიძე (თარჯიმანი), გიორგი ივანიძე, შალვა მაღლაკელიძე გრიგოლ მიროტაძე, ვიქტორ მონიავა, დავით ხარისჭირაშვილი. 1942 წლის ზაფხულში საქართველოში დესანტის ჩასმის შემდეგ მისი წევრების დიდი ნაწილი დაიღუპა, ნაწილი კი ან ტყვედ ჩაიგდეს გამანადგურებელმა ბატალიონებმა, ან საბჭოთა მოქალაქეებმა ჩააბარეს ხელისუფლებას.

1942 წლის შემოდგომაზე დესანტი საქართველოში რამდენიმე რაიონში ჩასვეს. 5 სექტემბერს ჭიათურის რაიონის სოფლებში _ კაცხის, ქვაციხისა და ვაჭევის მიდამოებში. ჰაინრიჰ ციპკი და ბეკი _ ვლადიმერ ბურძგლა. ისინი რამდენიმე დღეში შეუპყრიათ ბ. მახათაძის გამანადგურებელი ბატალიონის წევრებს. 13 სექტემბერს ქვემო სვანეთში, დობიერის მთაში შეპყრობისას დაიღუპა რუბენ მაისურაძე. 1943 წელს ახალი ჯგუფი ჩასვეს დესანტად _ ბაქსოლიანი და ჩხეიძე

ჭიათურის რაიონში, 4 _ ამბროლაურის რაიონში, მათ შორის. მათე კერესელიძე, რომელიც 15 წელი იყო დატყვევებული ციმბირის გერმანელთა ბანაკში, სანამ მოსკოვში საფრანგეთის საელჩოს ძალისხმევით არ გაათავისუფლეს, როგორც საფრანგეთის მოქალაქე; შალვა ნებიერიძე და სამსონ ყრუაშვილი დაიღუპნენ, ერთი ბიჭი კი გადარჩა. არის ცნობები გურიაში, რაჭასა და კახეთში დესანტის ჩამოსხმის შესახებ. ორმა ახალგაზრდამ, ტყვედნამყოფმა თუშმა ბიჭმა კახეთში ჩამოსხმის შემდეგ ხელისუფლებას ჩააბარა მათთან ერთად ჩამოსხმული მესამე _ ჭაღარა გერმანელი, რომელიც ემიგრანტი ქართველი აღმოჩნდა. ბიჭები სახალხოდ დახვრიტეს, ჭაღარა კი წაიყვანეს.

1941 წლის ბოლოს ჩამოყალიბებული შენაერთი „თამარ მეორე“, რომელსაც 1924 წლის აჯანყების მონაწილე სოლომონ ზალ-დასტანიშვილი მეთაურობდა, სულ სხვა დანიშნულებისა იყო. მის წევრებს _ ემიგრანტებს არჩილ და მიხეილ დადიანებს, კოტე ჩიხლაძეს, ძმებ ქოჩაკიძეებსა და სხვებს _ დაამატეს ტყვეები და შეადგინეს ასეული. „ბლიც-კრიგის“ ჩაშლის გამო, კავკასიის ნაცვლად, იგი რიხტერის ხელმძღვანელობით რუმინეთში გადიოდა წვრთნას ჩვეულებრივი გერმანული ასეულივით, სადაც მას შეუერთდა „თამარ პირველი“. მათთან ერთად იყვნენ ქართველი პარაშუტისტები: თაქთაქიშვილი, დარაშვილი, თუხარელი, ქიტიაშვილი, წაწალაშვილი. კავკასიონის გადალახვის შემდეგ შენაერთი ქვეით სამთო ჯარებს უნდა შეჰყოლოდა საქართველოში. რუმინეთში მათ შეიტყვეს, რომ საბჭოთა ტყვეთა ბანაკები იქვე ახლოს იყო განლაგებული და აუტანელ პირობებში ცხოვრობდნენ. სამხედრო ფორმაში ჩაცმულები მივიდნენ ბანაკებში და მოახერხეს მათთვის პირობების გაუმჯობესება, რამაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა. ქართველებთან ერთად ქართველი ებრაელებიც გაათავისუფლეს. ბანაკებიდან ტყვეთა გამოსახსნელად ჩავიდნენ ვიქტორ ნოზაძე, თომა ბექაური, აკაკი კვიტაშვილი, თემურ

თაქთაქიშვილი, ირაკლი კალანდარიშვილი, ჟორა ინჯია, შოთა გედევანიშვილი. გაერთიანების შემდეგ ნაწილი გადაისროლეს უკრაინაში, მერე ყირიმში, სადაც შემდეგ ბრანდენბურგის კომპანიას მიაწერეს.

სამხედრო განყოფილების ხელმძღვანელად დანიშნეს ყოფილი ტყვე, ახალგაზრდა ექიმი გივი გაბლიანი. მან გერმანული სკოლა დაამთავრა. განყოფილებას ევალებოდა არსებული ქართული ლეგიონის, მისი ბატალიონებისა და ყველა სხვა გერმანულ ნაწილებში შესული ქართული ერთეულების აღნუსხვა, მდგომარეობის შესწავლა და ნაკლის გამოსწორება, ასევე ჯარისკაცთა ფიზიკური გადარჩენა და მათგან საქართველოსთვის საჭირო ეროვნული ძალის მომზადება შესაფერისი მომენტის დადგომისთვის.

მიუხედავად შტაბის მცდელობისა, ტყვეთა ბატალიონებს არ მიეღოთ მონაწილეობა სამხედრო ოპერაციებში, გერმანელებმა ბატალიონი N795 მაინც გაგზავნეს აღმოსავლეთის ფრონტზე. პირველსავე ბრძოლებში ბატალიონის ნაწილი საბჭოთა კავშირის მხარეზე გადავიდა. საბჭოთა სარდლობამ კაპიტანი ჭიჭინაძე ადგილზე დახვრიტა, დანარჩენები კი ისეთ დავალებაზე გაგზავნეს, ცოცხალი აღარავინ დაბრუნებულა. ამის შემდეგ გერმანელებს ქართული ბატალიონები აღმოსავლეთის ფრონტზე აღარ გამოუყენებიათ. ისინი დასავლეთის ფრონტზე გადაანაწილეს _ იტალიაში, საფრანგეთში (ალბი, სან-ნაზერი, პერგო, სან-რაფაელი), ჰოლანდიაში (ზანდაში, ცანდეორტი, ტექსელი), ბალკანეთზე დარჩა ბერგმან I და მომმარაგებელი ერთეული.[92]

[92] დაუშვილი რ., უტიაშვილი შ., „საქართველო-დასავლეთი ნარკვევები სამხედრო ურთიერთობათა ისტორიიდან“. გამომცემლობა „გრიფონი“, თბ., 2012;

ვერმახტის ქართული ლეგიონი

ვერმახტის ქართული ლეგიონი

ვერმახტის ქართული ლეგიონი

მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ ნორმანდიაში ინგლის-აშშ-ის დესანტის გადასხმის მერე ატლანტიკის სანაპიროზე გერმანული დაცვის ხაზში მოქცეულმა ქართველმა ნაწილებმა მიიღეს პირველი დარტყმა. ბევრი მძიმედ დაიჭრა, ზოგი კი გარემოცვიდან ვერც გამოვიდა. შედარებით გადარჩნენ ის ნაწილები, რომლებიც დანიაში, ჩრდილოეთ იტალიასა და ჰოლანდიაში იდგნენ, გარდა კუნძულ ტექსელის აჯანყებული ბატალიონისა, რომელსაც 500-ზე მეტი ქართველი შეეწირა.

რაც უფრო მცირდებოდა ქართული პოლიტიკური ორგანიზაციების სტატუსი, მით უფრო იზრდებოდა სამხედრო ნაწილებისა და ორგანიზაციების როლი. „ქართული პოლიტიკური კომიტეტი“ „ქართველმა ეროვნულმა კომიტეტმა“ შეცვალა, ეროვნული კომიტეტი _ „ქართულმა ცენტრმა“, ცენტრი _ „საკავშირო შტაბმა“, პოლიტიკური

ლიდერები _ სამხედრო მეთაურებმა, მაგრამ ქართველებს არ შეუსუსტებიათ პოლიტიკურ საკითხზე ზრუნვა და ყველა შესაძლო გზებს ეძებდნენ სამშობლოს დასაბრუნებლად თავისუფალ ერთა ოჯახში. გერმანიის ამ პოლიტიკამ კი, როგორც მაიორი ბაიტუგანი შენიშნავდა, ბოლშევიზმი უეჭველი დაღუპვისაგან იხსნა. გერმანიის მარცხმა მეორე მსოფლიო ომში ემიგრანტებს ყველა იმედი გადაუწურა და მთავარ საკითხად დამარცხებულთა ბანაკში მოხვედრილ თანამემამულეთა გადარჩენა გახდა.

რა ადგილი ეჭირა კავკასიის რეგიონს გერმანიის ხელისუფლების გეგმებში?

1. კავკასიის რეგიონის კოლონიზაცია არ იგეგმებოდა, რადგან რეგიონი განიხილებოდა, როგორც ტრამპლინი ექსპანსიონისტური პოლიტიკის გატარებისთვის აღმოსავლეთში;
2. კავკასიაში მცხოვრები ერები გერმანელების შეხედულებით წარმოადგენდნენ „არიელებს“ და არ ექვემდებარებოდნენ დისკრიმინაციას იდეოლოგიური მოტივით;
3. „აღმოსავლეთისა“ და „უკრაინის“ ე.წ. რაიხსკომისარიატებისგან განსხვავებით, საოკუპაციო ადმინისტრაცია მმართველობას განახორციელებდა ჩინოვნიკების მეშვეობით როზენბერგის ადმინისტრაციიდან.

რეგიონში საოკუპაციო პოლიტიკის გატარებისთვის შერჩეული ჩინოვნიკები რადიკალურად გამოირჩეოდნენ ნაცისტური რეჟიმის სხვა წარმომადგენლებისაგან განათლებით, ჰუმანიზმითა და პოლიტიკური შორსმჭვრეტელობით; მაგალითად, საქართველოში იგზავნებოდა ცნობილი პუბლიცისტი არნო შიკედანცი.

პირადად ჰიტლერი დიდ ყურადღებას უთმობდა კავკასიას, როგორც ნავთობით მდიდარ რეგიონს, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო ნაცისტური გერმანიის ეკონომიკისთვის. ჰიტლერი

კავკასიას აღიქვამდა, როგორც რაიხზე დამოკიდებულ მხარეს, სათავეში მარიონეტული ხელისუფლებით. მართალია, ასეთი სტსტუსი შორს იყო ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისგან, მაგრამ მაინც წარმოადგენდა შედარებით ფართო ავტონომიას ლიბერალიზმის ცალკეული ელემენტების დაცვით, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო აღმოსავლეთის სლავების მიმართ. ფაქტიურად, რეგიონი შედიოდა ანტირუსულ „სანიტარულ კორდონში“ და ხდებოდა იმ ბუფერულ ჯაჭვში დამაკავშირებელი რგოლი, რომელიც უნდა „შემორტყმოდა“ რუსეთს დასავლეთ და სამხრეთ საზღვრებთან. აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო არა სამხედრო ან პოლიციური მეთოდებით, არამედ პოლიტიკური საშუალებებით _ უნდა შექმნილიყო ოთხი კავკასიური სახელმწიფოს (საქართველო, ჩრდილოეთ კავკასია, აზერბაიჯანი, სომხეთი) გაერთიანება გერმანიის ეგიდით. რაიხის ექსტერიტორიალური მონაწილეობა განისაზღვრებოდა მხოლოდ საზღვაო და სახმელეთო ბაზების არსებობითა და ნავთობის სარეწი რაიონების ირგვლივ დაცვის სპეციალური ნაწილების განლაგებით.

როზენბერგის იდეებს სავსებით მოულოდნელად მხარი დაუჭირა გერმანიის საგარეო საქმეთა არსებული ე.წ. „რუსული კომისიის“ ხელმძღვანელმა ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ შულენბურგმა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში მათ შორის იგრძნობოდა აზრთა სხვადასხვაობა ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით.

გერმანული რაიხის მხარეს 1941-45 წლებში 30, 300 ქართველი ჯარისკაცი იბრძოდა კომუნისტებზე შურის საძიებლად:

795-ე ბატალიონი _ შალვა მაღლაკელიძე. იბრძოდა 1942 წელს სამაჩაბლოში. 1943 წელს საფრანგეთში.

796-ე ბატალიონი _ იბრძოდა 1942-43 წლებში ტუაფსეში, ჩრდილოეთ კავკასიაში.

757-ე ბატალიონი „გიორგი სააკაძე“ _ იბრძოდა 1943-44 წლებში საფრანგეთში.

798-ე ბატალიონი „ერეკლე მეორე“ _ იბრძოდა 1943-44 წლებში საფრანგეთში, ხოლო 1945 წელს _ გერმანიაში.

799-ე ბატალიონი „დავით აღმაშენებელი“ _ იბრძოდა 1943-44 წლებში საფრანგეთში, 1945 წელს კი _ გერმანიაში.

822-ე ბატალიონი „თამარ მეფე“ _ იბრძოდა 1943-44-45 წლებში საფრანგეთსა და ტექსელზე _ ნიდერლანდების სამეფოში.

823-ე ბატალიონი „შოთა რუსთაველი“ _ იცავდა ლა-მანშს კუნძულ გერნსიზე.

824-ე ბატალიონი „ილია ჭავჭავაძე“ _ იბრძოდა 1944 წელს ლვოვში, პოლონეთში.

I/9 ქვეითი ბატალიონი _ იბრძოდა 1942-43 წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში, ყირიმის ნახევარკუნძულზე და საფრანგეთში.

II/198 ქვეითი ბატალიონი _ იბრძოდა 1943 წელს 198-ე გერმანული დივიზიის შემადგენლობაში კურსკთან, ხარკობის მიდამოებში და დნეპრზე, 1945 წელს კი _ ჩრდილოეთ იტალიაში პარტიზანების წინააღმდეგ სს-ის II სატანკო დივიზიის შემადგენლობაში.

II/4 სამთო მსროლელი ბატალიონი _ იბრძოდა 1942-43 წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში, ყირიმსა და საფრანგეთში.

„**ბერგმანის**“ (გერმ. „მთის კაცი“) **N1 ქართული სადაზვერვო ბატალიონი** _ იბრძოდა 1942-43 წლებში აწყობდა დივერსიებს ჩრდილოეთ კავკასიაში და ანტიპარტიზანულ ბრძოლებში ყირიმის ნახევარკუნძულზე.

ქართული სს ჯგუფი _ იბრძოდა 1944-45 წლებში ჩრდილოეთ იტალიაში.

დივერსიული რაზმები „თამარა I“ და „თამარა II“ _ ბრძოლის ადგილი უცნობია.

I/1 სამთო-მსროლელი ბატალიონი _ ბრძოლის ადგილი უცნობია.

II/125 სასწავლო ბატალიონი _ ბრძოლის ადგილი უცნობია.

III/9 სასწავლო ბატალიონი _ ბრძოლის ადგილი უცნობია

1942 წლის გაზაფხულზე, ეძებდა რა მხარდაჭერას კავკასიელი ემიგრანტების მხრიდან, გერმანიის ჯარების კავკასიაში შეჭრის წინ შულენბურგმა ბერლინში მიიწვია დევნილობაში მყოფი ემიგრანტი პოლიტიკური მოღვაწეები. ქართველ მონაწილეებს შორის იყვნენ: საქართველო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი სპირიდონ კედია; ეროვნულ-დემოკრატები: ზურაბ ავალიშვილი და დათა ვაჩნაძე; „თეთრი გიორგის მოძრაობის“ თანადამფუძნებელი ლეო კერესელიძე; ბატონიშვილი ირაკლი ბაგრატიონი. შეხვედრას ოფიციალურად არ ესწრებოდნენ სოციალ-დემოკრატები, მაგრამ მათი მანდატი მიხეილ კედიას ჰქონდა. იგი ჟორდანიასა და გეგეჭკორს წარმოადგენდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა შულენბურგთან.[93]

შულენბურგის სხვა კავკასიელ სტუმრებს შორის იყვნენ: პერიოდულ გამოცემა „კავკაზის“ რედაქტორები ჰაიდარ ბამატი და ალი ხან კანტემირი, აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტი, აგრეთვე ორგანიზაცია „პრომეთეს“ წევრი რესულ ზადე რამდენიმე ყოფილ მინისტრთან ერთად, ჩრდილოეთ კავკასიიდან _ საიდ შამილი (შვილიშვილი ლეგენდარული იმამ შამილისა, რომელიც სამი ათწლულის მანძილზე იბრძოდა იმპერიული რუსეთის წინააღმდეგ თავისი ერის მშვიდობის დასაცავად).[94]

შულენბურგმა კავკასიის შესახებ ისაუბრა, როგორც „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოზე და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ შეიქმნებოდა მმართველობის ისეთი სისტემა, რომლის დროსაც მმართველობა განხორციელდებოდა გერმანიის სპეციალური წარმომადგენლობის მეშვეობით, ხოლო ადგილობრივი მმართველობა ხელში აიღებდა საზოგადოებრივი წესრიგის, ეკონომიური და კულტურული

[93] გაბლიანი გ., „ჩემი მოგონებები II“. გამომცემლობა „ლომისი“, თბ., 2000;

[94] Архиви германии часть 2-я народы кавказа http://chechenews.com/немецкая-политика-на-северном-кавказ-2/

პრობლემების გადაწყვეტას, რომლის მაგალითადაც სლოვაკეთი მოიყვანა. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ თვითონ შულენბურგი, მრჩევლები ჰერვარდტი და ფლაიდერერი, გენერალი ფონ კიუსტრინგი; კავკასიის ფედერაციის აღმასრულებელი ორგანო უნდა ყოფილიყო ფედერაციის საბჭო, რომელსაც უხელმძღვანელებდა გერმანიის წარმომადგენელი და ექნებოდა ვეტოს უფლება.

გენერალი კიუსტრინგი ინიშნებოდა კავკასიის გენერალ-გუბერნატორად ოკუპაციის შემთხვევაში, ხოლო ჰერვარდტი _ მოადგილედ. დოქტორ ოტო შილერს, როგორც სოფლის მეურნეობის სპეციალისტს, ევალებოდა რეფორმების გატარება. როზენბერგის პირად წარმომადგენლად ინიშნებოდა დოქტორი ოტო ბროიტიგამი, რომელიც ადრე იკავებდა გერმანიის გენერალური კონსულის პოსტს ბათუმში. აღსანიშნავია, რომ მისი კანდიდატურა როზენბერგის წინაშე დააყენა პოლკოვნიკმა შტაუფენბერგმა, რომელიც ჰიტლერზე თავდასხმის მოტივით სიკვდილით დასაჯეს 1944 წელს.

რაც შეეხება არმიას, მას ოფიციალურად ეძლეოდა მითითება ადგილობრივი მოსახლეობისადმი ერთგვარი ლოიალური დამოკიდებულების გამოჩენასთან დაკავშირებით. საცნობარო ფურცლები, რომელიც იმ ნაწილებში ვრცელდებოდა, რომლებიც მზადდებოდნენ რეგიონში გასამგზავრებლად, დაწერილი იყო სრულიად განსხვავებული, არააგრესიული ტონით და დიდად განსხვავდებოდა იმ პროპაგანდისტული ფურცლებისგან, რომლებშიც „დაბალი რასის“ მიმართ ზედმეტად გამოხატული აგრესია გამოსჭვიოდა. კავკასიის ოკუპაციის შემდეგ ჯარისკაცები მოვალენი იყვნენ:

1. გამოეჩინათ მეგობრული დამოკიდებულება ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. გამონაკლისი დაიშვებოდა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნებოდა ანტიგერმანულ განწყობას;

2. მოსახლეობის სურვილის შემთხვევაში შენარჩუნებული იქნებოდა საკოლმეურნეო სისტემა;
3. ყველა რელიგიურ კონფესიას ეძლეოდა უფლება, აღესრულებინა საკუთარი წეს-ჩვეულება და ჰქონოდა სამლოცველოები;
4. პატივი ეცათ კერძო საკუთრებისთვის და აენაზღაურებინათ რეკვიზირებული ქონება;
5. დაემსახურებინათ ადგილობრივი მოსახლეობის სიმპათია სამაგალითო ქცევით, განსაკუთრებული პატივისცემით მოქცეოდნენ ქალებს.

კავკასიის ერებთან ერთად ქართველების ბრძოლა გერმანელი ჯარისკაცების გვერდით არ ნიშნავდა იმას, რომ ასეთი „ლიბერალური“ დირექტივები აუცილებლად განხორციელდებოდა. პოლიტიკა და იდეოლოგია მედლის ერთი მხარეა, ხოლო ომს თავისი უმკაცრესი, დაუნდობელი კანონები გააჩნია. ვერმახტის ქართველ მაღალჩინოსანს საქართველოში შემოსვლა შემდეგნაირად წარმოედგინა: „მამისონის უღელტეხილიდან უნდა გადმოვსულიყავი საქართველოში. პირველ რიგში მოვუხმობდი საქართველოს კათალიკოსს კალისტრატეს და აკადემიის პრეზიდენტ მუსხელიშვილს. ჩვენ სამნი, ე.ი. სამღვდელოება, მეცნიერთა წარმომადგენელი და სამხედრო გამოვიდოდით რადიოთი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას გამოვაცხადებდით. ჩემს მიერ შექმნილი „ხუთეულები“ ადგილებზე განაგებდნენ“.[95]

ამ დროისთვის საქართველოში უკვე შექმნილი იყო ე.წ. „საქართველოსთვის მებრძოლი ახალგაზრდული ნაციონალ-სოციალისტური პარტია“, რომლის სამოქმედო პროგრამაში პირდაპირ იყო ხაზგასმული, რომ განეხორციელებინათ ტერორისტული აქტები

[95] რცხილაძე ვ., „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ“. გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1994;

ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებზე და გაერთიანებულიყვნენ იმჟამად მოახლოებულ გერმანულ _ ფაშისტური ჯარის ნაწილებთან საქართველოს ოკუპაციის მიზნით. ორგანიზაციის წევრები მთავარ აქცენტს აკეთებდნენ მიწის კერძო საკუთრების აღდგენაზე და აყენებდნენ ლოზუნგს „საქართველო ქართველებისთვის“.[96] ადვილი წარმოსადგენია, რა იყო მოსალოდნელი საქართველოში, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ორგანიზაცია „სამანის“ (ამ სახით იცნობს საზოგადოება აღნიშნულ ორგანიზაციას) წევრების უმრავლესობა ყოფილი პრივილეგირებული ფენის წარმომადგენლები იყვნენ და 1937 წლის რეპრესიებმა სწორედ მათ მხრებზე გადაიარა. უნდა ითქვას, რომ ორგანიზაციის ბირთვს შეადგენდა ახალგაზრდა ინტელექტუალთა ელიტა _ სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტები, მეცნიერ-თანამშრომლები, მწერლები და პოეტები (კოტე ხიმშიაშვილი, გიორგი ძიგვაშვილი, კოტე ჯოგლიძე, ადამ ბობღიაშვილი...), რომლებიც შეეწირნენ კიდეც სარისკო და განუხორციელებელ იდეას.

გერმანელი ერის ეთნოფსიქოლოგიის შესახებ ამომწურავი დასკვნა გააკეთა ნოე ჟორდანიამ 1946 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „რა ხდება მსოფლიოში“.

„გერმანელთა რასიზმი არ არის ახალი ამბავი, არ არის გამოგონილი ჰიტლერის მიერ, ის მოდის თავიდანვე, მოდის როგორც დიდი მამოძრავებელი ძალა მთელი ხალხის, ის ღრმათ გამჯდარია მის სისხლში და ხორცში. ჰიტლერმა ამ ღრმა ნაციონალურ ტალღას მისცა კარიკატურული ხასიათი, არაადამიანური გამოხატულება და მას დიდი ხნით გაუფუჭა სახელი. ეს კარიკატურა, უეჭველია გაქრება, მაგრამ მისი

[96] საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ახალგაზრდა დოქტორთა და დოქტორანტთა ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია-2020, (სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბ., 2020;

ძირი, გერმანელთა რასის თავისებურება, ძველი ურყევი თვისების მუდმივობა ხელშეუხებლად დარჩება“.[97]

უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ გერმანელთა ამ „ურყევი თვისებების მუდმივობა“, ანუ გერმანელთა სულიერი სიმტკიცე და პერსპექტივაში დიდი მომავალი განსაზღვრავდა ქართული ემიგრაციის გარკვეული ნაწილის მიერ საქართველოს ბედის დაკავშირებას გერმანიასთან. პოლიტიკური შეხედულებების გამო ემიგრანტები ხშირად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ საბოლოო მიზანი მაინც ერთი ჰქონდათ _ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და მისი გათავისუფლება ბოლშევიკური და აგრესიული რუსეთისაგან. სწორედ თავისუფლების გზების ძიების გამო აღმოჩნდა მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გერმანიის ბანაკში მეორე მსოფლიო ომის წლებში.[98] სამწუხაროდ, იმდროინდელი უმძიმესი საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, სამშობლოს განთავისუფლება ბოლშევიკური ტირანიისაგან განუხორციელებელ ოცნებად დარჩა.

[97] ჟორდანია ნ., „რჩეული ნაწერები“. გამომცემლობა „საქართველო“, თბ., 1990;

[98] ყიფიანი მ., „საქართველო-გერმანიის ურთიერთობები“. (სადოქტორო დისერტაცია). სტუ. თბ., 2020;

თავი III. საქართველოსა და გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები 1991 წლიდან

გერმანიის „აღმოსავლეთ პოლიტიკის“ (Ostpolitik) პრინციპები და საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანების პროცესის დინამიკა

ევროკავშირის უმთავრეს ლიდერს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა წარმოადგენს. სწორედ იგი განსაზღვრავს მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს როგორც ევროპის, ასევე მსოფლიოს მასშტაბითაც.

გერმანია თავისი ისტორიის მანძილზე ხშირად იდგა ცალკეული შიდა თუ გარე გამოწვევების წინაშე. განსაკუთრებით გართულდა ყველაფერი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში გერმანია გაყოფილი იყო ორ ნაწილად. ამ ყველაფრის ფონზე გფრ და გდრ დამოუკიდებლად და სხვადასხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინსტიტუტებით ვითარდებოდნენ, მათი ღირებულებები კი რადიკალურად განსხვავდებოდა. გერმანიაში ნათლად იყო გამოკვეთილი ორი იდეოლოგიის საზღვარი; იგი წარმოადგენდა წყალგამყოფს სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებს შორის.

ორი ისტორიული გერმანული სახელმწიფოს გაერთიანება მოხდა მას შემდეგ, რაც 1990 წელს საერთაშორისო პოლიტიკური ცვლილებები განვითარდა და გლობალურ ძალთა ბალანსი შეიცვალა. ეს პერიოდი ნიშნავდა გერმანიისთვის სრულიად ახალი პოლიტიკურ-სოციალური ცხოვრების დაწყებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო

ურთიერთობებშიც. გერმანია ცივი ომის პერიოდში იყენებდა პრაგმატულ პოლიტიკას, რომელიც „აღმოსავლეთ პოლიტიკის“ (Ostpolitik) სახელით არის ცნობილი. ამ პრაგმატულმა თეორიამ განმუხტა ურთიერთობა სოციალისტურ და კაპიტალისტურ ბანაკებს შორის, რომლის შედეგადაც გაერთიანდა გერმანია.

გერმანიის კანცლერმა ვილი ბრანდტმა ჩამოაყალიბა საგარეო პოლიტიკის მიმართულება _ Ostpolitik. იგი ამ თეორიაში გულისხმობდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის დამყარებას და სტაბილურობის შენარჩუნებას. „აღმოსავლეთ პოლიტიკის“ მიმართულება ფუნქციონალისტურ მიდგომას გულისხმობდა და „დათბობის“ პრინციპზეა დაფუძნებული. მისი მთავარი პოსტულატია „ცვლილებები დაახლოების გზით“. როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშლა, ამას მოჰყვა აღმოსალეთ ევროპის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანება. საჭირო გახდა ახალი საგარეო პოლიტიკის ფორმირება და შემუშავება. „აღმოსავლეთ პოლიტიკამ“ და მიმართულებამ ცვლილებები განიცადა და ჩამოყალიბდა, როგორც „აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების სამეზობლო ქვეყნების პოლიტიკა“. „აღმოსავლეთ პოლიტიკის“ შემუშავების პროცესში ევროკავშირში გერმანია მთავარ აქტორს წარმოადგენდა.[99]

ცივი ომის პერიოდში ზესახელმწიფოები ურთიერთობის განმუხტვით ხასიათდებოდნენ და ამ პერიოდს „დეტენტეს“ სახელით ვიცნობთ (ფრანგ. „დაძაბულობის განმუხტვა“). საბჭოთა კავშირისადმი მტრული განწყობა მოსკოვის სამიტის შემდეგ შემცირდა, ხოლო როდესაც 1969 წელს დასავლეთ გერმანიის კანცლერი ვილი ბრანდტი გახდა, მან აქტიურად დაიწყო თანამშრომლობა და კავშირების დამყარება საბჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების

[99] Entspanung und Neue Ostpolitik 1969-1975 https://www.bpb.de/izpb/10344/entspannung-und-neue-ostpolitik-1969-1975, _ უკანასკნელად გადამოწმებულია 18. 07. 2020;

ბლოკთან. „აღმოსავლეთ პოლიტიკამ“ პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანი კონტურები გამოხატა მომავალი ურთიერთობის ჩარჩოს შესახებ, თანამშრომლობით დასავლეთმა მიაღწია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბლოკის დამოუკიდებლობას. ბრანდტის პოლიტიკას ევროპაში მიმდევრებიც გამოუჩდა _ საფრანგეთის პრეზიდენტი დე გოლი შეეცადა საბჭოთა კავშირთან შედარებით თანამშრომლური ურთიერთობების დამყარებას. ვინაიდან „დეტენტეს“ პოლიტიკის ფესვები ევროპიდან მომდინარეობდა, აშშ-ს ამ მხრივ შეეძლო ნატო-ს ევროპული წევრების მხარდაჭერის იმედი ჰქონოდა.[100]

ურთიერთობის ტრანსფორმაციას და ორი სისტემის თანაარსებობის კორვენგენციას ეფუძნება „მოკლე ნაბიჯების“ პოლიტიკა, რომელიც შემუშავებულ იქნა ბრანდტის მიერ. ამ პოლიტიკამ საფუძველი დაუდო „აღმოსავლეთ პოლიტიკას“. სოციალური ბანაკისთვის სრულიად უცხო და ახალი იყო დასავლეთის შესახებ ინფორმაციის მიღება და მასთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის დამყარება. ბრანდტი დარწმუნებული იყო იმაში, რომ დასავლური ღირებულებები მალე გახდებოდა პოპულარული აღმოსავლეთ ევროპაში და საზოგადოებას მისკენ მოიზიდავდა. მთავარი იყო ერთი მნიშვნელოვანი დეტალი _ აღმოსავლეთ ბანაკის ქვეყნების მთავრობებს უნდა გაეზიარებინათ დემოკრატიული ღირებულებები და მოეხდინათ მასთან ინტეგრირება (რეფორმების გატარება) დროთა განმავლობაში.

ბრანდტი აანალიზებდა იმას, რომ დემოკრატიზაციის კონცეფცია არ წარმოადგენდა „დასავლური ლიბერალური ღირებულებების მექანიკურ გადმოღებას“. მნიშვნელოვანი იყო, რომ სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შესაბამისი პოლიტიკური ცვლილებების

[100] კაკაჩია კ., საერთაშორისო პოლიტიკა ვესტფალიიდან ბიპოლარული სისტემის დასასარულამდე, გამომცემლობა „უნივერსალი,” თბ. 2014;

ფონზე შეექმნათ დემოკრატიული სტრუქტურები და გაეტარებინათ ზომიერი ლიბერალური რეფორმები.

1970 წელს ვარშავის შეთანხმებას გფრ-სა და პოლონეთს შორის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „აღმოსავლეთ პოლიტიკის“ განხორციელების გზაზე. შეთანხმება ითვალისწინებდა, პოლონეთისთვის გამოეყოთ ფინანსური კრედიტების დიდი რაოდენობა და მომხდარიყო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარება. ვილი ბრანდტმა გეტოს შესასვლელში პატიების ნიშნად დაიჩოქა და მოინანია ებრაელი ერის წინაშე ჩადენილი დანაშაული. მის ამ საქციელს დიდი გამოხმაურება მოყვა და საყოველთაო აღიარებაც მოუტანა. ბრანდტს ასევე დიდ პატივცს სცემდნენ აღმოსავლეთ ევროპის ბლოკშიც.

ვილი ბრანდტი (მარცხნივ) და ვილი სტოფი 1970 წელს ერფურტში, ფედერალური კანცლერის პირველი შეხვედრა აღმოსავლეთ გერმანელ კოლეგასთან, ცივი ომის დეესკალაციის პირველი ნაბიჯი.

გერმანულ-საბჭოთა ხელშეკრულების გაფორმება მოსკოვში, 1970 წლის 12 აგვისტო

1970 წლის 12 აგვისტოს გფრ-სა და სსრკ-ს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა პრობლემური საკითხების მშვიდობიან გადაწყვეტას და ძალის გამოყენებაზე უარის თქმას. ეს შეთანხმება შესაძლებელია ჩაითვალოს აღმოსავლეთ პოლიტიკის კულმინაციად.

ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება დაემთხვა „აღმოსავლეთ პოლიტიკის“ განხორციელების პროცესს. ეს იყო გერმანიის პოლიტიკური ელიტისა და მასთან ერთად ბრანდტის ცალსახა გამარჯვება. ეს პროცესი აღნიშნული პოლიტიკის ფარგლებში იცავდა პრინციპს „ცვლილებები დაახლოების გზით“ (Wanderung durch Annaherung).[101]

[101] Кононов А. С., Восточная Политика Германии на современном этапе, KONTEMORARI LEVELOF GERMANI OSTPOLITIK, “международные отношения” Санк-ПетербургЖ., 2016;

„აღმოსავლეთ პოლიტიკა“ და ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის იდეები მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს. ორი პოლიტიკური იდეის ასეთი ღრმა თანხვედრა გერმანიის საგარეო პოლიტიკის, კონკრეტულად კი Ostpolitik-ის საფუძველი გახდა და დღეს წარმატებით ხორციელდება.

შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, „აღმოსავლეთ პოლიტიკის“ პოზიციები ევროპაში გამყარდა და ამან გამოიწვია მისი ფაქტიურად ახალ განზომილებაში გადასვლა, რომელსაც Neue Ostpolitik-ის სახელით ვიცნობთ. მისი მეშვეობით ის იდეები განვითარდა, რომლებსაც გერმანიის პოლიტიკური ელიტა ეყრდნობოდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობაში.

ვილი ბრანდტის კიდევ ერთ მიზანს წარმოადგენდა, ევროპის სტაბილურობისა და უსაფრთხოების გარანტიისთვის შექმნილიყო გლობალური სტრუქტურული გაერთიანება ევროპის მასშტაბით. იგი ხელს შეუწყობდა ერთიანი ევროპული თვითშეგნების გამყარებას. ერთიანი ევროპის იდეა საუკუნეების განმავლობაში ცოცხლობდა კონტინენტზე მცხოვრებ ყველა ერში და მისი აღორძინებისთვის საერთო ევროპული სტრუქტურის შექმნა ერთგვარი დეტონატორის როლსაც ითამაშებდა ათწლეულების განმავლობაში სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემებში ნაცხოვრებ დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის არსებული გაუცხოების ბარიერების მოშლისას.

გერმანია წარმოადგენს ევროკავშირის სივრცის მაკონსოლიდირებელ ძალას. სწორედ გერმანიაზეა დამოკიდებული ევროპულ-ტრანსატლანტიკური ურთიერთობები. შემთხვევითი არ არის, რომ აშშ თავის ძირითად პარტნიორად ევროპაში სწორედ გერმანიას ხედავს, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე. გერმანია განსაზღვრავს ევროპის კურსს აღმოსავლეთისკენ, რომელიც უშუალოდ მოიცავს პოსტსაბჭოთა

სივრცეს. აქედან გამომდინარე, მის პოზიციაზეა უფრო მეტად დამოკიდებული ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მომავალი ადგილი ევროკავშირის თანამედროვე კონფიგურაციაში.

„აღმოსავლეთ პოლიტიკის“ საბოლოოდ გამარჯვებად და მიზნის განხორციელებლად თამამად შეიძლება ჩაითვალოს გერმანიის გაერთიანება 1990 წელს და სწორედ ამ იდეების ტრანსფორმაციის შედეგად ჩამოყალიბდა ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის იდეა“, რომლის ხორცშესხმაც წარმატებით დაიწყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. გერმანიის გაერთიანებამ უფრო გააძლიერა მისი ეკონომიკური და პოლიტიკური შესაძლებლობები. გერმანია ევროპის შემაკავშირებელ ბირთვად მოგვევლინა.

1992 წელს საერთაშორისო სისტემა შეიცვალა. ბიპოლარული სისტემიდან მსოფლიო მულტიპოლარულზე გადავიდა და დასრულდა ცივი ომი. გერმანიის საგარეო პოლიტიკისთვის ეს დიდ გამოწვევას წარმოადგენდა. გერმანიის როლი, 1939 წელთან შედარებით, ძირეულად განსხვადებოდა: აგრესორი ქვეყნიდან იგი მოულოდნელად ევროპის კონსოლიდაციის მთავარ მამოძრავებელ ძალად იქცა.

რუსმა ჯარისკაცებმა 1994 წელს დატოვეს გერმანიის ტერიტორია, ეს კი იმის ნიშანი იყო, რომ აღმოსავლეთიდან საფრთხე გაქრა და ევროპული ინტეგრაციის ახალი ეტაპი იწყებოდა. გერმანიის ინტერესში შედიოდა ევროპის ინტეგრაციის პროცესის გაგრძელება. პირველ რიგში, გერმანიის მიზანს ევროპული უსაფრთხოების სივრცის გეოგრაფიულ შუაგულში მოხვედრა წარმოადგენდა. Weibuch-ში 1994 წელს გერმანიის კანცლერმა ჰულმუტ კოლმა აღნიშნა, რომ ცივი ომის შემდგომი დრამატული ცვლილებები გერმანიისთვის, ერთი მხრივ, უცნობ რისკებს, მაგრამ ასევე უზარმაზარ შესაძლებლობებს შეიცავდა.

სუვერენული და გაერთიანებული გერმანიისთვის ახალი ეპოქა მართლაც დაიწყო. გერმანია მაქსიმალურად ცდილობდა აღმოსავლეთ

ევროპული სახელმწიფოების ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციის პროცესების დაჩქარებას, ამავდროულად, ხელს უწყობდა დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების პოზიტიურ განვითარებას.

90-იან წლებში გერმანიის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარ მიზანს აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოების ევროატლანტიკურ სტრუქტურებში იტეგრაცია წარმოადგენდა. იგი მაშინდელი პოლიტიკური ელიტისთვის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში იმედგაცრუების მიზეზი გახდა. იმედგაცრუების, რადგან არსებობდა მოლოდინი, რომ გაერთიანებული გერმანია, გერმანიის იმპერიის მსგავსად, ისევე როგორც 1917-1918 წლებში, კავკასიაში პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებას შეეცდებოდა. ეს იყო ისტორიის მითოლოგიზირება, რომელიც მაშინდელი გერმანიის რეალური პოლიტიკის გამოწვევებთან მიმართებით რეალობის შეგრძნებას იყო მოკლებული.[102]

კავშირების ინტენსიფიკაციას იმ ქვეყნებთან, რომლებიც ახლოსაა ევროკავშირის საზღვრებთან და გაერთიანებული ევროპისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენენ და რომელთაც გარკვეული პერსპექტივები გააჩნიათ სამომავლოდ ინტეგრაციის მხრივ, „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ ეწოდა. იგი ევროკავშრის ეგიდით ხორციელდება, მაგრამ არის ერთი დეტალი _ მის განხორციელებაზე პასუხისმგელობას საკუთარ თავზე სწორედ გერმანია ღებულობს.

[102] სარჯველაძე მ., “გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 2016 წლის უსაფრთხოების სტრატეგია და საქართველო.” საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, თბ., 2016;

გერმანიის გაერთიანების დღე, 1990 წლის 3 ოქტომბერი

ურთიერთთანამშრომლობის საწყის ეტაპზე ევროკავშირისთვის მთავარი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან თანდათანობით დაახლოება, რაც ქვეყნის შიგნით დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებასა და რეფორმების გატარებას გულისხმობდა და რომელიც მომავალში გაწევრიანების წინაპირობა გახდებოდა. ეს სტრატეგია სრულიად ჯდებოდა „აღმოსავლეთ პოლიტიკის“ იდეურ კონცეფციაში _ არავითარი ფორსირება დემოკრატიული ტრანსფორმაციის პროცესში და ინტეგრაციის პროცესის „დაჩქარებული“ მეთოდის აბსოლუტური გამორიცხვა. ეს უნდა ყოფილიყო „გარდაქმნა დაახლოებით“ გაცილებით ფართო მასშტაბში, რადგან მიმდინარე პროცესი გასცდა აღმოსავლეთ ევროპას და გადასწვდა პოსტსაბჭოთა სივრცეს, უპირველეს ყოვლისა კი _ საქართველოს, მისი გეოპოლიტიკური „წონის“ გამო.

შავი ზღვის რეგიონში საქართველო, როგორც სახელმწიფო, სტრატეგიულად მნიშვნელოვანია მისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, რადგან საქართველოს გააჩნია მზარდი სატრანზიტო პოტენციალი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. შესაბამისად, საქართველო გერმანიის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. საქართველო გერმანიისა და ევროკავშირის წამყვანი პარტნიორი გახდა. მას გააჩნია ნათლად გამოხატული პროდასავლური და პროევროპული ორიენტაცია. რეგიონში, სადაც რამდენიმე მნიშვნელოვანი ძალა გავლენისთვის იბრძვის, ევროკავშირი სამეზობლოში სტაბილური და დემოკრატიული „მეგობარი სახელმწიფოების რკალის“ შექმნას ითვალისწინებს. ამ მიზნით საქართველო ერთ-ერთი სამიზნე და საყრდენია რეგიონში. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გერმანია აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს რეფორმების პროცესში, ქვეყანაში მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის, კანონის უზენაესობის განმტკიცებისა და ახალგაზრდობისთვის

ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნის მიზნით. განვითარების პოლიტიკის მიმართულებით გერმანია საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარტნიორია.

საქართველოს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დემოკრატიზაციისა და რეფორმების მიმართულებითაც. საქართველოში ქვეყნის შიგნით ერთსულოვანი შეთანხმება არსებობს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ, რაც ურყევი სისწრაფითაც გამოირჩევა. ასევე მნიშვნელოვანია რეგიონში საქართველოს მიერ დაფიქსირებული პროგრესი დემოკრატიული ღირებულებების გატარების მხრივ. ამავდრიულად, საქართველო მნიშვნელოვან მოთამაშედ მიიჩნევა შავი ზღვის რეგიონში, რადგან პრაგმატული ურთიერთობებისა და სტაბილურობის მეშვეობით მეზობელ სახელმწიფოებთან კარგი ურთიერთობა ჩამოაყალიბა და დამაბალანსებელი როლის შეთავაზება შეუძლია. ეს კი ქვეყანას ბერლინის მიერ რეგიონის სტაბილიზაციისკენ მიმართული ძალისხმევის კონტექსტში გერმანიისთვის მნიშნელოვან პარტნიორად აყალიბებს.

საქართველოს განსაკუთრებული ისტორიული კავშირები აქვს გერმანიასთან. ეს ფაქტორი საქართველოს ადგილს განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკაში. მნიშვნელოვანია ედუარდ შევარდნაძეს როლი, როდესაც სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. მისი ღვაწლი დავიწყებას არ მისცემია, რაც 2014 წელს წამყვან გერმანულ გაზეთებში მის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ ცნობებშიც აისახა. 200 წლის წინ საქართველოში გერმანელები ჩამოსახლდნენ. მათი ამჟამინდელი მდგომარეობა აქტიურად განიხილება გერმანიის მთავრობასთან ერთად და დღის წესრიგშია.

1991 წელს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, გერმანია პირველი ევროპული სახელმწიფო იყო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა და ერთი წლის შემდეგ

საელჩოც გახსნა თბილისში. 1992-1995 წლებში გერმანიასთან ორმხრივი პარტნიორული ურთიერთობები განსაკუთრებით გააქტიურდა. სწორედ აქედან მიიღო საქართველომ 500 მილიონი მარკის დახმარება, ხოლო ვაჭრობის მოცულობა ქვეყნებს შორის 3.3-ჯერ გაიზარდა. 1994 წელს გერმანია უშუალოდ იყო ჩართული საქართველოში მშვიდობის დამყარების საქმეში, როგორც ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყანა.

„საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის დროს ედუარდ შევარდნაძემ თავისი მყარი პოზიციითა და მამაცი გადაწყვეტილებებით 1990 წელს გამართული „2+4 მოლაპარაკებების" ფარგლებში უდიდესი წვლილი შეიტანა გერმანიის გაერთიანების საქმეში. ჩვენ არასდროს დავივიწყებთ ამას და მუდამ მისი მადლიერი ვიქნებით".

გერმანიის ელჩი საქართველოში, ქალბატონი ჰაიკე ფაიჩი

1996 წელს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გერმანიაში გაემგზავრა ოფიციალური ვიზიტით. დელეგაციაში, რომელიც ხელისუფლებისა და ბიზნესის წარმომადგენლებისგან შედგებოდა, 42 კაცი შედიოდა. ბონში ფედერალურ კანცლერ ჰელმუტ კოლთან გაიმართა შეხვედრა.

ედუარდ შევარდნაძე 1999 წლის ოქტომბერში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა გერმანიაში. ბერლინის კედლის დანგრევასა და გერმანიის გაერთიანებაში შეტანილი ისტორიული წვლილის გამო მას სათანადო პატივით შეხვდნენ.

გერმანიაში შედგა „დიდი აბრეშუმის გზის“ წიგნის პრეზენტაცია, რომელშიც ის აზრია გატარებული, რომ ევრაზიის უდიდესი სივრცის შეკვრის რთულ გზაზე საქართველოს გამორჩეული ადგილი უჭირავს. ეს აზრი გერმანიის საგარეო პოლიტიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში დღესაც აქტუალურია. ედუარდ შევარდნაძემ კანცლერი

შროდერი „ოქროს საწმისის“ ორდენით დააჯილდოვა და საქართველოში მოიწვია.[103]

გერმანიის კანცლერი შროდერი საპასუხო ვიზიტით 2000 წლის მარტში ესტუმრა თბილისს. ვიზიტის მთავარ მიზანს საქართველოში გერმანული ინვესტიციების მოცულობის გაზრდა წარმოადგენდა, რომლის რაოდენობაც 50 მილიონ ევროს შეადგენდა, რაც ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავებას ძალიან უწყობდა ხელს.

„ბერლინი ვერ წავა მოსკოვის წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც გერმანულ ფირმებს უზარმაზარი ეკონომიკური ინტერესები აქვთ რუსეთში და გერმანია რუსული გაზის უმთავრესი მომხმარებელია”. ეს აზრი ქართულ საზოგადოებაში და პოლიტიკურ ელიტაში დღესაც გაბატონებულია.[104]

გერმანიას არ სურს ბოლომდე იყოს დამოკიდებული რუსულ ენერგომატარებლებზე და მას საქართველო სჭირდება, როგორც სატრანზიტო ქვეყანა. აქედან გამომდინარე, მომავალში საკუთარი ენერგომომარაგების უზრუნველსაყოფად გერმანია დაინტერესებულია რეგიონში პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებით.

საერთაშორისო ეკონომიკაში ჩართვა და სრული ინტეგრაცია დღეს პრიორიტეტულია საქართველოსთვის. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ საქართველო თანამედროვე პოლიტიკური გლობალიზაციის აქტიური სუბიექტი ხდება. საქართველომ აირჩია დასავლური პოლიტიკური დემოკრატიული კურსი, ხოლო მისი უმთავრესი გეოპოლიტიკური ამბიცია და ამოცანა ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციით გამოიხატება.

საქართველოს გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ დამოუკიდებელი საქართველოს როლი პოლიტიკურ გლობალიზაციაში მკვეთრად

---

[103] Гаджиев К. С геополитика кавказа, “международные отношения” москва; 2001

[104] გაჩეჩილაძე რ., “საქართველო მსოფლიო კონტექსტში.” ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2013;

აამაღლა, რის გამოც იგი აშშ-ის, ევროკავშირის, რუსეთის, ირანისა და ჩინეთის სტრატეგიული ინტერესების ზონაში აღმოჩნდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ბოსფორის ქვეშ მარმარაის გვირაბის გახსნა, რომელიც 2013 წლის 20 ოქტომბერს თურქეთის რესპუბლიკის 90-ე წლისთავთან დაკავშრებით მოხდა. გვირაბი ბოსფორის სრუტის მეშვეობით ევროპის კონტინენტს აზიასთან აკავშირებს. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს თურქეთის ეკონომიკურ განვითარებას.

თურქეთ-იაპონიის კონსორციუმის მეშვეობით მოხდა მარმარაის გვირაბის ამოქმედება. სტამბოლის სატრანსპორტო ქსელის განმუხტვას მარმარაის გვირაბი მოახდენს. გვირაბი ასევე მნიშვნელოვანი იქნება სტამბოლი-ანკარის სწრაფი სარკინიგზო ხაზის განვითარებისთვის, რომელიც 2013 წლის ბოლოს დასრულდა. რეგიონალური თვალსაზრისით, მარმარაი თურქეთის სატრანზიტო პოტენციალის განვითარების ნაწილია, რომელიც ევროპას ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტით ჩინეთთან დააკავშირებს. შესაბამისად, საქართველო რეგიონული გეოსტრატეგიის აქტიურ სუბიექტად ყალიბდება. აქედან გამომდინარე კი მისი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია გლობალიზაციაში მონაწილეობაა. საქართველო ამ პროცესების სულ უფრო აქტიური შემოქმედი ხდება.[105]

სარკინიგზო ტრანსპორტს მნიშვნელოვნად ეკარგება ქვეყნის შიდა გადაზიდვების ფუნქცია, რაც ეკონომიკური ტრანსფორმაციის მიმდინარე პროცესებითაა გამოწვეული. აქედან გამომდინარე, იგი ძირითადად, სატრანზიტო გადაზიდვების მომსახურებაზე ხდება ორიენტირებული. კერძოდ, გადამწყვეტია მისი როლი ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ფორმირებაში.

[105] პავლიაშვილი ს,. გარაყანიძე ზ., " საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი, პრობლემები და პერსპექტივები." თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, თბ., 2014;

გერმანიასა და საქართველოს შორის მძლავრი სახმელეთო არტერია წარმოიქმნება, თუ საქართველო ჩაერთვება ტრანსევროპულ სარკინიგზო ქსელში, რაც უდავოდ შეუწყობს ხელს ორ ქვეყანას შორის როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავების.

გერმანია-საქართველოს ურთიერთობების ჭრილში საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის სრული ამოქმედების კუთხით საინტერესოა საქართველოს ჩართვა საზღვაო გადაზიდვებში. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, იგი საზღვაო კარიბჭეა ამიერკავკასიისათვის, რასაც სათანადო დაფასება და გამოყენება სჭირდება. საქართველოს შეუძლია გამოიყენოს მისი პოტენციალი და გახდეს კავკასიის სატრანსპორტო-ლოჯისტიკური ცენტრი. იგი აღნიშნულ ფუნქციას ნაწილობრივ დღესაც ასრულებს, მაგრამ ძალიან დიდია კონკურენცია მეზობელი სახელმწიფოების, განსაკუთრებით, რუსეთის ფედერაციის საზღვაო პორტებისა და მის ტერიტორიაზე გამავალი სატრანზიტო გზების მხრივ, არა მარტო შუა აზიისთვის განკუთვნილ ტვირთებთან დამოკიდებულებაში, არამედ აზერბაიჯანის ტვირთების მიმართაც. მოსალოდნელია თურქეთის მხრიდან კონკურენციის კიდევ უფრო გამძაფრება „მარაბდა-კარწახის“ რკინიგზის, სამსუნისა და ტრაპიზონის პორტების მოდერნიზაციის დასრულების შემდეგ. ასევე კონკურენციას გვიწევენ უკრაინა და თურქეთი. [106]

[106] მარგალიტაძე ი., გეგეშიძე ე., სატრანსპორტო პოლიტიკის კონცეფციები და საზღვაო საქმე," საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2016;

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა და აბრეშუმის გზის პროექტი



საქართველო, როგორც შუა დერეფნის საზღვაო კარიბჭე

მიუხედავად ამისა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის არნახული ტემპებისა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება-მოხმარების, განსაკუთრებით, ნახშირბადშემცველი ნედლეულის ზრდის გამო საქართველოს საზღვაო პორტების მნიშვნელობა განუხრელად იზრდება არა მარტო კავკასიის რეგიონისთვის, არამედ შუა აზიის სახელმწიფოებისთვისაც. ეს უკანასკნელი გამოირჩევა ნავთობის დიდი მარაგებით, ასევე ამ ქვეყნებში მოჰყავთ ბამბა _ საუკეთესო ნედლეული მსუბუქი მრეწველობისთვის, აწარმოებენ მატყლს, ხორცს და ა.შ. ამავე დროს, ეს სახელმწიფოები გამოირჩევიან შემოსავლების სტაბილური ზრდით, რასაც თან სდევს მოსახლეობის მოთხოვნილების ამაღლება მაღალტექნოლოგიურ საქონელზე, რომლის მოწოდებაც დასავლეთიდან ხორციელდება და ზემოაღნიშნული ტვირთბრუნვისთვის ყველაზე მოკლე გზა საქართველოს ტერიტორიაზე გადის. აქტიურად ვითარდება ქვეყნის საკვანძო სატრანზიტო რეგიონად ჩამოყალიბების პროცესი.[107]

რეინ-მაინ-დუნაის (RMD) არხს „ევროპის არხსაც“ უწოდებენ. იგი 1992 წლის 24 სექტემბერს გაიხსნა, რომელიც უზრუნველყოფს ჩრდილოეთის ზღვიდან შავი ზღვის პორტ კონსტანცამდე ტვირთვის გადაზდვას. „ურთიერთგაგების მემორანდუმი რეგიონში საზღვაო მაგისტრალების განვითარების შესახებ“ იქნა მიღებული შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC) ორგანიზაციის ფორმატში, სადაც საქართველო ერთ-ერთი დამფუძნებელია, ხოლო გერმანია დამკვირვებლის სტატუსით არის წარმოდგენილი.

[107] მარგალიტაძე ი., გეგეშიძე ე., სატრანსპორტო პოლიტიკის კონცეფციები და საზღვაო საქმე,” საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2016;



რეინ-მაინ-დუნაის (RMD) არხი

რეინ-მაინ-დუნაის (RMD) არხი

შეთანხმება შიდა ნაოსნობის შესახებ 1997 წლის 10 იანვრიდან შევიდა ძალაში საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის. შეთანხმების თანახმად, „საქართველოსა და გერმანიის ხომალდებს აქვთ მგზავრების გადაყვანის ან/და ტვირთის გადაზიდვის უფლება, როგორც საქართველოს ნავსადგურსა და გერმანიის ნავსადგურს შორის და პირიქით (ორმხრივი მიმოსვლა)“ (მუხლი 3).

„საქართველოსა და გერმანიის ხომალდების ეკიპაჟის წევრებს დუნაიზე საზღვრის გადაკვეთისას ან ხომალდის გემბანზე, აგრეთვე დუნაის სანაპიროზე განლაგებული ნავსადგურების ტერიტორიაზე ყოფნისას არ ესაჭიროებათ ვიზა, თუ მათ აქვთ დუნაიზე ნაოსნობის მოწმობა ან მეზღვაურის პასპორტი და ისინი შეყვანილნი არიან ეკიპაჟის სიაში“ (მუხლი 12). „საქართველოსა და გერმანიის ხომალდებს შეუძლიათ დღე-ღამის განმავლობაში გაჩერდნენ შემდეგ ადგილებში: ა) დატვირთვა-განტვირთვის ნავსადგურებში; ბ) სამგზავრო ტრასის ნავსადგურებში; გ) სამგზავრო მონაკვეთზე ნებადართულ ადგილებში“ (მუხლი 13). [108]

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ინტეგრაციის საწყის ეტაპად შეიძლება მოცემული ფორმატი განვიხილოთ, რადგან რეინ-მაინც-დუნაის პანევროპული ქსელის უმთავრესი აქტორი სწორედ გერმანიაა.

ზემოთ ხსენებული გლობალური პროექტების განხორციელება და მისი მნიშვნელობა შეიძლება დავუკავშიროთ 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მიერ ბერლინში გერმანიის მთავრობისთვის შეთავაზებულ პროექტს „ბერლინი-ფოთი-პეკინი“. დაგვიანებით, მაგრამ მაინც იწყებს რეალიზებას ისეთი სატრანზიტო

[108] “შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის მთავრობას შორის შიდა ნაოსნობის შესახებ“. ბონი., 1992;

მაგისტრალი, რომელიც საქართველოს ტერიტორიის გავლით ევროპიდან შორეულ აღმოსავლეთამდე გაატარებს ტვირთებს.

საქართველო-გერმანიის პოლიტიკური ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე

საგარეო პოლიტიკის სფეროში სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება გერმანულ-ქართულ ურთიერთობებს, რადგან საქართველო დამაკავშირებელია ცენტრალურ აზიასა და უშუალო მეზობლობაში მყოფ რუსეთთან. საქართველოს შეუძლია საკუთარი წვლილის შეტანა კავკასიის რეგიონში ხანგრძილივი ევროპული სამშვიდობო წესრიგის განვითარებაში. კავკასიის რეგიონში სტაბილურობა ნიშნავს ევროპის აღმოსავლეთ რეგიონის უსაფრთხოების გაზრდას, ხოლო არასტაბილურობა საფრთხეს შეუქმნის მოსაზღვრე ქვეყნებს. ამ მიზეზთა ჯაჭვის გათვალისწინებით გერმანიას აქვს გამოკვეთილი ინტერესები, რომ განავითაროს მრავალმხრივი და სანდო ურთიერთობები აღმოსავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფოსა და მიმდებარე რეგიონებთან. რა თქმა უნდა, ეს ვრცელდება კავკასიაზეც და საქართველოზეც, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარტნიორზე რეგიონში, რომელთანაც გერმანიას განსაკუთრებული ტრადიციები და ისტორია აკავშრებს. გერმანიას გააჩნია შიში, რომელიც რუსეთის მიმართ კრიტიკულ რეფლექსიებად ვლინდება. გერმანიის მიზანია ხელი შეუწყოს მუდმივი მშვიდობის იდეას ევროპული თანაცხოვრების პერსპექტივაში. გერმანია ასევე ვალდებულებას იღებს ევროპის სტაბილურ განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, გერმანიის დღის წესრიგში შედის, მოუწოდოს როგორც რუსეთს, ასევე საქართველოს

კონსტრუქციული ქმედებებისკენ რეგიონში მდგრადი სტაბილიზაციის მისაღწევად.[109]

ქართულ-რუსული ანტაგონიზმის გაძლიერებასთან ერთად, რომელმაც თავი 2005 წლიდან იჩინა, გერმანიის პოლიტიკური ურთიერთობები საქართველოსთან შენელდა. საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ ბუშის ადმინისტრაციასთან ძლიერი მხარდაჭერის ფონზე ქვეყნის საგარეო კურსი ნაკლებ პრაგმატული და ძალიან სარისკო პოლიტიკის კუთხით წარმართა. უკიდურესად დაიძაბა ვითარება საქართველოსა და სეპარატისტულ რეგიონებს შორის, სადაც საქმე შეიარაღებულ შეტაკებამდეც კი მივიდა.

ამ შედეგიდან გამომდინარე, 2008 წლის ივლისში უშუალოდ აგვისტოს ომის წინ აფხაზეთის საკითხთან დაკავშრებით გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა მხარეებს დიალოგისკენ მოუწოდა. ასევე მანვე დაპირისპირებულ მხარეებს მოულოდნელად დაწყებული კონფლიქტის დარეგულირებისთვის შესთავაზა სამი ეტაპისგან შემდგარი გეგმა, რომელსაც „შტაინმაიერის გეგმა“ ეწოდა. სწორედ ამ გეგმიდან გამომდინარე, გერმანიის როლი კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის საქმეში გადამწყვეტი იყო.

პირველი ფაზა: ძალის არგამოყენება; კოდორის ხეობასა და, ზოგადად, მთელ ქვეყანაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა; დევნილებისა და ლტოლვილების დაბრუნების შესახებ ხელშეკრულების გაგრძელება; საერთაშორისო ნორმებისა და გარანტიების მხედველობაში მიღება.

მეორე ფაზა: პრაქტიკული პროექტები ნდობის აღდგენის შესახებ, რომელიც ინიცირებული იქნება ბერლინში საერთაშორისო დონორების კონფერენციაზე; ლტოლვილთა და დევნილთა დაბრუნება;

[109] უსაფრთხო პოლიტიკის ფედერალური აკადემია, „საქართველო თვალთახედვის არეალში“, „უსაფრთხოების პოლიტიკური პერსპექტივები კავკასიისთვის-სამოქმედო რჩევები გერმანული პოლიტიკისთვის“, უსაფრთხოების პოლიტიკის სემინარი, თბ.,2009;

თანამშრომლობა პოლიტიკური სტატუსკვოს ფარგლებში, ვაჭრობის, მგზავრობის სფეროებში და ასევე გარკვეულ იურიდიულ, კულტურულ და სპორტულ საკითხებში.

მესამე ფაზა: აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შეთანხმებული გადაწყვეტა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნებოდა საერთაშორისო შუამავლობისა და ორმხრივი მოლაპარაკებების ჩარჩოებში.

პირველი ფაზა: უსაფრთხოების გარანტიები _ დევნილებისა და ლტოლვილების დაბრუნების პროცესისთვის ნიადაგის მომზადება _ უპირობო დიალოგის დაწყება.

- ორივე მხარე უარს ამბობს ძალის გამოყენებასა და დაშინების მეთოდზე, ასევე თავს იკავებენ ფეთქებადი რიტორიკისგან. მხარეები ხელს შეუწყობენ ისეთი ტიპის განცხადებების გაცვლას, როგორიცაა ბოლო დროს შემუშავებული „ქართული და აფხაზური მხარებიის განცხადება უსაფრთხოებისა და შეიარაღებული დაპირისპირების განუახლებლობის შესახებ (2008 წლის მაისი).“ შესაძლებელია ამავე დოკუმენტის მიღებაც;
- მუდმივმოქმედი საორგანიზაციო კომიტეტების მეშვეობით მხარეები საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებენ და შეიმუშავებენ მაღალი დონის პირდაპირი დიალოგის ფორმებს. სასურველია., გაეროს დამკვირვებელთა მისიამ და გაეროს გენერალური ჯგუფის მდივანმა მიიღონ მონაწილეობა, როგორც ფასილიტატორებმა. ასევე შესაძლებელია საერთაშორისო ორგანიზაციებიც ჩაერიონ ამ პროცესში, თუ მხარეები ამაზე დათანხმდებიან;
- კოდორის ხეობისთვის და არამარტო მისთვის აუცილებელია, შემუშავებულ იქნას შესაბამისი უსაფრთხოების გარანტიები, სადაც მხარეები კონსულტაციას გაივლიან გაეროს დამკვირვებელთა და გაეროს გენერალური მდივნის ჯგუფებთან. მხარეები მოიწვევენ

სამუშაო ჯგუფებს საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელობით, რათა იმუშაონ საჭირო დეტალებზე;

- ორივე მხარე გაითვალისწინებს საერთაშორისო პოლიციის განლაგებას უსაფრთხოებისა და შეიარაღებული დაპირისპირების განუახლებლობის გარანტიების მისაღებად. უსაფრთხოების გაუარესების შემთხვევაში, არსებული მექანიზმები ამოქმედდება, რათა აცილებულ იქნას სამხედრო დაპირისპირება;
- გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებისა და შეთანხმებების საფუძველზე მხარეები უნდა შეთანხმდნენ დევნილებისა და ლტოლვილების აფხაზეთში დაბრუნების უფლებების ცნობისა და სხვა უფლებების დაცვის ვალდებულებებზე; ასევე უნდა მოხდეს მათი დაბრუნება მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში;
- მხარეებმა ასევე უნდა მიღონ პირველი ფაზის ფარგლებში ნდობის აღსადგენი ზომები, რომლებიც შეეხება ჰუმანიტარული საკითხების მოგვარებას; განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა, ემბარგოს მოხსნას სამოქალაქო ვაჭრობაზე და გაფართოვდება აფახაზეთისთვის ეკონომიკური შესაძლებლობები, რათა აწარმოონ ვაჭრობა როგორც ქართველ, ისე საერთაშორისო პარტნიორებთან.

საწყისი ფაზის მიზნები მიღწეული უნდა იყოს ამ დოკუმენტის დამტკიცებიდან 15 თვის შემდეგ.

მეორე ფაზა: ნდობის აღდგენა: საზოგადოების ცხოვრების ნორმალიზება ვაჭრობის, მეზობლური ურთიერთობების, კულტურული გაცვლებისა და მშვიდობიანი კამათის მეშვეობით.

- უნდა ჩატარდეს საერთაშორისო კონფერენცია ევროკავშირის, გაეროს, ეუთოს, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და დაინტერესებული ორმხრივი დონორების, როგორებიცაა რუსეთი და აშშ, მონაწილეობით. ეს ყველაფერი ჩატარებულ უნდა იქნას მიღწეული პროგრამის საფუძველზე. მნიშვნელოვანია ეკონომიკური

და ინფრატრუქტურული პროექტების განხორციელება კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიების რეკონსტრუქციისთვის. დონორებმა მხარი უნდა დაუჭირონ ასეთ პროექტებს, გერმანია კი მზადაა უმასპინძლოს ამ კონფერენციას;

- საჭიროა დევნილებისა და ლტოლვილების რეინტეგრაცია, როდესაც ისინი დაბრუნდებიან. ასევე მნიშვნელოვანია მათი უფლებების დაცვა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი იურიდიული დებულებებით. დეტალები განხილული იქნება დევნილებისა და ლტოლვილების საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის მიერ საორგანიზაციო კომიტეტის ფარგლებში;
- ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და გადაადგილების თავისუფლებისთვის შეიქმნება პირობები;
- რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტები უნდა განხორციელდეს აფხაზეთისა და კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიებზე. ასევე უნდა დაიწყოს რეგიონალური თანამშრომლობა, რომელიც განხორციელებული იქნება საერთაშორისო დონორთა მონაწილეობით;
- საზოგადოებების თემებმა უნდა იმუშაონ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა შექმნან შესაფერისი საცხოვრებელი პირობები, რომლებიც დაკავშრებულია სწავლა-განათლებასთან და კომუნალური მიკროპროექტების განხორციელებასთან. მათ დახმარება უნდა გაეწიოთ კულტრულ და სპორტულ აქტივობებში.

მესამე ფაზა: აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შეთანხმებული გადაწყვეტა.

- პირველ და მეორე ფაზებზე მიღწეული პროგრესის შეფასების საფუძველზე იწყება მესამე ფაზა გაეროს/მეგობართა ჯგუფის დახმარებით;

- უნდა შემუშავდეს სამუშაო ჯგუფის მიერ აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი. ამ ჯგუფს დაეხმარებიან საერთაშრისო ფასილიტატორები და გარანტორები;
- გაეროს უშიშროების საბჭოს თხოვნით, სამუშაო ჯგუფს უნდა გაეგზავნოს და დაამტკიცოს აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი, ასევე მეთვალყურეობა უნდა გაუწიოს მის განხორციელებას;
- აფხაზეთის რეკონსტრუქციისთვის დამატებით დახმარებას მომდევნო საერთაშორისო კონფერენცია გადაწყვეტს. შესაძლებელია ამ კონტექსტში ევროკავშირმა რაიმე სახის დახმარება გაუწიოს შეთანხმების განხორციელებას.[110]

რუსეთმა პრაქტიკულად გააკეთა განაცხადი, რომ ის არის ჰიდროკარბონატების ერთადერთი და სტაბილური სატრანზიტო სივრცე კასპიისპირეთს, ცენტრალურ აზიასა და ევროპას შორის, მას შემდეგ, რაც რუსეთი 2008 წლის აგვისტოში „საკუთარი მოქალაქების დაცვის“ საბაბით საქართველოში შეიჭრა. ომის დაწყებისთანავე გერმანიის ფედერალური კანცლერი ანგელა მერკელი 15 აგვისტოს სოჭში შეხვდა პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს და მოსთხოვა საქართველოს ტერიტორიებიდან რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანა. ამის შემდეგ მერკელი თბილისში ჩამოვიდა 17 აგვისტოს და საქართველოს ხელისუფლებას შეხვდა. გერმანიის მხრიდან ნათლად გამოჩდა მორალური მხარდაჭერის აქტი, რამაც არსებული კონფლიქტის დუღილის ტემპერატურა საგრძნობლად დასწია. 26 აგვისტოს ესტონეთში ვიზიტის დროს მერკელმა რუსეთის გადაწყვეტილებას აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ „დამოუკიდებლობის“ შესახებ „აბსოლუტურად მცდარი“ და „მიუღებელი“ უწოდა.

[110] კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის სამშვიდობო ხელშეკრულებათა ბაზა. GEO-PEACE DATABASE, www.iccn,ge. თბ., 2008;

2008 წლის აგვისტოში ანალიტიკოსები ვარაუდობდნენ, რომ საქართველოს სატრანზიტო ინფრასტრუქტურას შეიძლება ფუნქციონირება შეეწყვიტა, რაც საქართველოს სატრანზიტო იმიჯს აშკარა ეჭვქვეშ აყენებდა. ამას მოჰყვა 2009 წლის 13 აგვისტოს ჯეიმს ტაუნის ფონდის ექსპერტების მოხსენება, სადაც ნახსენები იყო, რომ საქართველოში კრიზისის გრძელვადიანი ზეგავლენა ისაა, რომ დასავლეთის სურვილი _ გამოეყენებინა საქართველო ენერგოსატრანზიტო პროექტებისთვის მოსკოვის აზრის გაუთვალისწინებლად _ შეუძლებელი აღმოჩნდა. გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა 2009 წლის 26 აგვისტოს ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოში კონფლიქტი არ იქონიებდა ზემოქმედებას რუსულ-გერმანულ-ჰოლანდიურ „ჩრდილოეთის ნაკადზე“. ზოგიერთი ევროპელი ანალიტიკოსი პირდაპირ მიუთითებდა, რომ ვინაიდან უახლესი 30 წელი დასავლეთი რუსულ გაზზე იქნება დამოკიდებული, ამიტომ რუსეთი ენერგეტიკულ საფრთხედ რჩება.

რუსეთის როლი და სტატუსი მკვეთრად შეიცვალა თანამედროვე მსოფლიოში მას შემდეგ, რაც საქართველოს ორი სეპარატისტული ტერიტორიები დამოუკიდებლად ცნო.

რუსეთის მთავრობამ ახალი ენერგეტიკული სტრატეგია 2009 წლის 27 აგვისტოს დაამტკიცა, რომელიც 2030 წლამდე ძალაში იქნება.[111] მის ძირითად დანიშნულებას ენერგოსექტორის ყოვლისმომცველი მოდერნიზაცია და ენერგორესურსების წარმოებისა და ექსპორტის არსებითი ზრდა წარმოადგენს. ასევე, ყურადღება გამახვილებულია ევროპის ბაზარზე მონოპოლიის შენარჩუნებაზე, ამისათვის კი დასახულია ამოცანა, რომ მოხდეს ტრანზიტული ქვეყნების იმიჯის შელახვა და მათი გვერდის ავლით გაზსადენების გაყვანის დაჩქარება და დაცვა.

[111] Энергетическая Стратегия России на период до 2030 года, Москва; 2009; https://meganorm.ru/Data2/1/4293748/4293748262.pdf-უკანასკნელად გადამოწმებულია 18, 07. 2020;



რუსეთის ფედერაციის ენერგეტიკული სტრატეგია ევროპაში



შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება და საქართველო (2021 წელი)

გერმანიის პრეზიდენტი (ბუნდესპრეზიდენტი _ გერმ. Bundespräsident; ქართ. ფედერალური პრეზიდენტი) ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი საქართველოში

გერმანია 2004 წელს აღმოსავლეთით გაფართოების პროცესში მტკიცედ უჭერდა მხარს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანებას. უკრაინამ, მოლდოვის რესპუბლიკამ, ბელორუსმა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა გერმანიის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მას შემდეგ, რაც ევროკავშირის „დიდი გაფართოება“ განხორციელდა. თუმცა, საფრანგეთს განსხვავებული რეგიონალური პრიორიტეტები გააჩნდა. აღნიშნულ პოლიტიკას ასევე დაემატა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებიც.

გერმანიამ აღნიშნული აღმოსავლეთევროპული რეგიონული ფოკუსის ფარგლებში განავითარა ახალი მიდგომები სამეზობლო პოლიტიკის მიმართულებით მას შემდეგ, რაც 2007 წელს ევროკავშირის

საბჭოს პრეზიდენტად გერმანია აირჩიეს. ამას მოჰყვა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა, სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ განზომილება, რომელიც 2009 წელს დაიწყო. შვედეთისა და პოლონეთის ეგიდით დაიწყო აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის განხორციელება. ამ პროცესს გერმანია მტკიცედ უჭერდა მხარს, რაც დასტურდებოდა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის ვიზიტით პარტნიორობის ინიცირების სამიტზე პრაღაში, მაშინ, როდესაც ევროკავშირის სხვა წევრმა სახელმწიფოებმა ღონისძიებაზე მხოლოდ აღმასრულებელი რგოლის დაბალი რანგის წარმომადგენლები მიავლინეს.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის გერმანიას წამყვანი ადგილი უჭირავს აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორ სახელმწიფოებთან ურთიერთობის მეტად განვითარების მიმართულებით. სამხრეთ ევროპის ქვეყნებს ნაკლები ინტერესი აქვთ ურთიერთობის გაღრმავების კუთხით, თუმცა ბალტიის ქვეყნები, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები, მხარს უჭერენ აღმოსავლეთ პარტნიორობის იდეას და ქვეყნებისთვის წევრობის შესაძლებლობის მიცემას. გერმანია დაინტერესებულია ურთიერთობების გაძლიერებითა და გაღრმავებით, თუმცა ამ მომენტისთვის მხარს არ უჭერს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის მინიჭებას.[112]

გერმანულ-ქართული ურთიერთობები უფრო პარტნიორული და სტაბილური გახდა მას შემდეგ, რაც 2012 წელს ხელისუფლებაში კოალიცია „ქართული ოცნება“ მოვიდა. ბერლინის სტრატეგიულ ინტერესებთან „ოცნების“ პრაგმატული პოლიტიკა უფრო მიმზიდველი გახდა. საქართველოს ახალმა მთავრობამ ამავდროულად შეინარჩუნა

[112] კაკაჩია კ., ბეტგერი კ., ლებანიძე ბ., პალმი ვ., სარჯველაძე მ., „ქართულ-გერმანული ურთიერთობები ევროატლანტიკური ინტეგრაციის კონტექსტში, როგორ შევაჯეროთ მოლოდინები?.“ პოლიტიკის დოკუმენტი, ბერლინი/თბილისი., 2019;

სტრატეგიული პარტნიორობა შეერთებულ შტატებთან, მაგრამ სჯეროდა, რომ საქართველო უნდა გაწევრიანებულიყო ევროკავშირში. ამის შემდეგ თბილისში დაიწყო ევროკავშირზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკის შემუშავება. აქედან გამომდინარე, ურთიერთობები უფრო ინტენსიური გახდა და გახშირდა გერმანიასა და საქართველოს შორის მაღალი დონის ვიზიტები.[113]

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 2014 წლის 30 ივნისს შეხვდა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს, რა დროსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, დააფიქსირა რა საქართველოს პრაგმატული პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით, კანცლერისაგან მიიღო თანხმობა რუსეთ-საქართველოს შორის გარკვეული მედიატორული როლის შესრულების შესახებ.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი შტაინმაიერი 2014 წლის 8 დეკემბერს იმყოფებოდა თბილისში. პრესკონფერენციის დროს, რომელიც ეხებოდა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას, მანაც დაადასტურა კანცლერის თანხმობა რუსეთ-საქართველოს შორის მედიატორული როლის შესრულების შესახებ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი 2016 წლის ივნისში ეწვია გერმანიას ოფიციალური ვიზიტით. სწორედ ამ ვიზიტის დროს საპატიო სტუმრებს შორის იმყოფებოდა შტაინმაიერიც.[114]

შტაინმაიერმა თავის სიტყვით გამოსვლაში აღნიშნა: „მე ძალიან ვგულშემატკივროб ვიზალიბერალიზაციის საკითხს საქართველოსთან მიმართებაში, მე მესმის, რომ საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირში

[113] PONARS EurasiaPolisy Memo No. 463, "A Reluktant Partner GEORGIAN-GERMAN RELATIONS REVISITED" 2017;

[114] შტაინმაიერი: „საქართველოს ევროკავშირთან უვიზო მიმოსლამდე ძალიან ცოტა დარჩა" https://www.tabula.ge/ge/story/90611-shtainmaieri-saqartvelos-evrokavshirtan-uvizo-mimosvlamde-dzalian-cota-darcha-უკანასკნელად გადამოწმებულია 18, 07. 2020;

უვიზო მიმოსვლა სურთ მას შემდეგ, რაც ის სავალდებულო ნაბიჯები, რასაც ევროკავშირი საქართველოსგან მოელოდა და საქართველომ ეს ნაბიჯები შეასრულა. მე მტკიცედ მჯერა, რომ ჩვენ ამ საკითხების გადაწყვეტა შეგვიძლია და ჩვენი ორივე ქვეყნის ხალხისთვის სწორ გადაწყვეტილებას მივიღებთ, მაგრამ მანამდე ვფიქრობ, რომ საჭიროა ჩვენი სიმტკიცე, გულმოდგინე შრომა და ერთად დგომა. ამის გამოხატულებაა ბოლო 2-3 კვირის ჩვენი ინტენსიური დიალოგი, რაც თავის მხრივ ჩვენი ახლო, კონსტრუქციული ურთიერთობების გაგრძელებაა და მიზნად ისახავს არსებული საკითხების გადაჭრის გზების პოვნას. გერმანიისა და საქართველოს ერთად დგომის გამოხატულებაა ის, რომ ჩვენ დღეს ერთად ვზეიმობთ საქართველოს ნაციონალურ დღესასწაულს".[115] მან კიდევ ერთხელ დაადასტურა გერმანიის მხარდაჭერა ევროპასთან დაახლოების კუთხით. საპასუხო სიტყვაში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი გერმანიის მხარდაჭერას დამოუკიდებლობის გზაზე და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში გაწეულ დახმარებას. 2017 წელი 200 წლის წინ საქართველოში პირველი გერმანელი კოლონისტების აღსანიშნავად საქართველო-გერმანიის ურთიერთობის წლად გამოცხადდა. ორივე ქვეყანაში გაიმართა აღნიშნული მოვლენისადმი მიძღვნილი პოლიტიკური, სამეცნიერო და კულტურული ღონისძიებები, რომლებმაც უაღრესად დიდი როლი ითამაშა საქართველოს საერთაშორისო ცნობადობის გაზრდის საქმეში.

კანცლერი ანგელა მერკელი 2018 წლის 23 აგვისტოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია საქართველოს. პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძესთან შეხვედრის დროს მან გვირგვინით შეამკო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი.

---

[115] შტაინმაიერი ფ-ვ ., „ქართულ გერმანული ურთიერთობები ძალიან მყარ ფუნდამენტზე დგას." https://www.ghn.ge/news/155142-უკანასკნელად გადამოწმებულია 18. 07. 2020;

ძალიან საინტერესოდ წარიმართა კანცლერის შეხვედრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. კანცლერმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მნიშვნელობას. მან აღნიშნა, რომ გერმანია არასდროს შეეგუება საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციას.

მერკელმა „უდიდესი აღმაშფოთებელი უსამართლობა“ უწოდა ე.წ „სამხრეთ ოსეთის“ „ადმინისტრაციულ საზღვარს“. კანცლერი ასევე შეხვდა გერმანელ ჯარისკაცებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ერთობლივ სამხედრო წვრთნებში „ღირსეული პარტნიორი“, ასევე მნიშვნელოვანი შეხვედრები გაიმართა ევროკავშირის სადამკვირებლო მისიის წარმომადგენლებთან. სამთავრობო დელეგაციისა და გერმანიის კანცლერს შორის გამართულ ვახშამზე მერკელმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა პარტნიორულ ურთიერთობებსა და ქართველი ერის მეგობრულ დამოკიდებულებაზე.

„მსურს მადლობა გადაგიხადოთ პარტნიორობისთვის. ვიცით, რომ ბევრი სირთულე გაქვთ, თუმცა, ცდილობთ ოპტიმიზმი შეინარჩუნოთ და ხალხთაშორისი ურთიერთობები დაალაგოთ. ამიტომ მახარებს იმის გაგება, რომ რუსეთთან ყველა ამ პოლიტიკური სირთულის მიუხედავად, თბილისში რუს ტურისტებს მიესალმებიან. მათ აქ ჩამოსვლა მოსწონთ და ეს არის მთავარი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. გერმანია არ დაივიწყებს თქვენს ამ პრობლემებს. მადლობა მასპინძლობისთვის. გაუმარჯოს გერმანულ-ქართულ მეგობრობას“.[116]

შტაინმაიერი 2019 წლის ოქტომბერს უკვე პრეზიდენტის რანგში ეწვია საქართველოს. ერთობლივი პრესკონფერენციის დროს, რომელიც გაიმართა საქართველოს პრეზიდენტთან, შეეხო რა საქართველოს

[116] მამუკა ბახტაძემ ანგელა მერკელს ოფიციალურ ვახშამზე უმასპინძლაhttps://1tv.ge/news/mamuka-bakhtadzem-angela-merkels-oficialur-vakhshamze-umaspindzla/-უკანასკნელად გადამოწმებულია 18. 07. 2020;

ევროკავშირში გაწევრიანების საშუალებებსა და შესაძლებლობებს, შტაინმაიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი უნდა წარი-მართოს აღმოსავლეთ პარტნიორობის თანამშრომლობის ფორმატით.

„მე ძალიან მიხარია, რომ ჩამოვედი გერმანიის პრეზიდენტის რანგში საქართველოში. დამოუკიდებლობის გზა, ეს არის ურყევი დამოუკიდებლობის გზა, ეს არის ურყევი ნიშა ქართველი ხალხისა, შექმნას დემოკრატიული თავისუფალი სახელმწიფო. გერმანია არა მხოლოდ თვალს ადევნებდა ამას საქართველოში, არამედ იყო მისი აქტიური მხარდამჭერი და ერთ-ერთი მთავარი პარტნიორი ამ გზაზე. ის, რაც ჩვენმა ორმა ქვეყანამ განვლო უკანასკნელი წლების განმავლობაში ინტენსიური თანამშრომლობის მხრივ, მართლაც სამაგალითოა. ჩვენ ინტენსიურად ვთანამშრომლობთ გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარების კუთხით. ჩვენ ასევე გვაქვს ორმხრივი თანამშრომლობა თბილისსა თუ ბერლინში, საქართველოსა თუ გერმანიის სხვა ქალაქებში“, _ აღნიშნა პრეზიდენტმა.[117]

ექსპერტები და ოფიციალური პირები გერმანიაში, რომლებიც საქართველოს საკითხზე მუშაობენ, საქართველოს აღიქვამენ, როგორც ძალიან ამბიციურ პარტნიორს, რომელსაც გერმანიისა და, ზოგადად, დასავლეთის ქვეყნების მიმართ მაღალი მოლოდინები გააჩნია. გერმანიაში გადაწყვეტილების მიმღები პირები პოზიტიურად არიან განწყობილი და აღფრთოვანებას არ მალავენ საქართველოს პროდასავლური ორიენტაციით და ქართული პოლიტიკური ელიტის, ასევე საზოგადოების განწყობით დასავლეთის მიმართ. საქართველო განიხილება, როგორც მჭიდრო და სანდო პარტნიორი, რომელსაც რთული გეოპოლიტიკური პირობების ფარგლებში უწევს არსებობა.

[117] საქართველოს ათასობით მოქალაქე ითხოვს თავშესაფარს და თითქმის ყველა ეს განაცხადი უსაფუძვლოა-გერმანიის პრეზიდენტი მიგრანტებზე https://www.ambebi.ge/article/238101-sakartvelos-atasobit-mokalake-itxovs-tavshesapars-da-titkmis-qvela-es-ganacxadi-usapuzvloa-germaniis-prezidenti-migrantebze/-უკანასკნელად გადამოწმებულია 18. 07. 2020;

გერმანია ასევე აფასებს საერთაშორისო მისიებში საქართველოს მიერ შეტანილ წვლილს. საქართველოს წინაშე მდგარი მრავალმხრივი გამოწვევები გერმანელებისთვის ცნობილია და ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ საქართველო გეოგრაფიულად ესაზღვრება ან ახლოსაა დიდ სახელმწიფოებთან და მათი ინტერესების გადაკვეთის წერტილში მდებარეობს.

გერმანია-საქართველოს ორმხრივი პოლიტიკური ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე.

საქართველო ყოველთვის ვერ ასრულებს მასზე გაცემულ ავანსებსა და მასზე გაცემული მოლოდინები პარტნიორების მხრიდან ზოგჯერ გადამეტებულია, რადგან ზოგჯერ მათი შესრულების შესაძლებლობა რთულდება. მოზომილი ნაბიჯები უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს რეფორმების პროცესში. სწორედ ამას აღნიშნავენ გერმანელი ექსპერტები და ოფიციალური პირები. ზოგჯერ მოთხოვნების ეფექტურ იმპლემენტაციაზე მეტი ყურადღება ეთმობა ოფიციალური მოთხოვნების ზედაპირულ შესრულებას. გერმანელი ოფიციალური პირები და პოლიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ევროკავშირის წევრობის პერსპექტივისთვის არაერთი რეფორმა ჯერ კიდევ გასატარებელია და მათი მთლიანად იმპლემენტაცია წევრობის პერსპექტივის წინაპირობას წარმოადგენს. მოსკოვსა და თბილისის შორის არსებული დაძაბულობა საქართველოს შესახებ გერმანიის პერსპექტივაზე ასევე მოქმედებს. მოგეხსენებათ, გერმანია რუსეთთან მუდმივი დიალოგის პრაგმატულ პოლიტიკას ატარებს, მოსკოვსა და ნატოს, ასევე ევროკავშირის შორის არსებული პოლიტიკური დაძაბულობის მიუხედავად. ამიტომ, ზოგიერთი გერმანელი პოლიტიკოსი საქართველოს დამოუკიდებლობას რუსეთთან მიმართებით ხანდახან ზედმეტად კონფრონტაციულად აღიქვამს და ნაკლებად კონფრონტაციულ მიდგომას მიესალმება.

საქართველომ უნდა შეინარჩუნოს პროდასავლური ორიენტაცია და არ დაიშუროს ძალისხმევა, რომ უზრუნველყოს ასოცირების შესახებ შეთანხმების მდგრადი იმპლემენტაცია და დაცული იყოს ისეთი ფუნდამენტური ევროპული ღირებულებები, რომლებიც ხელს უწყობს ქვეყნის განვითარებას. გერმანიის მთავრობა იმედოვნებს, რომ საქართველო მოახერხებს რეფორმების გატარებას ისეთ დარგებში, როგორებიცაა: სასამართლო რეფორმები, ადამიანის უფლებები, უმცირესობის უფლებები და სხვ. ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრა-ციას გერმანია ორ სხვადასხვა პროცესად აღიქვამს. საქართველომ უნდა

აღიაროს ინტეგრაციის შედეგად მიღწეული შედეგების მნიშვნელობა და შესაძლებლობები და არ იყოს ორიენტირებული მხოლოდ ამ ორგანიზაციებში გაწევრიანებაზე. საქართველოს მთავრობამ, ისევე როგორც საზოგადოებამ, რეფორმების პროცესი უნდა აღიქვას, როგორც საკუთრივ მიზანი, და არა როგორც გაწევრიანების მიზნის მიღწევის საშუალება.[118]

საქართველომ ყურადღება უნდა გაამახვილოს ღირებულებების მნიშვნელობაზე იმ მიზნით, რომ გერმანელ პარტნიორებთან ტექნოკრატიული პროცესების მახეში არ აღმოჩდეს. ეს რეკომენდაცია გათვალისწინებულია ევროპულ-ქართულ ურთიერთობებში. ევროპული ღირებულებებისა და ორმხრივი ურთიერთობების ხელშეწყობას მეტად უნდა გაესევას ხაზი, ისევე როგორც საქართველოს ევროპულ მომავალს.

საქართველოს მთავრობამ პოზიტიური იმიჯის გაძლიერებას უნდა შეუწყოს ხელი გერმანულ საზოგადოებაში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საქართველომ შესაძლოა დააფინანსოს რეკლამები გერმანულ ტელევიზიებსა და გაზეთებში და ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო აქტივობების გაქტიურებას გერმანულ უნივერსიტეტებში, მათ შორის, საქართველოსთან დაკავშირებული სასწავლო პროგრამები. საქართველომ ასევე აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი ახალგაზრდების გაცვლით პროგრამებს გერმანიასა და საქართველოს შორის სხვადასხვა მიმართულებებით ორ ქვეყანას შორის სოციალური კონტაქტების გასაძლიერებლად და პოლიტიკაზე სტერეოტიპების გავლენის თავიდან ასაცილებლად.

საქართველოს მთავრობამ უნდა მოახდინოს გერმანიასთან დიპლომატიური ურთიერთობების გაღრმავება და დივერსიფიკაცია. ამ

[118] Stober S., "German Foreign Polisy Explained GIP commentary, 2017 http://gip.ge/german-foreign-policy-explained/-უკნასკნელად გადამოწმებულია 18. 07. 2020;

მიზნის მისაღწევად ყველა დონეზე უნდა მოხერხდეს ფინანსური რესურსის გაზრდა და პოლიტიკური და ინსტიტუციონალური რესურსების ინვესტირება. კარგი იქნება, თუ საქართველო შეეცდებაა გერმანიის რამდენიმე ფედერალურ რეგიონთან, რომელსაც გააჩნია საინვესტიციო პოტენციალი (მაგ.: რაინ-ვესტფალია ან ბავარია) ჩამოაყალიბოს მჭიდრო კონტაქტები; ასევე საქართველოს ოფიციალურმა პირებმა უნდა სცადონ გერმანიის წამყვან პოლიტიკურ პარტიებთან კიდევ უფრო მჭიდრო კონტაქტების დამყარება.

მოგეხსენებათ, გერმანიასა და საქართველოს მდიდარი პოლიტიკური და კულტურული კავშირები გააჩნიათ, თუმცა ეს კავშირები არაერთგვაროვანია და კონკრეტულ სიტუაციებზეა მორგებული. საქართველოს მთავრობა ყველანაირად უნდა შეეცადოს სტრატეგიულ დონეზე გერმანიასთან ისეთივე ხარისხის ურთიერთობები ჩამოაყალიბოს, როგორიც აშშ-სთან არსებობს, რადგან ევროპული ინტეგრაციის პროცესებში გერმანიის წამყვანი ადგილი გასათვალისწინებელია. იმედია, რომ ეს პროცესი გერმანიას საქართველოს ევროპული ამბიციების ძლიერ დამცველად და დამაკმაყოფილებლად აქცევს.

საქართველოს მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს თავისუფალ სავაჭრო გარემოსა და გერმანული ინვესტიციების მოზიდვას; მისმა გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ რეგიონში საშუალება უნდა მისცეს ქვეყანას, გადაიქცეს ეკონომიკურ და სავაჭრო ცენტრად, განსაკუთრებით, როდესაც საქმე აზიის მზარდ ბაზართან ევროპის ალტერნატიული ენერგო და სავაჭრო გზებით დაკავშირების შესაძლებლობას ეხება. მნიშვნელოვანია ისეთი წარსული შეცდომების თავიდან აცილება, როგორიც გერმანული ინვესტორებისთვის

ინფრასტრუქტურულ პროექტებში, მაგალითად 2004 წელს თბილისის აეროპორტის მშენებლობაში, მონაწილეობაზე უარის თქმა იყო.

საქართველოს მთავრობა უნდა შეეცადოს, რომ უკრაინასთან ერთად მუდმივად იყოს ევროკავშირის ფორმატში გერმანიასა და რუსეთის შორის გამართული უსაფრთხოებისა და პოლიტიკური დიალოგების დღის წესრიგში. საქართველომ კვლავ უნდა სცადოს გერმანიის, როგორც პატიოსანი მომრიგებლის, ჩართვა რუსეთთან ურთიერთობაში იმ დაშვებით, რომ დასავლეთსა და რუსეთს შორის კონფლიქტი საბოლოოდ დასრულდება ან დაცხრება.

ევროპული ინტეგრაციის მისწრაფებების ფორმატში საქართველოსთვის გერმანია განიხილება, როგორც ევროპის ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანა. გერმანია დიდ როლს თამაშობს მეგობართა ჯგუფის წევრებიდან გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე და ის შეიძლება იყოს საქართველოს ინტერესების ძლიერი დამცველი ევროკავშირის ფარგლებში, რა თქმა უნდა, თუ იგი თანხვედრაში იქნება გერმანიის საგარეო პოლიტიკასთან.

1990-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლისა და გერმანიის გაერთიანების შემდეგ რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის ქონა გერმანიის საგარეო პოლიტიკის მთავარი მახასიათებელი გახდა. პოლიტიკა, რომელიც ცივი ომის დროს დაძაბულობის შესარბილებლად შემუშავდა, აღმოსავლეთ ევროპასთან დღესაც გრძელდება, ოღონდ მოდიფიცირებულია თანამედროვე გამოწვევებთან. უკრაინის კრიზისის შემდეგ რუსეთთან ურთიერთობა ევროკავშირსა და გერმანიას კვლავ დაძაბული აქვს; ამის ფონზე გერმანიის მთავრობა აგრძელებს ხაზგასმას, რომ რუსეთთან, როგორც დიდ სახელმწიფოსა და გაეროს უშიშროების საბჭოს წევრის სტატუსის მქონე ქვეყანასთან, თანამშრომლობა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო კრიზისული ვითარე-

ბების დასაძლევად. გერმანიის თვალთახედვით, ევროპის უსაფრთხოება შესაძლებელია მხოლოდ რუსეთთან ერთად და არა რუსეთის წინააღმდეგ.

როგორც ეს უახლოესმა გამოკითხვებმა ცხადყო, ასეთი მიდგომა გერმანიის საზოგადოებრივ აზრზეც აისახება. გერმანიაში ფიქრობენ, რომ მთავრობამ უფრო ინტენსიურად უნდა ითანამშრომლოს რუსეთთან (69%). გერმანიამ მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული კავშირები განავითარა აღმოსავლეთ მეზობლებთან „აღმოსავლეთ პოლიტიკის“ (Ostpolitik) შედეგად. ამ ურთიერთობამ მოიცვა რუსეთთან ინტეგრირებული კავშირების ჩამოყალიბება მრავალ სექტორში. ასევე, გერმანია პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ცივი ომის დროს რუსეთიდან გაზის იმპორტი დაიწყო და დღემდე მოხმარებელი გაზის მესამედის იმპორტს რუსეთიდან ახდენს. მოგეხსენებათ, რომ დღეს რუსეთის ფედერაციას გარკვეული სანქციები აქვს დაკისრებული დასავლეთის მხრიდან, მაგრამ ამის იუხედავად, გერმანიისთვის სიდიდით მე-13 სავაჭრო პარტნიორია. ამის შედეგად, გერმანიის ურთიერთობები აღმოსავლეთ ევროპულ სახელმწიფოებთან ექსკლუ-ზიურად ორმხრივ ფორმატს არ ეფუძნება და ძირითადად ხორციელ-დება ევროკავშირის ფარგლებში, რომელსაც საგარეო პოლიტიკის მიმართულებით მზარდი პასუხისმგებლობა აქვს აღებული. გერმანია, ტრადიციულად, ამ რეგიონის ევროპულ ინსტიტუტებში მჭიდრო ურთიერთობის გათვალისწინებით ადვოკატირებას ეწევა და მთავარი გამწევი ძალაა ევროკავშირის აღმოსავლეთ პოლიტიკის შემუშავების პროცესში“.

საქართველომ მიიღო ორი ძირითადი ე.წ. „ჯილდო“, ესენია: ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და უვიზო მიმოსვლის რეჟიმით სარგებლობის უფლება, რაც აღმოსავლეთ პარტნიორობის

ფორმატის მეშვეობით გახდა ხელმისაწვდომი. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა: რა უნდა იყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის შემდეგი (რეალისტური და კონკრეტული) მიზანი ევროკავშირთან მიმართებაში?

ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით არსებული ხელისუფლების პირობებში საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის შედეგად მოეწერა ხელი ასოცირების შეთანხმებას (2014 წელი) და 2017 წელს მიიღო შენგენის სივრცეში უვიზო მიმოსვლის სარგებლობის უფლება; ასევე მნიშვნელოვანია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მიღებული ხელშეკრულებები (ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ). საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ფორმატში ეს მოვლენები საკვანძო გახლავთ .[119]

გერმანიას შეუძლია მოგვევლინოს ერთგვარ შუამავლად რუსეთთან მიმართებაში რეგიონალური კონფლიქტების მოგვარების კუთხით „ახალი აღმოსავლეთ პოლიტიკის“ (Neue Ostpolitik) პრინციპის გამოყენებით. მომავალში გერმანია-საქართველოს ურთიერთობების განვითარების დინამიკა სწორედ აღნიშნული ფორმატით წარიმართება.

[119] „რა უნდა იყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის შემდეგი მიზანი ევროკავშირთან მიმართებაში?.“ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ექსპერთა კომენტარი, თბ., 2017;

ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014 წელი.

საქართველო-გერმანიის სამხედრო თანამშრომლობის ასპექტები სამშვიდობო ოპერაციების ფორმატში

საქართველო თუ დააკმაყოფილებს ნატო-ს სტანდარტებს და შეასრულებს ყველა იმ ვალდებულებას, რომელიც ალიანსის წინაშე ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო პროგრამისა და ინტენსიური დიალოგის ფარგლებში გააჩნია, დადებითად იმოქმედებს საქართველოს ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის მხრივ, რაც გამოიწვევს მის გარდაქმნას დემოკრატიულ და ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოდ.

ალიანსის ინტერესებში ამავდროულად შედის რეფორმების წარმატებულად განხორციელების პროცედურა. ამას მოწმობს 90-იანი წლების დასაწყისიდან ნატო-ს მხრიდან საქართველოსადმი გაწეული დახმარებები როგორც სამხედრო, ისე სხვა სფეროებში.

საქართველოს ნატო-ში ინტეგრაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება რეალური და შესაძლებელი, თუ მოხდა ამ ნაბიჯების აუცილებლობის აღიარება საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის მხირდან, ასევე აუცილებელია განხორციელდეს დემოკრატიული ცვლილებები სახელმწიფოს მმართველობის ყველა სფეროში. აქედან გამომდინარე, ალიანსი მზადყოფნას გამოთქვამს, განავითაროს და ითანამშრომლოს თითოეულ პარტნიორ ქვეყანასთან პრობლემების გადაჭრის კუთხითაც.

გეოსტრატეგიული ფაქტორი: რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიისგან თავდაცვისა და მისი ინტერესების დაბალანსების საქმეში (თუნდაც იგივე კავკასიის რეგიონში) ამ მიზნის მისაღწევად უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს საქართველოსთვის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია, კონკრეტულად, ნატო-ს სრულუფლებიანი წევრობა. მეორე მხრივ, საქართველოს ასევე უფრო გაუადვილდება თანამედროვე პერიოდის ისეთ უმთავრეს გამოწვევებსა და საფრთხეებთან განმკლავება, როგორებიცაა: ტერორიზმი, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნოლოგიების უკანონო გადაადგილება, ნარკობიზნესი, ორგანიზებულ დანაშაულებათა ქსელები და საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაცია.

„ცივილიზაციური“ ფაქტორი: ნატო-ს წევრობა გამოიწვევს დასავლურ ღირებულებებთან მყარ, საფუძვლიან ინტეგრირებას, რაც მნიშვნელოვანი იქნება ევროატლანტიკურ სივრცეში სრულად ინტეგრირებისთვის. საქართველოს ჩართულობა ალიანსის საქმიანობაში და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში მონაწილეობა გამოიწვევს

„ევროპელის“ სტატუსის აღქმას ქართულ საზოგადოებაში და ხელს შეუწყობს ევროპულ ოჯახში სრულ დამკვიდრებას. ეს აისახება ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და, შესაბამისად, ცხოვრების დონის ამაღლებაზე. ფაქტობრივად, ნატო გახდება საერთო ევროპულ პროცესებში ჩართვის მეორე ეტაპი (პირველს შეადგენდა საქართველოს გაწევრიანება ევროპის საბჭოში 1999 წელს).

პოლიტიკური ფაქტორი: დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებასა და ადამიანის უფლებების დაცვის საყოველთაო პრინციპების განვითარებას ალიანსში გაწევრიანება შეუწყობს ხელს და გარკვეულ სტიმულებს მისცემს, რათა რეალურად დამკვიდრდეს. მას შემდეგ, რაც დღის წესრიგში დადგა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების საკითხი, საქართველოში გარკვეული მოტივაციური ფონი შეიქმნა საქართველოს ტერიტორიებზე არსებული კონფლიქტების საბოლოოდ მოგვარებასთან დაკავშირებით. ნატო-ში გაწევრიანება, რა თქმა უნდა, ასევე საუკეთესო საშუალება იქნება ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის გარანტიის მისაღებად. უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს გაწევრიანებისთვის აუცილებელი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა. მთლიანობაში, ეს ქართული საზოგადოებისთვის დადებით განწყობას ქმნის ალიანსის მიმართ.

სამხედრო ფაქტორი: მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს თავდაცვის სექტორში ჩატარდა კარდინალური რეფორმები, რამაც გაზარდა საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობები, არ არის საკმარისი დღევანდელი თავდაცვის რესურსები და ბრძოლისუნარიანობა იმ გამოწვევების საპასუხოდ, რომლებიც არსებობს თანამედროვე ეპოქაში და რომლებიც დგას ჩვენი ქვეყნის წინაშე, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე. ეს პრობლემა მთელ მსოფლიოშია აქტუალური. საქართველოს

ისტორიული გამოცდილება მეტყველებს იმაზე, რომ საკუთარი ძალების უკმარისობის გამო მუდმივად ცდილობდა მოეძებნა ძლიერი სამხედრო და პოლიტიკური მოკავშირე, რადგან საქართველოს სამიათასწლოვანი ისტორიის მანძილზე ქვეყანა მუდმივად წარმოადგენდა სხვადასხვა ძლიერი სახელმწიფოს თავდასხმის ობიექტს. საქართველოს არჩევანის გაკეთება უწევდა ცუდსა და უარესს შორის (მაგ.: გეორგიევსკის ტრაქტატი). დღეს ქვეყანას გააჩნია შანსი, გახდეს დემოკრატიული ქვეყნების ალიანსის _ ნატო-ს წევრი, სადაც ყველას აქვს საკუთარი გავლენა, ხმა და ალიანსის თითოეული წევრი საიმედოდაა დაცული სამხედრო აგრესიისგან.

ეკონომიკური ფაქტორები: ნატო იძლევა იმის საშულებასა და გარანტიებს, რომ ეკონომიკური გარემო უსაფრთხოდ და სტაბილურად მიმდინარეობდეს. ყოველივე ეს გამოიწვევს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ამის მაგალითია გასული საუკუნის 50-იან წლებში ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შექმნის იდეა. ვინაიდან ევროპის ქვეყნებს გარანტირებული ჰქონდათ უსაფრთხოება ალიანსის მხრიდან, მათ შექმნეს ორგანიზაცია (ევროკავშირი), რომელიც მიმართული იყო სტაბილური ეკონომიკური განვითარებისკენ. ალიანსმა შეძლო შედარებით ეკონომიკურად ჩამორჩენილი წევრების განვითარება, სწორედ უსაფრთხოების გარანტიებიდან გამომდინარე. საქართველო კიდევ უფრო განიმტკიცებს თავის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. იგი დაზღვეული იქნება საგარეო აგრესიის საფრთხისგან იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა მოახერხებს ეკონომიკურ განვითარებას. ევროკავშირთან თანამშრომლობის განვითარებაზე დიდ როლს შეასრულებს ევროატნალტიკურ სტრუქტურაში ინტეგრაცია, რადგან კავშირს ეცოდინება, რომ მისი წევრი სახელმწიფო ალიანსის წევრიცაა. ეს კი ნიშნავს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტს. რას გამოიწვევს ეს ყველაფერი სააბოლოოდ? საქართველოს ექნება

შესაძლებლობა, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან მიიღოს ინვესტიციების ნაკადი.[120]

გერმანიის მხრიდან შესამჩნევი და ფასდაუდებელია გამოჩენილი პარტნიორული დამოკიდებულება, რადგან საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თანადგომა და დახმარება საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ დონორების მხრიდან. გერმანია ხელს უწყობს საქართველოს მონაწილეობას ნატო-ს მიერ წარმოებულ საერთაშორისო სამშვიდობო მისებში და საქართველოს ეხმარება როგორც მატერიალურად, ისე საგანმანათლებლო კუთხითაც.

ევროპაში უსაფრთხოების ახალი სახის კონფიგურაციის ჩამოყალიბებას გერმანიის გაერთიანებამ და ცივი ომის დასასრულმა შეუწყო ხელი. გერმანია უზრუნველყოფს ნატო-ს ფარგლებს გარეთ ამ ალიანსის ინტერესების დაცვას. ევროპაში ალიანსის უმთავრეს ძალას სწორედ გერმანია წარმოადგენს და მასზეა მორგებული ევროპის უსაფრთხოების კონცეფცია. გერმანიის ნაციონალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შემდეგ მისი შეიარაღებული ძალების გამოყენება პირველად იქნება გამიზნული ეროვნული ტერიტორიის გარეთ სამოქმედოდ. ამავდროულად, ბუნდესვერი უპირატესად მოვლენებზე სწრაფი რეაგირებისთვის იქნება განკუთვნილი.[121]

საქართველომ გამოხატა საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა ტერორიზმთან ბრძოლაში და კოალიციის ძალებთან ერთად ჩართულია მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციებში. ქართულმა ქვედანაყოფებმა 1999 წლიდან მოყოლებული კოალიციური ძალების შემადგენლობაში შეასრულეს მრავალი ამოცანა და დავალება, რომლებიც ოპერაციების ფართო სპექტრს მოიცავდა. ქართული

[120] ჩიტაძე ნ., „ ნატო _ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“. თბ., 2008;

[121] კაციტაძე კ., გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია ევროპაში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2001;

ქვედანაყოფების სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა სათავეს იღებს კოსოვოს რეგიონიდან.

ნატო-ს პირველი სამშვიდობო მისია ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე წარმოებული ოპერაცია იყო, როდესაც 1999 წლის იანვარში კოსოველი ალბანელების წინააღმდეგ სერბულმა საგანგებო დანიშნულების საპოლიციო რაზმმა განახორციელა რაჩაკის ეთნოწმენდა (რაც მოგვიანებით მილოშევიჩისა და სხვა სერბი ლიდერების მიმართ საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ წაყენებული ბრალდებების ერთ-ერთ საფუძვლად იქცა), მაგრამ მოლაპარაკება მაინც შედგა.

ნატო-ს იმჟამინდელი გენერალური მდივანი ხავიერ სოლანა მომრიგებელ მხარედ და გარანტორად გამოვიდა. მოლაპარაკებებს ესწრებოდნენ აშშ-ს, ბრიტანეთისა და რუსეთის წარმომადგენელები და ის საფრანგეთის პრეზიდენტის საზაფხულო რეზიდენციაში, რამბუიეს ციხე-სიმაგრეში მიმდინარეობდა.

მოლაპარაკების პროცესში კოსოველთა პოზიციები თანდათანობით შერბილდა. მათ მოხსნეს დამოუკიდებლობის მოთხოვნა და სერბეთის შემადგენლობაში ავტონომიას დათანხმდნენ, ოღონდ უნდა ჰქონოდათ გაფართოებული და ყოვლისმომცველი სტატუსი. მშვიდობის შესანარჩუნებლად და ომის განუახლებლობისთვის უნდა მომხდარიყო ნატოს-ს ეგიდით სამშვიდობო ძალების (KFOR) განლაგება და კოსოვოს დემილიტარიზაცია. ამ შეთანხმებაზე 1999 წლის 18 მარტს ხელი მოაწერეს აშშ-ს, ბრიტანეთისა და კოსოვოს წარმომადგენლებმა, მაგრამ რუსებმა და სერბებმა ხელმოწერაზე უარი განაცხადეს.[122]

გაერო-ს უშიშროების საბჭოს #1244 რეზოლუციის აღსრულების მიზნით ჩამოყალიბდა პუნქტები, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო: 1) სტაბილურობის შენარჩუნება კოსოვოს რეგიონში; 2)

[122] გვენეტაძე ე., „ საერთაშორისო უშიშროების ასპექტები“. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2017;

მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის უზრუნველყოფა; 3) ჰუმანიტარული ამოცანების განხორციელების საკითხში საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარება; 4) კოსოვოს განვითარებაში წვლილის შეტანა.

პირველი ქართული ოცეული კოსოვოში თურქული კონტინგენტის შემადგენლობაში გაიგზავნა 1999 წელს სოფელ მამუშაში, ხოლო 2003 წელს ქ. პრიზრენში; გერმანულ შემადგენლობასთან ერთად ერთი ქართული ასეული (144 სამხედრო მოსამსახურე) მონაწილეობდა.

პრიზრენში ქართული ასეულის გაგზავნა განპირობებული იყო 2003 წლის 4 თებერვალს ბერლინში „საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის ფედერალურ სამინისტროს შორის კოსოვოში უსაფრთხოების უზრუნველმყოფი საერთაშორისო ძალების (KFOR) ფარგლებში თანამშრომლობისა და მხარდაჭერის შესახებ“ დადებული შეთანხმებით, რომლის მიზანს გერმანული სამხედრო კონტინგენტის შემადგენლობაში ქართული შეიარაღებული ძალების ნაწილების ჩართვის პირობების განსაზღვრა და მხარეთა თანამშრომლობის ცალკეული დეტალების დადგენა წარმოადგენდა.[123]

ქართულმა ქვედანაყოფებმა კოსოვოს საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა 2008 წლის აპრილში დაასრულეს. მათ ძირითად მოვალეობებში შედიოდა: პატრულირება; მოსახლეობასთან ურთიერთობა და დახმარება; სამხედრო ბაზების დაცვა და ნატო-ს სამხედრო ძალებთან ურთიერთქმედების უზრუნველყოფა.

გაერო-ს უშიშროების საბჭომ 2001 წლის 20 დეკემბერს მიიღო რეზოლუცია #1385, რომელიც საერთაშორისო უსაფრთხოების

[123] „შეთანხმება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის ფედერალურ სამინისტროს შორის კოსოვოში უსაფრთხოების უზრუნველმყოფი საერთაშორისო ძალების (KFOR) ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ“. ბერლინი., 2003;

მხარდამჭერის ძალების (ISAF) ფარგლებში ქაბულსა და მის შემოგარენში ქართველი სამხედროების გაგზავნასა და განლაგებას ითვალისწინებდა. მათი მთავარი მისია გახლდათ უსაფრთხო გარემოს შექმნა ავღანეთის მთავრობისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისთვის.

ავღანეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროცესი იწყება 2004 წლიდან, როდესაც მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია და ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები. ავღანეთის არმიისა და უშიშროების ძალების ფორმირება აშშ-სა და ნატო-ს ქვეყნების დახმარებით დაიწყო. თალიბანების შეიარაღებული ნაწილები ქვეყნიდან გაიქცნენ და პაკისტანში გამაგრდნენ.

2004 წლის 23 სექტემბერს ქ. ბერლინში დაიდო შეთანხმება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის „ავღანეთში უსაფრთხოების უზრუნველმყოფი საერთაშორისო ძალების ფარგლებში თანამშრომლობისა და მხარდაჭერის შესახებ“. აღნიშნული შეთანხმების მთავარ მიზანს მხარეებს შორის თანამშრომლობის დეტალების ჩამოეყალიბება და პირობების დაზუსტება წარმოადგენდა, რომლის ფარგლებშიც გერმანულ კონტინგენტთან ერთად ქართული ოცეულიც უნდა ყოფილიყო მხარდაჭერის მიზნით ავღანეთის ტერიტორიაზე მისიის შესასრულებლად.

შეთანხმების თანახმად, ქართული სამხედრო კონტინგენტი გერმანიის სამხედრო კონტინგენტის ოპერატიულ დაქვემდებარებაში იყო და ერთობლივად ახორციელებდნენ უსაფრთხოების ოპერაციებს. ქართული სამხედრო კონტინგენტი ეროვნულ დონეზე ექვემდებარებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ხოლო ტაქტიკური ბრძანებების უფლებამოსილებას გადასცემდა გერმანული სამხედრო კონტინგენტის მეთაური. ქართული სამშვიდობო კონტინგენტის მოქმედების ადგილად განისაზღვრა ქაბული.

პირები, რომლებსაც განათლება მიღებული ექნებოდათ ნატო-ს სასწავლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც ჯარისკაცის საწყისი (ძირითადი) სამხედრო და სპეციალური განათლება გერმანული მხარის დახმარებით ექნებოდათ გავლილი, შეთანხმების მეხუთე მუხლის მიხედვით, პერსონალის ხელმძღვანელ თანამდებობებზე უნდა დანიშნულიყვნენ. ხელმძღვანელების შერჩევა უნდა მომხდარიყო თბილისში გერმანიის თავდაცვის ატაშესთან შეთანხმებით, ხოლო შერჩეული კონტინგენტი მოსამზადებელ სწავლებას გადიოდა გერმანიაში. ქართულმა სამშვიდობო კონტინგენტმა 2014 წელს დაასრულა ISAF-ის ოპერაციაში მონაწილეობა.[124]

მიუხედავად დიდი მოლოდინებისა, საქართველომ 2008 წლის ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე ვერ მიიღო გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP). წინააღმდეგობა, პირველ რიგში, გამოიკვეთა ევროპული სახელმწიფოების, განსაკუთრებით, გერმანიის მხრიდან, ხოლო ამ პროცესს აქტიურად უჭერდა მხარს ბუშის ადმინისტრაცია. გერმანიას ჰქონდა იმედი, რომ დიმიტრი მედვედევის პრეზიდენტობის პირობებში ურთიერთობას უფრო გააღრმავებდა ევროკავშირთან, რაც რუსეთის მოდერნიზაციის შანსს უფრო გაზრდიდა.

ქართული დიპლომატიისა და ხელისუფლების მთავარი ინტერესი მიმართული იყო სამიტზე წევრობის სამოქმედო გეგმის მიღებაზე. თვალსაჩინო გახლდათ ის ფაქტი, რომ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშისა და აშშ-ის მხრიდან არნახულად ძლიერი და ღია მხარდაჭერა ჰქონდა საქართველოს. ბუში ესაუბრებოდა ტელეფონით ევროპული ქვეყნების ლიდერებს და შეძლო კიდეც ყველას დათანხმება, გარდა გერმანიის კანცლერისა. გერმანიის კანცლერის მაშინდელი გადაწყვეტილების

[124] „შეთანხმება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შორის ავღანეთში უსაფრთხოების უზრუნველმყოფი საერთაშორისო ძალების ფარგლებში თანამშრომლობისა და მხარდაჭერის შესახებ“ ბერლინი., 2004;

მთავარ მიზეზად ექსპერტები ასახელებენ მის არცთუ ისე კარგ დამოკიდებულებას საქართველოს იმჟამინდელ პრეზიდენტთან, მაგრამ ეს არ გახლდათ მთავარი მიზეზი. გერმანიას, როგორც სხვა ისტორიულ მომენტებში, ამ პერიოდშიც კარგი ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთან და მის ლიდერთან. ასევე გერმანული ბიზნესი დაინტერესებული იყო ამ ურთიერთობის შენარჩუნებითა და გაღრმავებით, რამაც უდიდესი გავლენა იქონია გადაწყვეტილებაზე. მერკელსაც, ბუნებრივია, უწევდა გერმანული საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება. მაგრამ რა იყო მთავარი მიზეზი ამ შემაფერხებელი გადაწყვეტილების? ევროპელი ლიდერების ნაწილი და გერმანიის კანცლერიც ფიქრობდა, რომ მაპის მინიჭება გამოიწვევდა რუსეთისთვის წითელი ხაზის გადაკვეთას და ეგონათ, რომ რუსეთი ამ გადაწყვეტილებას აუცილებლად აგრესიული ქმედებით უპასუხებდა, დასავლეთში კი რუსეთთან დაპირისპირებისთვის მზად არავინ იყო. ასევე რუსული პროპაგანდისტული „მანქანა“ მუშაობდა იმაზე, რომ ექსპერტთა წრეებსა და პოლიტიკოსთა გაერთიანებებში გაჟღერებული იყო აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ხელისუფლება, მაპის მინიჭების შემთხვევაში, ისარგებლებდა ვითარებით და შეეცდებოდა ტერიტორიული მთლიანობის ძალისმიერი გზებით აღდგენას. იმჟამინდელ ხელისუფლებაში მართლაც იყვნენ ე.წ „ქორები“, მაგრამ MAP-ის მინიჭების შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან პროვოკაციული და გაუთვალისწინებელი ნაბიჯების გადადგმა გამორიცხული იქნებოდა გარკვეული პოლიტიკური მიზეზების გამო.[125]

გერმანია ასევე 2007 წელს მხარს უჭერდა რუსეთსა და ევროკავშირს შორის ვადაგასული ,,პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების“ (The EU-Russia Partnership and Cooperation Agreement)

[125] პეტრიაშვილი ა., „2008-2018 ათი წელი ბუქარესტიდან: „საქართველო გახდება ნატოს წევრი“. საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, თბ., 2018;

განახლების პროცესს. გერმანიის ხელისუფლებისა და ექსპერტების აზრით, საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების ფორსირება ხანგრძლივ პერსპექტივაში დააზარალებდა ევროპულ-რუსულ ურთიერთობებს და ხელს შეუწყობდა დესტაბილიზაციას რუსეთის სამეზობლოში, რაც, პირველ რიგში, თავად გერმანიისთვის იქნებოდა საზიანო. ბუქარესტის სამიტამდე ვლადიმერ პუტინმა დააფიქსირა საკუთარი შეხედულება უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების შემთხვევის ალბათობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ თუ უკრაინა მოახერხებდა ნატო-ში გაწევრიანებას და საქართველოც მიიღებდა MAP-ს, მაშინ პუტინი ამ ყველაფერს მუქარით უპასუხებდა. იგი უკრაინის წინააღმდეგ ატომური იარაღის გამოყენებას არ გამორიცხავდა.

მოვლენების ამგვარი განვითარება ცალსახად საზიანო იქნებოდა გერმანიისთვის, რადგან გერმანიამ ერთგვარი უსაფრთხოების დამცველისა და ხიდის როლი შეითავსა რუსეთსა და ევროკავშირს, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას შორის, რაც ქვეყნის პოლიტიკურ წონასა და ეკონომიკაზე უაღრესად დადებითად აისახა. გერმანიასა და რუსეთს შორის საერთო სავაჭრო ბრუნვამ 2008 წელს დაახლოვებით 60 მილიარდი ევრო შეადგინა და რუსეთში 4600 გერმანული ფირმა იყო წარმოდგენილი. გარდა ამისა, შიდა პოლიტიკურმა პროცესებმა, რომლებიც საქართველოში მიმდინარეობდა, გერმანიას MAP-ის დაბლოკვისთვის საჭირო არგუმენტაცია გაუადვილა, კერძოდ, 2007 წლის ნოემბრის მოვლენებმა, მედიასაშუალებებზე ზეწოლამ და იუსტიციის ინსტრუმენტალიზებამ გერმანულ მხარეს საშუალება მისცა ეთქვა, რომ ნატო-ში გაწევრიანება საქართველოში შიდა პოლიტიკური კრიზისებისა და დემოკრატიის ხარისხის გაუარესების ფონზე ნაადრევი იყო და რომ საქართველოს ჯერ შიდა პრობლემები უნდა მოეგვარებინა.

2008 წლის მარტში უკვე ცნობილი იყო გერმანიის პოზიცია, რომ საქართველოსთვის MAP-ს, ისევე, როგორც ნატო-ს წევრობას ნაადრევად მიიჩნევდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობა მაინც იმედიანად უყურებდა ბუქარესტის სამიტს და სამიტამდე რიტორიკას მიმართავდა იმის შესახებ, რომ საქართველო მალე ნატო-ს წევრი გახდებოდა. 2008 წლის ომმა ურთიერთობებში ბევრი რამ შეცვალა. გერმანია ცდილობდა, რუსეთსა და ევროკავშირს შორის კოოპერაციის ხელშეკრულება აღედგინდა. საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტ-მა გერმანულ გაზეთ Tagessspiegel-თან ინტერვიუში გერმანიის მთავრობა გააკრიტიკა. აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს მთავრობის წევრებმა უკვე ღიად დაადანაშაულეს გერმანია და დასავლეთი იმის გამო, რომ რუსეთს ხელი არ შეუშალეს, MAP-ზე უარის თქმამ კი რუსეთს მწვანე შუქი აუნთო.[126]

ცნობილი პოლიტოლოგი და დიპლომატი რონალდ დ. ასმუსი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გამომწვევ მიზეზებს სავსებით ლოგიკურ შეფასებას აძლევს: „ეს იყო მიმართვა „კოლექტიური დასავლეთისადმი“: საქართველო ჩემია და თქვენ აქ არაფერი გესაქმებათო. ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ რუსეთი _ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით _ საბრძოლველად მზად იყო და სულაც არ აპირებდა საკუთარი საზღვრების სიახლოვეს დასავლური გავლენის ზრდასა და, რაც მთავარია, NATO-ს გაფართოებას შეჰგუებოდა. ამგვარად, ცივი ომის შემდგომ ეს ფაქტობრივად, აღმოსავლეთ-დასავლეთის პირველი შეიარაღებული დაპირისპირებაც გახლდათ“.[127]

---

[126] სარჯველაძე მ., „ საქართველო და გერმანია ევროატლანტიკურ სივრცეში: მოლოდინსა და რეალობას შორის“. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, თბ., 2017; http://gip.ge/ge/საქართველო-და-გერმანია-ე/-უკანასკნელად გადამოწმებულია 18. 07. 2020;

[127] ასმუსი რ-დ., „ მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2010;

ბუქარესტის სამიტმა გარკვეული გავლენა იქონია საზოგადოების განწყობის შესახებ ნატო-სთან ინტეგრაციის კონტექსტში. ასევე, გერმანიის მიმართ დამოკიდებულება საზოგადოებაში ჯერ კიდევ ნეგატიურია, რაც, ზოგადად, ნატო-სთან ინტეგრაციის პროცესისადმი დამოკიდებულებაზეც ნეგატიურად აისახება. ხანგრძლივ პერსპექტივაში გერმანულ-ქართული ურთიერთბები ასევე დააზარალა პოლიტიკური ელიტების მიერ ანტიგერმანულმა რიტორიკამ, რომელიც ბუქარესტის სამიტის შემდეგ გაიზარდა. შიდა ევროპული პროცესების გაუთვალისწინებლობითა და საზოგადოებასთან რეალური მდგომარეობის ამსახველი კომუნიკაციის არქონით შეიქმნა მცდარი მოლოდინები, რაც გერმანიისადმი ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში გარდაისახა.

რადიკალურად იცვლება ყველაფერი მას შემდეგ, რაც რუსეთმა 2014 წელს ყირიმის ანექსია მოახდინა. ამან გამოიწვია ნატო-ს გააქტიურება, რომლის მთავარი ინიციატორი გერმანია გახლდათ. უშუალოდ გერმანიის მხარდაჭერით უელსის სამიტზე საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ფაქტი აღინიშნა.

თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების აღმშენებლობის (Defence and related security Capacity Building Initative, DCB) ინიციატივის ფარგლებში, 2014 წლის ნატო-ს უელსის სამიტზე მიღებულ იქნა „ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი“ (Substantial NATO-Georgia Package, SNGP). პაკეტის მთავარი დანიშნულებაა ნატო-სთან თავსებადობის გაუმჯობესება და ალიანსში გაწევრიანების მზადების პროცესის ხელშეწყობა, რაც გამოიწვევს ქვეყნის თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებას.

ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელების პროცესში, 2019 წლის თებერვლის მონაცემებით, ნატო-ს წევრი 29 და 2 პარტნიორი სახელმწიფოა ჩართული.

Nato Core Team უზრუნველყოფს პაკეტის განხორციელების კორდინაციასა და მონიტორინგს. ამ პროცესში საქართველოში მუდმივარ არიან მოვლინებული გერმანელი, ამერიკელი და რუმინელი ხელმძღვანელები, ხოლო საქართველოს მხრიდან პაკეტის განხორციელების კოორდინაციას საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე და გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე უწევენ. ასევე პაკეტის თითოეულ ინიციატივას ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების ექსპერტებთან ერთად პროექტის კონკრეტული მიმართულებების ლიდერები ახორციელებენ.

2018 წლის დასაწყისში საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის ფარგლებში მოქმედი ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის კოორდინაციისა და მონიტორინგის განყოფილება გადაკეთდა და ჩამოყალიბდა სამმართველოდ, რომლის მთავარი მიზეზი გახლდათ SNGP-ის პაკეტის უფრო ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობა. აღნიშნულმა ცვლილებამ გააძლიერა პაკეტის განხორციელების პროცესი და დამატებით გაზარდა სამუშაო პროცესის ეფექტიანობა. ზემოთ ხსენებული სამმართველო შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან მჭიდროდ თანამშრომლობს და ნატო-ს ექსპერტებთან ყოველდღიური მუშაობით უზრუნველყოფს იმას, რომ არსებითი პაკეტი წარმატებით განხორციელდეს.

ნატო-სა და პარტნიორ ქვეყნებს შორის თავსებადობის ამაღლებასა და ნატო-ს სტანდარტებთან დაახლოებას უზრუნველყოფს „წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი“ (Joint Traning and Evalution Centre _ JTEC). იგი მრავალეროვნულ წვრთნებსა და სწავლებებს ატარებს, რის შედეგადაც საქართველოს თავდაცვის სექტორი ეტაპობრივად პროგრესირებს. აღნიშნული მიზნების მისაღწევად JTEC მჭიდროდ თანამშრომლობს პოლონეთში მდებარე ნატო-ს ერთობლივი ძალისხმევის წვრთნის ცენტრთან (Joint Force Traning Centre _ JFTEC).

საქართველოში 2016 წელს ჩატარდა ნატო-საქართველოს ერთობლივი სამეთაურო-საშტაბო სწავლება (NATO-Georgia Exercise), რომელსაც ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივმა ცენტრმა პირველად უმასპინძლა, სადაც სწავლება მაღალი დონის კომპიუტერული მხარდაჭერით ჩატარდა. სწავლებაში სულ 250 მონაწილე იყო ჩართული, მათ შორის, 11 ნატო-ს წევრი, ხოლო 2 _ პარტნიორი ქვეყნიდან გახლდათ. ამ სწავლებამდე პირველი სწავლება იყო Agile Sporit 2015, რომელიც ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში განხორციელდა. ამ სწავლებებმა ნატო-სთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა გამოიწვია, რის შედეგადაც 2019 წლის მარტში კვლავ ჩატარდა „ნატო-საქართველოს სწავლება 2019“, რომლის ფარგლებში, საქართველო გახლდათ პირველი ნატო-ს არაწევრი სახელმწიფო, რომელსაც ერთობლივი სწავლების ჩატარების მართვისა და ხელმძღვანელის სტატუსი მიენიჭა (Officer Commanding Exercise, Officer Directing Exercise).

ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში ასევე ხაზგასასმელია თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის ჩამოყალიბება (Defence Institution Building Scholl, DIBS). აღმშენებლობის სკოლა ხელს უწყობს პროფესიული განვითარების შესაძლებლობას, თავდაცვისა და უსაფრთხოების ეროვნულ დონეზე ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას, ნატო-ს პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავებას; ამასთან, სკოლა ფუნქციონირებს როგორც საერთაშორისო და რეგიონალურ დონეზე, ასევე ეროვნულ არეალშიც.

ასევე მნიშვნელოვანია ნატო-ს თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების აღმშენებლობის ნდობის ფონდის შექმნა (Defence and Related Security Capacity Building Trust Fund, DCB TF). ნდობის შექმნის ინიციატივაში მონაწილეობს ხუთი ქვეყანა: მოლდოვა, ტუნისი, ერაყი, იორდანია და საქართველო. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში

ალიანსის წევრ და პარტნიორ ქვეყნებს ეძლევათ შესაძლებლობა, ფინანსური მხარდაჭერა გაუწიონ შესაძლებლობების აღმშნებლობის ინიციტივაში მონაწილე სახელმწიფოებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2017 წლის 28-30 მარტს თავდაცვის სამინისტრომ ნატო-ს მხარესთან მჭიდრო თანამშრომლობით ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის სინქრონიზაციის პირველი სამუშაო შეხვედრა (SNGP Synchronization Workshop) გამართა. შეხვედრის მიზანს, თავდაცვის ტრანსფორმაციის პრიორიტეტების გათვალისწინებით, თავდაცვის სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატით გათვალისწინებული ღონისძიებების ჰარმონიზაცია წარმოადგენდა.

საქართველო ნატოსთან თანამშრომლობით ახდენს მიღებული გამოცდილების აქტიურ გააზრებას და ასევე გარკვეული დახმარების მიმღებიცაა. 2018 წელს შედგა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის კონფერენცია, სადაც საქართველოს მიერ ტრანსფორმაციის პროცესში მიღწეულ წარმატებას გაესვა ხაზი. ნატო-ს მხრიდან აღიარებულ იქნა არსებითი პაკეტი, როგორც სამაგალითო მიდგომა თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების აღმშენებლობის ინიციატივის ძალისხმევისთვის.

საქართველოს არსებითი პაკეტის ინიციატივების შემუშავებისა და განხორციელების პროცესის ფარგლებში უკვე გარკვეული შეხედულებები და გამოცდილებები გააჩნია. ნატო-ს მხარდაჭერით ახლა უკვე აქტიურად მიმდინარეობს ექსპერტიზის გაზიარება თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების აღმშენებლობის (DCB) ინიციატივის მიმღებ სხვა ქვეყნებთან (იორდანია, მოლდოვა, ტუნისი და სხვა).

არსებითი პაკეტის განახლების/გადახედვის შესახებ იქნა გადაწყვეტილება მიღებული 2019 წელს, როდესაც საქართველოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში იმყოფებოდნენ ჩრდილოატ-

ლანტიკური საბჭოს (NAC) წევრები. ეს პროცესი დადებითად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან საქართველო გადავიდა ურთიერთობის ახალ პროცედურებსა და ეტაპებზე. პროცესებთან დაკავშრებით ქართული მხრიდან გადაწყვეტილების მიღება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განკარგულების საფუძველზე დაავლა „ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის უწყებათაშორის საბჭოს“, რომლის თავმჯდომარეც საქართველოს თავდაცვის სამინისტრო გახლავთ.[128]

ქვეყნებს შორის თანამშრომლობა განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც საქართველო 2015 წლიდან ჩაერთო ნატო-ს „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ (Resolute Support Mission, RSM).

საქართველო საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების პროცესში აქტიურად მონაწილეობს და მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში საერთაშორისო ოპერაციების წარმატებით განხორციელებაში.

[128] „ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი“ https://mod.gov.ge/ge/page/65/arsebiti-paketi უკანასკნელად გადამოწმებულია 18. 07. 2020;

საქართველო მონაწილეობს საერთაშორისო მისიაში ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში. მისიაში ჩართული არიან თავდაცვის ძალების ქვეითი ასეულები და მისი მხარდამჭერი ელემენტები, რომლებიც დისლოცირებულნი არიან მზარ-ი-შარიფში გერმანულ კონტინგენტთან ერთად, რომელიც პასუხისმგებელია ჩრდილოეთ ავღანეთზე. ქართული ძალების მოვალეობაში შედის როგორც ინსტრუქტორთა და მრჩეველთა დაცვის ამოცანების, ისე სწრაფი რეაგირების ძალების (QRF) შესაბამის ოპერაციულ პროცედურათა შესრულება.[129] Taac Noth სარდლობის პასუხისმგებლობაში შედის ქართული სწრაფი რეაგირების ძალები და პასუხისმგებელია მთლიან არეალზე. ქართული ძალების მეთაურისა და ასეულის დისლოცირების ადგილია ბაზა „კემპ მარმალი“. მიღებული შეთანხმებების შესაბამისად, ლოჯისტიკური ასპექტების კოორდინირებას ახდენენ გერმანული მხარის უფლებამოსილი პირები, ხოლო ქართული ერთეულები რჩებიან ეროვნული სარდლობის მეთაურობის ქვეშ და ქართული კონტინგენტი აგრძელებს ანგარიშგებას საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან.[130]

---

[129] ლამერსი კ., გერმანია მხარს უჭერს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე https://ipress.ge/new/karl-lamersi-germania-mkh/ უკანასკნელად გადამოწმებულია 18. 07. 2020;

[130] შტობერი ს., გერმანიის საგარეო პოლიტიკა და საქართველო, თბ., 2017;

შეხვედრა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში საქართველოში მოვლენილი ძირითადი ჯგუფის წევრებთან, ნატო-ს ექსპერტებსა და ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის წარმომადგენლებთან.

ნატო-საქართველოს სწავლება

ქართული კონტინგენტი წარმოდგენელია ავღანეთში ერთი ქვეითი ასეულით, რომელიც შედგება სამი ოცეულისგან, ერთი ასეულის შტაბისა და მომსახურეების ელემენტებისგან. საერთო რაოდენება წარმოადგენს 140 ადამიანს და მათი მეთაურია შტაბის ოფიცერი (მაიორი ან ვიცე-პოლკოვნიკი).

ავღანეთში გადასროლამდე ქართული კონტინგენტი გერმანიაში, ქ.ჰოჰენფელდში გადის ერთთვიან ამოცანაზე ორიენტირებულ სწავლებას, ხოლო ქართველი სამშვიდობოები ნატო-ს მტკიცე მხარდაჭერის მისიაში როტაციის პრინციპით მონაწილეობენ. 2016 წელს გერმანიის საკონსულოზე განხორციელდა მასარ-ი-შარიფში თალიბანების თავდასხმა, სადაც ქართველმა მებრძოლებმა დიდი დახმარება გაწიეს. მაშინ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ ვალტერ შტაინმაიერმა მადლობა გადაუხადა ქართველ მებრძოლებს.

საქართველოსთვის გერმანია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორია ევროპაში. 2016 წლის უსაფრთხოების დოკუმენტის ტექსტში, გერმანიის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, ხაზგასმულია სტაბილურობის აუცილებლობა ევროატლანტიკური სივრცის მოსაზღვრე რეგიონებში. ასევე ყურადღება გამახვილებულია ინდივიდუალურ პარტნიორობაზე, ასოცირების ხელშეკრულებასა და ვიზალიბერალიზაციაზე. ეს ინსტრუმენტები წარმოადგენს ურთიერთობის მთავარ დასაყრდენს როგორც ევროკავშირთან, ასევე ნატო-სთან.

გერმანია მხარს უჭერს ამ ინსტრუმენტების გამოყენებას, რადგან ხანგრძლივ პერსპექტივაში ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანების პროცესის დაჩქარება შესაძლებელია ამ გზით. ზემოხსენებულ ინსტრუმენტებს შეუძლია დემოკრატიზაციის პროცესის დაჩქარება და სტაბილური გარემოს შექმნა. ასევე მომზადებული უნდა ვიყოთ იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძებელია გაწევრიანების პროცესი დროში გაიწელოს და საზოგადოებასა და პოლიტიკურ ელიტებში უკურეაქცია

გამოიწვიოს. საქართველოსთვის ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ გერმანია კრიზისების მენეჯმენტს, განსაკუთრებით, მოსაზღვრე რეგიონებში, აღიქვამს, როგორც სტაბილურობისთვის საჭირო აუცილებელ ინსტრუმენტს როგორც ნატო-ს, ასევე ევროკავშირის ფარგლებში (საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP). მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ 2016 წლის Weibuch-ის დასკვნაში გერმანიის შორეულ მიზნად სწორედ საერთო ევროპული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებაა ხაზგასმული, რომელიც გამოიწვევს უსაფრთხოებისა და თავდაცვის კავშირის შექმნას.

2017 წლის 26-30 მაისს ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის ფორმატის ფარგლებში თბილისში იმყოფებოდა გერმანიის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კარლ ლამერსი, რომელმაც განაცხადა, რომ „საქართველოში ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის გამართვა უდიდეს მნიშვნელობას ატარებს. ჩვენ საქართველოში მოწვევა 2014 წელს მივიღეთ და დიდი სიამოვნებით დავთანხმდით, რადგან საქართველო ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეისა და ნატო-სთვის მნიშვნელოვან პარტნიორ ქვეყანას წარმოადგენს“.

საქართველოს ნატო-სთან ძალიან მჭიდრო ურთიერთობები აკავშირებს. ავღანეთში სამხედრო ძალის ყველაზე დიდი კონტრიბუტორი საქართველოა (ნატო-ს არაწევრი სახელმწიფოებიდან) და ჩვენ გაძლიერებული შესაძლებლობის პარტნიორობა გვაკავშირებს. კარლ ლამერსმა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის ბოლოს დააფიქსირა საკუთარი შეხედულება საქართველოსა და გერმანიის ურთიერთობაზე: „საქართველოსა და გერმანიის ორმხრივი ურთიერთობები ხაზგასმულად კარგია. სწორედ ამიტომ მოხარული ვართ, რომ აქ ვიმყოფებით, რაც წამოადგენს ჩვენს ძლიერ გზავნილს, რომ გერმანია მხარს უჭერს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე. ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა

პაკეტის შემუშავებაც გერმანიის მხადაჭერით განხორციელდა. ჩვენ ორმხრივად მხარს ვუჭერთ ერთმანეთს და შემიძლია ვთქვა, რომ ყველაფერი კარგად ვითარდება“.[131]

ჰუბერტ ქნირში 2018 წლის 18 სექტემბრიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩია საქართველოში

[131] ლამერსი კ., გერმანია მხარს უჭერს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე https://ipress.ge/new/karl-lamersi-germania-mkh/ უკანასკნელად გადამოწმებულია 18. 07. 2020;

2014 წელს საფუძველი ჩაეყარა საქართველოსა და გერმანიის თავდაცვის სამინისტროებს შორის არსებულ თანამშრომლობას რადიაციული, ქიმიური, ბიოლოგიური და ბირთვული თავდაცვის საკითხებში. გერმანული მხარე გამოირჩევა როგორც მატერიალური, ასევე ტექნიკური დახმარებების სრული პაკეტებით; საქართველოს თავდაცვის ძალებში დაკომპლექტდა და გერმანული ტექნიკით აღიჭურვა ქართული CBRN ასეული. ასევე გერმანელი ექსპერტების მიერ ასეულისათვის შემუშავდა სპეციალური პროგრამა, რომელიც დიდი წარმატებით მიმდინარეობს.[132]

გერმანია დიდი როლს თამაშობს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელების საკითხში, კერძოდ, გერმანია თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის (DIBS) პროექტის ლიდერი და ნატო-ს ძირითადი ჯგუფის (NATO CoreTeam) ხელმძღვანელია. შესაბამისად, ორი წარმომადგენელი SNGP-ის ფარგლებში და ერთი პოლიტიკური ოფიცერი ნატო-ს სამეკავშირეო ოფისში მუდმივად არის მოვლენილი საქართველოში. გერმანული მხარე ასევე ფინანსურადაც ეხმარება საქართველოს და მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლისთვის მან 821 295 ევრო გამოყო, ხოლო ნატო-ს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრისთვის _ 202 198 ევრო. გარდა ამისა, ქართველი სამხედროები ყოველწლიურად ესწრებიან ბუნდესვერის მიერ შემოთავაზებულ სხვადასხვა დონისა და შინაარსის კურსებს სამხედრო განათლების სფეროში თანამშრომლობის ფარგლებში, ხოლო მრავალმა ქართველმა სახედრო მოსამსახურემ გაიარა კურსები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.[133]

---

[132] ძინძიბაძე შ., „საქართველოს თავდაცვის ძალები საერთაშორისო მისიებში“ (სადოქტორო დისერტაცია). თბ., 2020;

[133] ინფორმაცია აღებულია ლინკიდან „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო საქართველოში“ https://tiflis.diplo.de/ge-ka-უკანასკნელად გადამოწმებულია 18. 07. 2020;

მაღალი დონის ვიზიტები ურთიერთობის განვითარებისთვის საუკეთესო საშუალებაა. აქედან გამომდინარე, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ გერმანიის შეიარაღებული ძალების უფროსი წარმომადგენელი, ბრიგადის გენერალი შტეფან გეილენი, რომელიც დაესწრო 2018 წლის 26 მაისს საქართველოს პირველი რესპუბლიკის გამოცხადების 100 წლის იუბილესთან დაკავშრებულ ღონისძიებას. იმავე წლის 30-31 მაისს საქართველოს პირველი ოფიციალური ვიზიტით სტუმრობდა გერმანიის შეიარაღებული ძალების უფროსი, გენერალი ებერჰარდ ცორნი.[134]

საქართველოსა და გერმანიის ურთიერთობის ისტორიაში პირველად 2018 წლის 27 ნოემბერს საქართველოს თავდაცვის მინისტრ ლევან იზორიას გერმანიაში ვიზიტის ფარგლებში გაფორმდა ორმხრივი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროებს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ. შეთანხმების მიხედვით, გერმანია მხარს დაუჭერს ნატო-ს „ღია კარის“ პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებაში და დაეხმარება მას ნატო-ს სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე. შეთანხმებამ ასევე გამოკვეთა ორმხრივი თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები: განათლება (სხვადასხვა კურსები), საინჟინრო, ლოჯისტიკა, სერჟანტ-ინსტრუქტორთა მომზადება, თანამშრომლობა თავდაცვის აკადემიებს შორის, სამედიცინო, ვერიფიკაცია და კიბერუსაფრთხოება.

გერმანიის თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნით 2019 წლის დასაწყისში გერმანიამ საქართველოსთვის 1,5 მილიონი ევრო გამოყო. აღნიშნული დახმარებით საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 4 ერთეული წყალმზიდი და 8 ერთეული კონტეინერმზიდი შეიძინა.

[134] კოდუა ე., „ისტორიის ფილოსოფია.“ გამომცემლობა „მეცნიერება,“ თბ., 1966;

2020 წელს გერმანიის ბუნდესვერმა საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის კვლავ 1,5 მილიონი ევროს ფინანსური კონტრიბუცია შეინარჩუნა. თავდაცვის ძალების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის თანახმად, აღნიშნული გრანტით მოხდება მისაბმელიანი უნაგირა გამწისა (4 ერთეული) და ავტოამწის (2 ერთეული) შეძენა.

საქართველოში განხორციელებულ საერთაშორისო სწავლებებში გერმანელი სამხედრო მოსამსახურეები აქტიურად მონაწილეობენ. „ნატო-საქართველო 2019 წლის სწავლებაში“ ბუნდესვერიის 12 სამხედრო მოსამსახურე იყო ჩართული, ხოლო „ქართულ-ამერიკულ საერთაშორისო სწავლებაში 2019“ გერმანიის თავდაცვის სამინისტროდან მონაწილეობა მიიღო დამკვირვებელთა ჯგუფმა.

საქართველო-გერმანიის ურთიერთობას სამხედრო სფეროში მყარი საფუძველი გააჩნია, მაგრამ აღნიშნული კუთხით ურთიერთობის თანამედროვე დონე მის პოტენციურ შესაძლებლობებს ბევრად ჩამორჩება. ამ მიმართულებით პრიორიტეტულია თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოსთვის და, რაც მთავარია, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი და სასურველია, რეგულარული სახე მიიღოს.

საქართველოსა და გერმანიას შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობისას მიღწეული პროგრესი და დინამიკა შეუქცევადი უნდა გახდეს და კონსტრუქციულად მოიცვას ყველა სფერო, რაც გამოიწვევს პარტნიორული ურთიერთობის ახალ საფეხურზე აყვანას და დამატებით სტიმულს შესძენს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივას. საქართველოს უდიდესი მიღწევები აქვს ევროატლანტიკური ინტეგრაციის თვალსაზრისით და შეიძლება ითქვას, რომ იგი არასოდეს არ ყოფილა ისე ახლოს ევროპულ ოჯახთან, როგორც დღესაა.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია უფრო დაუახლოვდეს გერმანიას, როგორც ევროკავშირის „უმთავრეს ძალას“. ეს ყველაფერი შესაძლებელია, თუ საქართველო-გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური

ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე უფრო მეტ შესაძლებლობებს მოგვცემს, რასაც საქართველოსთვის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით უდიდესი და შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.[135]

[135] რონდელი ა., „პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში“. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 2003.

ბოლოთქმა

მსოფლიოში გერმანიაა ის სახელმწიფო, რომელმაც ევროპის ქვეყნებიდან პირველმა აღიარა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ჯერ 1918 წელს, ხოლო მოგვიანებით _ 1992 წელს და თბილისში საელჩო გახსნა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არცერთ სახელმწიფოსთან არ ჰქონია საქართველოს ისეთი მჭიდრო პოლიტი-კური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობები, როგორც გერმანიასთან. ეს სასიამოვნო ტრადიცია დღესაც წარმატებით გრძელდება და მომავალი სტრატეგიული თანამშრომლობის პერსპექტივებიც საიმედო და ოპტიმისტურია.

გერმანულ საზოგადოებაში ჯერაც დაბალია საქართველოს შესახებ ცოდნისა და ცნობადობის დონე. ჩვენი ქვეყნით უმეტესად ახალგაზრდები ინტერესებიან. გერმანელებს საქართველოზე აქვთ ორი ერთმანეთის საპირისპირო წარმოდგენა: საქართველო ერთგვარ ტურისტულ მიმართულებად ტრანსფორმირდება გერმანიაში და მისი კულტურა და ლიტერატურა ნელ-ნელა პოპულარული ხდება. საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით იყო მიწვეული 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე, რამაც უფრო მეტად გაზარდა საქართველოს შესახებ ინფორმაციის დონე და ინტერესი. მეორე მეინსტრიმული მიდგომა გახლავთ: მედიაში საქართველოს მოქალაქეების შესახებ ჩნდება ცნობები, რომ თავშესაფრის მაძიებელი ქართველები აქტიურად არიან ჩართულნი ქურდობასა და ორგანიზებულ დანაშაულში, ასეთი სცენარი კი საქართველოს მოქალაქეების შესახებ მცდარ წარმოდგენას ქმნის და გერმანიაში მცხოვრები ქართველების იმიჯის შელახვას უწყობს ხელს. 2016 წელს საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის შემოღების

საკითხზე მსჯელობისას ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა, რადგან გერმანიამ და საფრანგეთმა ერთად გადაავადა უვიზო მიმოსვლის დაწყება და შეჩერების მექანიზმის შემოღებას დაუჭირა მხარი. 2018 წლის დასაწყისში მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა საქართველოდან თავშესაფრის მაძებელთა რიცხვის სწრაფი ზრდა, რასაც აქტიურად მოჰყვა გერმანელი პოლიტიკოსების მხრიდან მოწოდებები, რომ საქართველო უსაფრთხო ქვეყნად გამოცხადებულიყო და დაწყებულიყო მსჯელობა უვიზო მიმოსვლის შეჩერების საკითხზე. საქართველოს სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით გერმანიის ბუნდესტაგში მიიღეს კანონი, მაგრამ ამ ეტაპზე კანონი ბუნდესრატშია შეჩერებული, მწვანეთა და მემარცხენეთა პარტიების წინაღმდეგობის გამო ვერ ხერხდება მისი რატიფიკაცია.

გერმანიაში საქართველოს საკითხზე მომუშავე ექსპერტები საქართველოს აღიქვამენ, როგორც ძალიან ამბიციურ პარტნიორს. საქართველოს მიმართ ზოგადად გერმანიას და დასავლეთის ქვეყნებს მაღალი მოლოდინები გააჩნიათ. საქარველოს ხელისუფლებამ და საზოგადოებამ დაამტკიცეს ურყევი და მტკიცე პროდასავლური ორიენტაცია, რაც გერმანიაში გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის უყურადღებოდ არ დარჩენილა. საქართველო განიხილება, როგორც მჭიდრო და საიმედო პარტნიორი საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის მხრივ და მასში შეტანილი წვლილის გამო. გერმანიაში ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ საქართველოს მკაცრ გეოპოლიტიკურ პირობებში უწევს თავის დამკვიდრება, რადგან გეოგრაფიულად ესაზღვრება და ახლოსაა დიდ სახელმწიფოებთან და მათი ინტერესების გადაკვეთის წერტილში მდებარეობს. ასევე გერმანელებისთვის ცნობილია საქართველოს წინაშე მდგარი მრავალმხრივი გამოწვევები.

საქართველოსათვის მისაღები მოლოდინები და ამბიციები ზოგჯერ პარტნიორებისთვის გადამეტებულია, რადგან ყოველთვის არ არსებობს მათი შესრულების შესაძლებლობა. საქართველომ არ უნდა დატოვოს უყურადღებოდ მოზომილი ნაბიჯები, რადგან გერმანელი ექსპერტები და ოფიციალური პირები აღნიშნავენ, რომ რეფორმების პროცესში სწორედ ასეთი მიდგომებია აუცილებელი. უნდა მოხდეს მოთხოვნების ეფექტური იმპლემენტაცია, რადგან ზოგჯერ უფრო მეტი ინტერესია მიმართული მოთხოვნების ზედაპირულ შესრულებაზე. ევროკავშირის წევრობის პერსპექტივის წინაპირობას წარმოადგენს შორეულ მომავალში ყველა რეფორმისა და მოთხოვნის მდგრადი იმპლემენტაცია. აქედან გამომდინარე, ყველა ეტაპზე საქართველო მიიღებს „მეტს მეტის ნაცვლად“. მოსკოვსა და თბილისს შორის არსებული დაძაბულობა მოქმედებსგერმანიის პერსპექტივაზე საქართველოსთან დაკავშირებით. ევროკავშირისა და რუსეთის პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე გერმანია რუსეთთან მუდმივ პრაგმატულ დიალოგს მართავს, ამიტომ ზოგიერთი გერმანელი პოლიტიკოსი საქართველოს დამოკიდებულებას რუსეთთან მიმართებით ხანდახან ზედმეტად კონფრონტაციულად აღიქვამს და ნაკლებად კონფრონტაციულ მიდგომას მიესალმება.

საქართველომ უნდა შეინარჩუნოს პროდასავლური ორიენტაცია და არ დაიშუროს ძალისხმევა, რათა უზრუნველყოფილ იქნას ასოცირების შესახებ შეთანხმების მდგრადი იმპლემენტაცია და დაცული იყოს დემოკრატიული ღირებულებები. სწორედ ასეთი მოლოდინები გააჩნია გერმანიის მთავრობას საქართველოსთან მიმართებით. ცნობილია ისიც, რომ გერმანია ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციას ორ სხვადასხვა პროცესად აღიქვამს. გერმანული პოლიტიკური ელიტისა და გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის

სასურველი იქნება, რომ საქართველომ ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანებაზე, როგორც საბოლოო მიზანზე, ფოკუსირების ნაცვლად აღიაროს ის მიღწეული შედეგები, რასაც ინტეგრაციის შესაძლებლობები იძლევა. საქართველოს საზოგადოებამ და მთავრობამ უნდა გააცნობიეროს ის მოცემულობა, რომ რეფორმების პროცესი უნდა აღიქვას, როგორც საკუთრივ მიზანი, და არა, როგორც გაწევრიანების მიზნის მიღწევის საშუალება. პოლიტიკური ურთიერთობების ხარისხის შეფასებისას გერმანელი რესპონდენტები ურთიერთობებს აფასებენ, როგორც პოზიტიურს, მჭიდროსა და ინტენსიურს.

გამოცდილი დიპლომატის, საქართველოში გერმანიის ელჩის, ბატონ ჰუბერტ ქნირშის აზრით, „საქართველოსა და გერმანიას შორის თანამშრომლობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ახლა მნიშვნელოვანია ამ თანამშრომლობის სამომავლო პოტენციალი გამოვიყენოთ“.

ისტორიის ფილოსოფიის წრებრუნვის თეორიის მიხედვით, ხშირად ხდება მოვლენების „განმეორადობა“ სახეცვლილი ფორმით. მართლაც, თუ შევადარებთ რეგიონში დღეს არსებულ გეოპოლიტიკურ სიტუაციას გასული საუკუნის 20-იან წლებში არსებულ ვითარებას, შეიძლება ითქვას, რომ ანალოგიები თვალსაჩინოა. მოვლენების განვითარების ლოგიკიდან გამომდინარე, საქართველოსთვის აუცილებელია ძლიერი სტრატეგიული მოკავშირე ევროპაში და თუ გავითვალისწინებთ გერმანულ-რუსულ პარტნიორულ ურთიერთობებს, უფრო საიმედო მოკავშირედ გერმანია უნდა ჩაითვალოს.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული „სამომავლო პოტენციალის“ გამოყენება აუცილებელია საქართველო-რუსეთის გართულებული ურთიერთობების განმუხტვის ასპექტში გერმანიის, როგორც შუამავლად ჩართვის კუთხით. ჩვენი მოსაზრების მართებულობას გერმანია-

რუსეთის დღევანდელი სტრატეგიული ურთიერთობების ანალიზიც ადასტურებს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში გერმანია-რუსეთის ურთიერთობები არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული ინტენსივობით, რადგან ორივე სახელმწიფო ცდილობდა „დაეხურა“ საბჭოთა წარსულის სამარცხვინო ისტორიის ფურცელი. პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობამ ორივე ქვეყნისაგან მოითხოვა, გულდასმით გადაეხედათ თავიანთი ურთიერთობებისთვის და საერთაშორისო საქმეებში, განსაკუთრებით, ეკონომიკის სფეროში, ყოფილიყვნენ სტრატეგიული პარტნიორები.

რუსეთის 2008 წლის „საგარეო პოლიტიკის კონცეფციის“ №IV განყოფილების _ „რეგიონალური პრიორიტეტები“ _ მიხედვით, გერმანია ევროპის ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა. გერმანიაც, თავის მხრივ, თვლის რუსეთს სტრატეგიულ პარტნიორად, თუმცა ხაზს უსვამს რუსეთში სამოქალაქო საზოგადოების განუვითარებლობასა და სახელმწიფოს მართვის არადემოკრატიულ ხასიათს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გერმანია და რუსეთი დეკლარაციული ფორმით აცხადებენ საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის აუცილებლობის შესახებ სხვადასხვა მიმართულებით. ამისათვის შექმნილია ორმხრივი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, რომელიც ეფუძნება 1990 წლის 9 ნოემბრის „შეთანხმებას კეთილმეზობლობის, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“, 1992 წლის 16 დეკემბრის „შეთანხმებას კულტურული თანამშრომლობის შესახებ“, 1994 წლის 24 ივნისის „შეთანხმებას რუსული და გერმანული ენების შესწავლის შესახებ“, 2009 წლის 16 ივლისის „შეთანხმებას სამეცნიერო ტექნიკურ სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ და სხვა. გარდა ამისა, აღსანიშნავია ყოველწლიური სამთავრობათაშორისო შეხვედრები.

შექმნილია სპეციალური ორგანოები იმ მიზნების რეალიზაციისთვის, რომლებიც დაფიქსირებულია მიღებულ შეთანხმებებში. შეთანხმებები გერმანიასა და რუსეთს შორის მოიცავს ცალკეული მიმართულებებისა და პრიორიტეტების ფართო სპექტრს.

გერმანია-რუსეთის ურთიერთობებში თანამედროვე სიტუაციაში მნიშვნელოვანი პრიორიტეტებიდან უმთავრესი ეკონომიკური ხასიათის თანამშრომლობას ენიჭება. ამ მიზნით შექმნილია სპეციალური ინსტიტუტი, რომლის მეშვეობითაც სავაჭრო-ეკონომიკური ხასიათის თანამშრომლობის კოორდინირება ხდება.

ინსტიტუტთან მოქმედებს: სტრატეგიული თანამშრომლობის ჯგუფი ეკონომიკისა და ფინანსების სფეროში მუდმივად მოქმედი ორგანოს სტატუსით, რუსულ-გერმანული საგარეო ვაჭრობის პალატა, რომელიც იცავს როგორც რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედ გერმანულ კომპანიებს, ასევე პირიქით, გერმანიის ტერიტორიაზე მოქმედი რუსული კომპანიის ინტერესებს, და რუსულ-გერმანული კოოპერაციული საბჭო, რომელიც არეგულირებს ქვეყნების ბიზნესსტრუქტურების სინქრონულ მუშაობას. გერმანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულება _ 10 მილიარდი ევრო _ ევროპის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით გაცილებით დიდია.

2008 წელს ხელი მოეწერა ჩარჩო-ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს ენერგეტიკის, სამრეწველო, ნედლეულის გადამუშავების, სოციალური და სამართლებრივი სფეროების მოდერნიზებას. სწორედ ეკონომიკურ სფეროში მჭიდრო თანამშრომლობამ შექმნა ნაყოფიერი ნიადაგი პოლიტიკური თანამშრომლობის მეტი ეფექტურობისთვის. თამად შეიძლება ითქვას, რომ ორმხრივმა ეკონომიკურმა ინტერესებმა პოლიტიკურ თანამშრომლობაზეც დადებითად იმოქმედა. ამის ნათელ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს გერმანიის პოზიციის

გამოხატვა რუსეთის მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე „ჩრდილოეთ ნაკადთან“ დაკავშირებით, გაზსადენზე, რომლის მეშვეობითაც ბალტიის ზღვის გავლით მოხდება გერმანიის უზრუნველყოფა და ფაქტობრივად, აღნიშნული პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში, გერმანია გახდება ენერგორესურსების ჰაბი ევროპის მასშტაბით. თავისი ევროპელი მოკავშირეების, განსაკუთრებით, ესტონეთის მხრიდან გამოჩენილი დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, გერმანიის მხარე დადებითად შეხვდა რუსეთის მიერ შეთავაზებულ იდეას.

ეკონომიკის სფეროში ამგვარი მზარდი და პერსპექტიული თანამშრომლობა იმის წინაპირობაა, რომ ქვეყნის მიერ გატარებული საგარეო პოლიტიკა საერთაშორისო ასპარეზზე წინააღმდეგობაში არ მოვა _ ორივე სახელმწიფოს სჭირდება სტრატეგიული პარტნიორი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მხარს დაუჭერს, ან, სულ მცირე, ხელს არ შეუშლის პარტნიორს საერთაშორისო რეზონანსის მქონე პოლიტიკური საკითხის გადაჭრაში.

გარდა ამისა, რუსეთი გერმანიისთვის მომგებიან ბაზარს წარმოადგენს, უმდიდრეს ქვეყანას ენერგორესურსების ფლობის მხრივაც და რადგან თანამედროვე ეკონომიკა წარმოუდგენელია ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ცალკეული ქვეყნების სამეცნიერო წრეების კოოპერირების გარეშე, აღნიშნულ სფეროებშიც ურთიერ-თობები მაღალ დონეზე ვითარდება.

სწორედ მეცნიერებისა და ინოვაციების სფეროები წარმოადგენს ურთიერთობებში ახალი მიმართულების სტიმულატორს, რომელსაც პირობითად შეიძლება კულტურულ-ჰუმანიტარული ვუწოდოთ. აღნიშნული კუთხით ნათელი ხდება, რომ კულტურულ-ჰუმანიტარული სფერო წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს ორ ქვეყანას შორის. ორივე ქვეყნის პოლიტიკური წრეები დიდ ადგილს უთმობენ

აღნიშნული მიმართულებით თანამშრომლობის გაფართოებასა და გაძლიერებას როგორც ინსტიტუციონალურ, ისე პირადი ინიციატივის კუთხით.

ძალიან საჭირო ადგილი უჭირავს კულტურულ-ჰუმანიტარულ ურთიერთობებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო თანამშრომლობის გაღრმავებას. გერმანიისა და რუსეთის ჩართვა ბოლონიის პროცესში და გადასვლა სამსაფეხურიანი განათლების სისტემაზე ერთობლივი სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროექტების, აგრეთვე გერმანული ენისა რუსეთში და რუსული ენისა გერმანიაში, განამტკიცებს და ავითარებს კულტურულ ურთიერთობებს რუს და გერმანელ სპეციალისტებს შორის. აღნიშნული ფაქტორი პოზიტიურ როლს თამაშობს, რადგან პრობლემისადმი საერთო ხედვა ხელს უწყობს ოპტიმალური გადაჭრის გზების ძიებას. ძირითად დოკუმენტს აღნიშნულ სფეროში წარმოადგენს 1992 წლის 16 დეკემბრის „ხელშეკრულება კულტურის დარგში“ და 2009 წლის 16 ივნისის „ხელშეკრულება სამეცნიერო-ტექნიკურ დარგში“. შესაბამის თანამიმდევრობას თუ გავითვალისწინებთ (ეკონომიკა პირველ ადგილზე, პოლიტიკა _ მეორეზე და კულტურულ-ჰუმანიტარული _ მესამეზე) რუსეთ-გერმანიის ურთიერთობებში, ნათელი გახდება, რომ ეკონომიურ თანამშრომლობას ახლო და შორეულ პერსპექტივაში პირველხარისხოვანი როლი ენიჭება. ეს ტენდენცია განპირობებულია ორი ქვეყნის ისტორიული ტრადიციებითა და საერთო ინტერესებით. თანამედროვე საერთაშორისო ვითარების არასტაბილურობამ შესაძლებელია გერმანია-რუსეთის სტრატეგიულ თანამშრომლობაში შეიტანოს გარკვეული კორექტივები პოლიტიკური კუთხით, მაგრამ ეკონომიურ ინტერესებსა და მზარდ კულტურულ-ჰუმანიტარულ კავშირებს იმდენად დიდი ზეგავლენა გააჩნია, რომ თვით პოლიტიკურ გართულებებსაც არ

მისცემს საფუძველს, ორი ქვეყნის სტრატეგიული თანამშრომლობა ეჭვქვეშ დააყენოს.

2020 წლის ოქტომბრის დასაწყისში გერმანიის ბუნდესტაგში შვიდი წამყვანი დეპუტატის მიერ შეიქმნა საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობის მუდმივმოქმედი კომისია, რაც საქართველო-გერმანიის პარტნიორული ურთიერთობებიდან თანამშრომლობის უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლის დასაწყისს მოასწავებს.

როდესაც პატარა ქვეყანას არ ჰყოფნის საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური შესაძლებლობები საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველ-ყოფისთვის, საგარეო პოლიტიკის გატარებისას არჩევანი გააჩნიათ და შეუძლიათ ნაციონალურ გადაწყვეტილებებს დაუქვემდებარონ. თუ გავითვალისწინებთ გერმანიის პოლიტიკურ წონას, გავლენასა და ავტორიტეტს საერთაშორისო ურთიერთობებში, როგორც ერთი საუკუნის წინ „გერმანია გახდა ჩვენი დამოუკიდებლობის მიმრქმელი“, ასევე გახდეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვის გარანტი.

მერკელის ერა დასრულდა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გერმანიის ახალი ხელმძღვანელობა საგარეო პოლიტიკის („აღმოსავლეთ პოლიტიკა“) ფარგლებში ახალ ღირებულებების დანერგავს, რაც საერთო ჯამში ევროკავშირის გაფართოების გზაზე მოხსნის ჯერ კიდევ არსებულ ცალკეულ ბარიერებს. გერმანელი პოლიტიკოსების ომის შემდგომი თაობა, რომელსაც განსხვავებული დოზით, მაგრამ მაინც ჩამოუყალიბდა პასუხისმგებლობის გრძნობა გერმანიის მიერ მეორე მსოფლიო ომის გაჩაღების გამო, თაობა, რომელმაც გამოიარა ცივი ომის და დაპირისპირებულ ბლოკებს შორის არსებული დაძაბულობის პერიოდი, ნელ-ნელა მიდის გერმანიის საგარეო პოლიტიკის ავანსცენიდან.

პოლიტიკოსების ახალი თაობა, რომელიც ამ ეტაპზე იმკვიდრებს თავს გერმანიის საგარეო პოლიტიკაში, სრულიად განსხვავებული შეხედულებით გამოირჩევა. მათთვის „აღმოსავლეთ პოლიტიკა“ აღარ წარმოადგენს დიალოგის, კომპრომისისა და ურთიერთგაგების მიღწევის იარაღს. სამწუხაროდ, თვალშისაცემია გერმანიის პოლიტიკური ელიტის პროფესიონალიზმის მკვეთრად დაცემა. შემცირდა პოტენციური ლიდერების რაოდენობა და ანგელა მერკელის უალტერნატივობა მთელი 16 წლის განმავლობაში ამის უდავო დასტურია.

პოლიტიკაში იდეოლოგიის გაბატონებამ ნოყიერი ნიადაგი შექმნა ისეთი პოლიტიკოსების საჭიროებისა, როგორიცაა პოლიტიკოსი-მენეჯერი. პოლიტიკოსის ასეთ ტიპს ერთი დამახასიათებელი თვისება გააჩნია _ ის არ ქმნის ახალ საგარეო პოლიტიკურ თეორიებს, მაგრამ კარგად მართავს პროცესს „გამზადებული“ ფორმულებით. პრობლემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პოლიტიკურმა ელიტებმა დაკარგეს ყოველგვარი მექანიზმი საერთაშორისო პოლიტიკაში ახალი მსოფლმხედველობრივი მიმართულებების შექმნის მიზნით. დიდი ხნით აღნიშნული ვითარება ვერ გაგრძელდება. პოლიტიკური ლიდერის მოთხოვნილება, რომელმაც უნდა შეუნარჩუნოს ქვეყანას მსოფლიოს მასშტაბით მთავარი აქტორის სტატუსი, აუცილებლად გაჩნდება გერმანიის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში.

გერმანიაში პოლიტიკური ელიტების ცვლას არასოდეს მოუხდენია გავლენა გერმანიის საგარეო პოლიტიკის აღმოსავლეთის მიმართულებაზე, არ ყოფილა მისი კორექტირების მცდელობა, აღნიშნული კუთხით არ დარღვეულა პოლიტიკური თანმიმდევრულობა. გერმანია იყო ევროკავშირის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც პოსტბიპოლარული სამყაროს ვითარებაში ცდილობდა „გაადვილებულიყო“ რუსეთისათვის

საერთაშორისო ასპარეზზე პოლიტიკური ადაპტაცია აღმოსავლეთ-დასავლეთის გლობალური დაპირისპირების დასრულების შემდეგ.

მიუხედავად გერმანიის ხელისუფლების გარკვეული მცდელობისა, არა თუ ადაპტაცია არ მოხდა, არამედ სახეზე იყო დემოკრატიული ფასეულობების აბსოლუტური ნიველირება რუსეთის მხრიდან.

ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის პირველი ნიშნები გამოჩნდა 2007 წლის 10 თებერვალს მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე ვ. პუტინის მოხსენების შემდეგ, როდესაც „მოძლიერებულმა“ რუსეთმა დაუფარავად გააკეთა განაცხადი საერთაშორისო ურთიერთობებში შექმნილი პრობლემატიკის გადასაჭრელად ძალისმიერი მეთოდების გამოყენების შესახებ და 2008 წლის აგვისტოში, როდესაც ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ საკუთარი მოქალაქეების დაცვის საბაბით ღია და დაუფარავი აგრესია განახორციელა, რასაც მოგვიანებით საქართველოს სეპარატისტული რეგიონების _ „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარებაც მიაყოლა. 2011 წლის 3 ოქტომბრის გაზეთ „იზვესტიაში“ პუტინის მიერ გამოქვეყნებულ წერილს პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის ექსპანსიური პოლიტიკის გატარების შესახებ საბჭოთა მოდერნიზებული იმპერიის აღდგენის მიზნით გერმანიაში მწვავე გამოხმაურება მოჰყვა.

უკრაინის კრიზისმა, განსაკუთრებით კი ყირიმის ანექსიამ 2014 წელს რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის არნახული კონსოლიდაცია გამოიწვია. დასავლეთის მტკიცებით, ყირიმთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევას, კერძოდ: გაეროს წესდების, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის 1975 წლის საბოლოო აქტის, 1990 წლის პარიზის ქარტიის „ახალი ევროპისათვის“ და 1994 წლის ატომური იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ბუდაპეშტის მემორანდუმის,

რომელიც შეიცავს მუხლებს, რომლებიც კიევს მისი სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების გარანტიებს აძლევს. გერმანია საბოლოოდ დარწმუნდა, რომ როდესაც საქმე გლობალურ უსაფრთხოებას ეხება, რუსეთისათვის არ არსებობს შემაკავებელი ფაქტორები. მიუხედავად ზემოთქმულისა, ეკონომიური და ენერგეტიკული ინტერესები უმთავრეს როლს თამაშობს ბერლინ-მოსკოვის ურთიერთობების ღერძის ფუნქციონირების პერსპექტივაში. მიუხედავად რუსეთის აგრესიული პოლიტიკისა, უდიდესი გერმანული ფირმები „ბასფი“, „სიმენსი“, „ფოლკსვაგენი“, „ადიდასი“ და „დოიჩე ბანკი“ რუსეთისადმი სანქციების დაწესების წინააღმდეგ გამოდიან.

საქართველოს ხელისუფლებას შესაბამისი საგარეო პოლიტიკის გატარება დასჭირდება, რათა ქართულ-გერმანული ურთიერთობები წარმატებით გაგრძელდეს და სტრატეგიული თანამშრომლობის სახე მიიღოს, რაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და მისი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის უმთავრესი გარანტი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მანჯგალაძე გ., "გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში." გამომცემლობა „მეცნიერება." თბ., 1974;
2. ბურჭულაძე გ., "გერმანელთა ახალშენები ამიერკავკასიაში". გამომცემლობა „მეცნიერება", თბ., 1911;
3. Никифоров Н., Экономический быт немецких колонистов в Закавказском крае. материаль для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края Т. I. М., 1985;
4. სონღულაშვილი ა., "ეროვნულ უმცირესობათა კულტურა საქართველოში". გამომცემლობა „უნივერსალი", თბ., 2002;
5. ბრეგაძე ლ., არტურ ლაისტის გაზეთი და საქართველო. „კრიტიკა" №3, თბ., 1975;
6. Басихин П., „Немецкие колонии на Кавказе." „Кавказский вестник", Москва., 1900;
7. სონღულაშვილი ა., "გერმანელები საქართველოში". გამომცემლობა „უნივერსალი", თბ., 1985;
8. მანჯგალაძე გ., "გერმანული კაპიტალი ამიერკავკასიაში". გამომცემლობა „მეცნიერება", თბ., 1991;
9. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული აღწერის შედეგები. უკანასკნელად გადამოწმებულია 18. 07. 2020;
10. შპრინგჰორნი დ., "გერმანელები საქართველოში". თბილისის გოეთეს ინსტიტუტი, თბილისი., 2004;

11. Аугст Г., (Президент Ассоциации немцев Грузии „Айнунг“) конференция /история и реалии этнических общин Грузии/ ((9.11.2001), 2003;

12. O Flynn K, Etnic Germans Cut Adrift in Abkazia, The Moskow Times, February 22, 2007, [http://www.tlemoscowtimes.Com/stories/ 2007/02/22/003/ html. უკანასკნელად გადამოწმებულია 18.07. 2020;

13. სონღულაშვილი ა., "საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს უმცირესობები". გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2018;

14. ჩოჩია ვ., „ბისმარკი და გერმანიის პრობლემა (1862-1882)“. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი., 1978;

15. გაზეთი „კვალი“, 1894 წ. №12;

16. გაზეთი „დროება“, 1884 წ. №270;

17. გაზეთი „კვალი“, 1898 წ. №8;

18. გაზეთი „კვალი“, 1898 წ. №16;

19. გაზეთი „კვალი“, 1898 წ. №131;

20. გაზეთი „ივერია“, 1899 წ. №260;

21. გაზეთი „მოამბე“, 1904 წ. №6;

22. ჩოჩია ვ., „გერმანია 1904-1914“. გამომცემლობა „უნივერსალი“ თბ., 2008;

23. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1918 წ. 28 ივნისი;

24. ჯანელიძე ო., „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები“. თბ., 2018;

25. ასტამაძე გ., „ქართულ გერმანული ურთიერთობები 1918-1921 წლებში“ http://german-georgian.archive.ge/ka/blog/5, _ უკანასკნელად გადამოწმებულია 18, 07, 2020;

26. ასტამაძე გ., „შულენბურგი და საქართველო 1911-1921წ“ http://german-georgian.archive.ge/ka/blog/36, _ უკანასკნელად გადამოწმებულია 18. 07, 2020;

27. შუბითიძე ვ., „ნიკო ნიკოლაძე-კაცი სახელმიფო“. თბ., 2017;

28. დღვილავა მ., „საქართველო-გერმანიის ურთიერთობათა ისტორიიდან“. თბ., 1996

29. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ს. შანშიაშვილის ფონდი, საქ. #5558-ხ.

30. ავალიანი ლ., „კონსტანტინე გამსახურდია კენიგსბერგში“. „ქართული მწერლობა“, 1990;

31. ავალიშვილი ზ., “საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში.” თბ., 1925;

32. ჯანელიძე ო., „დახვრეტილი თავისუფლება.” თბ., 2000;

33. პაიჭაძე დ.,“ გერმანია-საქართველოს არშემდგარი დოკუმენტი.“ „ცისკარი“, 2000;

34. გაზთი „საქართველო“, 1918 წ. 26 ივლისი;

35. ბარონი ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი., “ჩემი მისია კავკასიაში“. გერმანულიდან თარგმნა, ისტორიული ნარკვევი და კომენტარები დაურთო ნოდარ მუშკუდიანმა, ქუთაისი., 2002;

36. Пипия Г., „Германский империализм в Закавказье в 1910-1918 гг“. М., 1978;

37. დღვილავა დ., „საქართველო-გერმანიის ურთიერთობა 1918-1921 წ.წ.“ (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1997;

38. Агасиев И. К., “Прогерманская политика Грузии в 1918 году: социально-экономи¬ческие и политические последствия”. Вестник Северо-Осетинского государственного университета имени Коста

Левановича Хетагурова, 2010 http://elibrary.ru/query_results.asp, უკანასკნელად გადამოწმებულია 18, 07,2020;

39. გაზეთი „ერთობა“, 1918 წ. 25 სექტემბერი;
40. გაზეთი. „საქართველოს რესპუბლიკა,“ 1918 წ. 3 ოქტომბერი;
41. გაზ, „სალი კლდე“, 1918 წ. 27 აგვისტო;
42. გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ. 26 ოქტომბერი;
43. გაზ. „Борьба“, 1918 წ., 27 ოქტომბერი;
44. გაზ. „საქართველო“, 1918 წ. 29 ოქტომბერი;
45. საქართველოს პარლამენტი, 1918 26 ოქტომბრის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში;
46. გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 1 დეკემბერი;
47. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, ანაწ.1, საქ.#72;
48. ჟორდანია ნ., „ჩემი წარსული“ თბ., 1990;
49. პატარა წიგნი თანამედროვე საქართველოზე. თბ., 1920;
50. გაზ, „Борьба“, 1918 წ., 3 ნოემბერი;
51. ქაზემზადე ფ., „ბრძოლა ამიერკავკასიისათვის 1917-1921“ თბ., 2016;
52. ათანელაშვილი ა., „სისხლიანი გაკვეთილები“. თბ., 1999;
53. ჯავახიშვილი ნ., „ქართული ფალერისტიკა.“ თბ., 1995;
54. ჟურნ. „ქართველი ერი“, 1944, მაისი, # 8/9, გვ. 4-5
55. კანდელაკი კ., „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“. წგნ. მეორე, პარიზი, 1960;
56. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1919 წ. 5 ივლისი;

57. გაზეთი „საქართველოს გუშაგი“, 1919 წ. 20 ივლისი;

58. მიეძღვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას, (მესამე სამეცნიერო კონფერენცია), გამომცემლობა „ლომისი“, თბ; 1999;

59. დაუშვილი რ., უტიაშვილი შ., „საქართველო _ დასავლეთი ნარკვევები სამხედრო ურთიერთობათა ისტორიიდან“. გამომცემლობა „გრიფონი“, თბ., 2012;

60. გაბლიანი გ., „ჩემი მოგონებები II“. გამომცემლობა „ლომისი“, თბ., 2000;

61. Архиви германии часть 2-я народы кавказа http://chechenews.com/немецкая-политика-на-северном-кавказ-2/

62. რცხილაძე ვ., „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ“. გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1994;

63. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ახალგაზრდა დოქტორთა და დოქტორანტთა ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია-2020, (სამეცნიერო კონფერენციის მასალები), თბ., 2020;

64. ჟორდანია ნ., „რჩეული ნაწერები“. გამომცემლობა „საქართველო“, თბ., 1990;

65. ყიფიანი მ., „საქართველო _ გერმანიის ურთიერთობები“. (სადოქტორო დისერტაცია). სტუ. თბ., 2020;

66. Entspanung und Neue Ostpolitik 1969-1975 https://www.bpb.de/izpb/10344/entspannung-und-neue-ostpolitik-1969-1975, _ უკანასკნელად გადამოწმებულია 18. 07. 2020;

67. კაკაჩია კ., საერთაშორისო პოლიტიკა ვესტფალიიდან ბიპოლარული სისტემის დასასრულამდე, გამომცემლობა „უნივერსალი,“ თბ. 2014;

68. Кононов А. С., Восточная Политика Германии на современном этапе, KONTEMORARI LEVELOF GERMANI OSTPOLITIK, “международные отношения” Санк-ПетербургЖ., 2016;

69. სარჯველაძე მ., “გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 2016 წლის უსაფრთხოების სტრატეგია და საქართველო.” საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, თბ., 2016;

70. Гаджиев К. С геополитика кавказа, “международные отношения” москва; 2001

71. გაჩეჩილაძე რ., “საქართველო მსოფლიო კონტექსტში.” ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2013;

72. პავლიაშვილი ს,. გარაყანიძე ზ., “ საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი, პრობლემები და პერსპექტივები.” თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, თბ., 2014;

73. მარგალიტაძე ი., გეგეშიძე ე., სატრანსპორტო პოლიტიკის კონცეფციები და საზღვაო საქმე,” საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2016;

74. “შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის მთავრობას შორის შიდა ნაოსნობის შესახებ“. ბონი., 1992;

75. უსაფრთხო პოლიტიკის ფედერალური აკადემია, „საქართველო თვალთახედვის არეალში“, „უსაფრთხოების პოლიტიკური პერსპექტივები კავკასიისთვის-სამოქმედო რჩევები გერმანული პოლიტიკისთვის“, უსაფრთხოების პოლიტიკის სემინარი, თბ.,2009;

76. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის სამშვიდობო ხელშეკრულებათა ბაზა. GEO-PEACE DATABASE, www.iccn,ge. თბ., 2008;

77. Энергетическая Стратегия России на период до 2030 года, Москва; 2009; https://meganorm.ru/Data2/1/4293748/4293748262.pdf- უკანასკნელად გადამოწმებულია 18, 07. 2020;

78. კაკაჩია კ., ბეტგერი კ., ლებანიძე ბ., პალმი ვ., სარჯველაძე მ., „ქართულ-გერმანული ურთიერთობები ევროატლანტიკური ინტეგრაციის კონტექსტში, როგორ შევაჯეროთ მოლოდინები?.“ პოლიტიკის დოკუმენტი, ბერლინი/თბილისი., 2019;

79. PONARS EurasiaPolisy Memo No. 463, “A Reluktant Partner GEORGIAN-GERMAN RELATIONS REVISITED” 2017;

80. შტაინმაიერი: „საქართველოს ევროკავშირთან უვიზო მიმოსლამდე ძალიან ცოტა დარჩა“ https://www.tabula.ge/ge/story/90611-shtainmaieri-saqartvelos-evrokavshirtan-uvizo-mimosvlamde-dzalian-cota-darcha-უკანასკნელად გადამოწმებულია 18, 07. 2020;

81. შტაინმაიერი ფ-ვ ., „ქართულ გერმანული ურთიერთობები ძალიან მყარ ფუნდამენტზე დგას.“ https://www.ghn.ge/news/155142- უკანასკელად გადამოწმებულია 18. 07. 2020;

82. მამუკა ბახტაძემ ანგელა მერკელს ოფიციალურ ვახშამზე უმანსპინძლა https://1tv.ge/news/mamuka-bakhtadzem-angela-merkels-oficialur-vakhshamze-umaspindzla/-უკანასკნელად გადამოწმებულია 18. 07. 2020;

83. საქართველოს ათასობით მოქალაქე ითხოვს თავშესაფარს და თითქმის ყველა ეს განაცხადი უსაფუძვლოა-გერმანიის პრეზიდენტი მიგრანტებზე https://www.ambebi.ge/article/238101-sakartvelos-atasobit-mokalake-itxovs-tavshesapars-da-titkmis-qvela-es-ganacxadi-usapuzvloa-germaniis-prezidenti-migrantebze/-უკანასკნელად გადამოწმებულია 18. 07. 2020;

84. Stober S., "German Foreign Polisy Explained GIP commentary, 2017 http://gip.ge/german-foreign-policy-explained/-უკნასკნელად გადამოწმებულია 18. 07. 2020;

85. „რა უნდა იყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის შემდეგი მიზანი ევროკავშირთან მიმართებაში?." საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ექსპერთა კომენტარი, თბ., 2017;

86. ჩიტაძე ნ., „ ნატო _ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი". თბ., 2008;

87. კაციტაძე კ., გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია ევროპაში, გამომცემლობა „მერიდიანი", თბ., 2001;

88. გვენეტაძე ე., „ საერთაშორისო უშიშროების ასპექტები". გამომცემლობა „იურისტების სამყარო", თბ., 2017;

89. „შეთანხმება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის ფედერალურ სამინისტროს შორის კოსოვოში უსაფრთხოების უზრუნველმყოფი საერთაშორისო ძალების (KFOR) ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ". ბერლინი., 2003;

90. „შეთანხმება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შორის ავღანეთში უსაფრთხოების უზრუნველმყოფი საერთაშორისო ძალების ფარგლებში თანამშრომლობისა და მხარდაჭერის შესახებ" ბერლინი., 2004;

91. პეტრიაშვილი ა., „2008-2018 ათი წელი ბუქარესტიდან: „საქართველო გახდება ნატოს წევრი". საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, თბ., 2018;

92. სარჯველაძე მ., „ საქართველო და გერმანია ევროატლანტიკურ სივრცეში: მოლოდინსა და რეალობას შორის". საქართველოს

პოლიტიკის ინსტიტუტი, თბ., 2017; http://gip.ge/ge/საქართველო-და-გერმანია-ე/-უკანასკნელად გადამოწმებულია 18. 07. 2020;

93. ასმუსი რ-დ., „ მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2010;

94. „ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი“ https://mod.gov.ge/ge/page/65/arsebiti-paketi უკანასკნელად გადამოწმებულია 18. 07. 2020;

95. შტობერი ს., გერმანიის საგარეო პოლიტიკა და საქართველო, თბ., 2017;

96. ლამერსი კ., გერმანია მხარს უჭერს საქართველოს ევროატლან-ტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე https://ipress.ge/new/karl-lamersi-germania-mkh/ უკანასკნელად გადამოწმებულია 18. 07. 2020;

97. ძინძიბაძე შ., „საქართველოს თავდაცვის ძალები საერთაშორისო მისიებში“ (სადოქტორო დისერტაცია). თბ., 2020;

98. ინფორმაცია აღებულია ლინკიდან „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო საქართველოში“ https://tiflis.diplo.de/ge-ka-უკანასკნელად გადამოწმებულია 18. 07. 2020;

99. კოდუა ე., „ისტორიის ფილოსოფია.“ გამომცემლობა „მეცნიერება,“ თბ., 1966;

100. Концепция Внешней Политики Росийской Федерациии. http://static.kremlin.ru/media/events/files/41d447a0ce9f5a96bdc3.pdf-უკანასკნელად გადამოწმებულია 18. 07. 2020;

101. რონდელი ა., „პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში“. გამომცემ-ლობა „მეცნიერება“, თბ., 2003.

102. გოგოლიშვილი კახა,. „ათი წელი აღმოსავლეთ პარტნიორობის დაარსებიდან: რა უნდა გააკეთონ ასოცირებულმა ქვეყნებმა

შემდეგში?“. ექსპერტის აზრი, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო კვლევის ცენტრი/GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC INTERNATIONAL STUDIES, თბ,. 2019

103. თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი,. „დამოუკიდებლობის კომიტეტი საზღვარგარეთ _ 1914“ თბ,. 2018 http://german-georgian.archive.ge/ka/blog/32 (წვდომის თარიღი: 10.10.2021)

104. ირაკლი ირემაძე,. „გერმანიაში _ 1918“ თბ,. 2020 http://german-georgian.archive.ge/ka/blog/98 (წვდომის თარიღი 10.10.2021)

105. მარგველაშვილი ანა,. „ქართულ-გერმანული სავაჭრო პალატა _ 1918“ თბ,. 2020 http://german-georgian.archive.ge/ka/blog/82 (წვდომის თარიღი 10.10.2021)

გენერალი მამია ბალახაძე – *დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციასა და პროექტში. მთავარი საკვლევი მიმართულებები: საერთაშორისო პოლიტიკა, დიპლომატია, თავდაცვა და უსაფრთხოება.*

გენერალი მამია ბალახაძე **1994 წელს** ჩაირიცხა საქართველოს გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში, სწავლა გააგრძელა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესვერის სამხედრო აკადემიაში. **1998** წლიდან, აკადემიის დამთავრების შემდგომ, არაერთ საპასუხისმგებლო და სამეთაურო თანამდებობაზე უმუშავია. მომდევნო წლებში მისი სამხედრო განათლება კვლავ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას უკავშირდება: 2002 წელს დაამთავრა კაპიტნის საკარიერო კურსი, ბუნდესვერი, გერმანია; 2015-2017 წლებში კი მართვის აკადემია – გენერალური და საადმირალო შტაბების საერთაშორისო სასწავლო კურსი, ბუნდესვერი, გერმანია. გავლილი აქვს საერთაშორისო კურსები და სასწავლებლები პარტნიორ ქვეყნებში. სწავლის დამთავრების შემდგომ მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალებში სხვადასხვა სამეთაურო თანამდებობებზე, ასევე გააჩნია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლობაში მოღვაწეობის დიდი სამუშაო გამოცდილება.

გენერალი მამია ბალახაძე მონაწილეობდა საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების პროცესში საერთაშორისო მისიებში: **2000** წელს ნატოს პირველ სამშვიდობო მისიაში კოსოვოში (კოსოვოს ძალები – KFOR), **2004** წელს ერაყში განხორციელებულ საერთაშორისო მისიაში („მრავალეროვნულ ძალები" (Multi-National Force – Iraq). მონაწილეობა აქვს მიღებული საბრძოლო მოქმედებებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მიღებული აქვს როგორც სახელმწიფო ორდენები, ასევე შიდა უწყებრივი მედლები, საერთაშორისო მისიებში წარმატებით მონაწილეობისთვის დაჯილდოვებულია სხვადასხვა სახის მედლით. გენერალი მამია ბალახაძე არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.